ნათია ჯალაბაძე

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა

ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში

თბილისი
2006

უაკ (UDC) 316. 722 (479)

ჯ 18

წიგნის გამოცემა დააფინანსა ჯონ დ. და ქეთრინ თ. მაკარტურების ფონდმა. ჩიკაგო, აშშ

Publication of this book was made possible thanks to The John D. and Cathrine T. MacArthur Foundation. Chicago, USA

რედაქტორი: ლ. მელიქიშვილი ისტ. მეცნ. დოქტორი

რეცენზენტები: ლ. ჯანიაშვილი ისტ. მეცნ. კანდიდატი
მ. ნერეთელი ფსიქოლოგირ მეცნ. დოქტორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ნინო ბურდული

ISBN 99940-67-23-0

© ნათია ჯალაბაძე
Natia Jalabadze

ვუძღვნი მამის — ეთნოლოგ გიორგი ჯალაბაძის
ნათელ ხსოვნას

შესავალი

ქართველთა და ვაინახთა (ჩეჩენთა და ინგუშთა) ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გენეტიკურად და კულტურული თვალსაზრისით მონათესავე ეს ხალხები, რომელთაც ბედმა ერთმანეთის მეზობლად არსებობა არგუნა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქმნიდნენ და ავითარებდნენ მჭიდრო პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს.

კავკასიური კულტურული მატრიცა, კრავდა და ადუღაბებდა ამ ხალხთა შორის ურთიერთობას, რაც, უპირველეს ყოვლისა თანადგომაში, ურთიერთპატივისცემაში, ერთმანეთის ჭირის და ლხინის გაზიარებაში პოულობდა გამოხატულებას. თუმცა, მათი ურთიერთობა არც დაპირისპირებებისა და კონფლიქტებისგან ყოფილა დაზღვეული. ქართველებსა და ვაინახებს შორის იყო შუღლიც, მტრობაც, ურთიერთთავდასხმებიც...

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნამ თავისებური მიმართულება მისცა კავკასიელი ხალხების ურთიერთობას. იმპერიალისტური რუსეთის ე. წ. "დაყავი და იბატონეს" პოლიტიკა, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, კავკასიელი ხალხების ერთმანეთისადმი დაპირისპირებას გულისხმობდა, გარკვეულ პერიოდში და გარკვეული მასშტაბებით, ნარმატებით ხორციელდებოდა; თუმცა კავკასიელი ხალხების კულტურული ერთიანობის იდეა ის ამოსავალი იყო, რისი ამოძირკვის ძალაც იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მანიპულაციებს არ შესწევდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 70-წლიანი არსებობის პრაქტიკამ, ასე ვთქვათ, ერთ ბედქვეშ ყოფნამ, რაც განსაკუთრებით ტრაგიკულად აისახა ვაინახი ხალხის ისტორიაზე, კიდევ უფ-

რო მეტად გაამყარა ქართველი და ვაინახი ხალხის ურთიერთობის ტრადიციული საფუძვლები.

ამ ხალხთა შორის ურთიერთობამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახე მიიღო დღეს, როდესაც კავკასია და კავკასიის ხალხები სერიოზული გეო-პოლიტიკური ტრანსფორმაციების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, ანუ იგივე „ცივი ომის" დასასრულს, კავკასიის რეგიონს მძლავრ გეოპოლიტიკურ სივრცედ გადაქცევის საკმაოდ დიდი შანსი გაუჩნდა (7:13). თუმცა, კავკასია, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობისა და მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოისობით, გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონად ოდითგანვე განიხილებოდა. აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უმოკლესი კავშირებისათვის ხელსაყრელი მდებარეობა, შავი და კასპიის ზღვებზე პირდაპირი გასასვლელების ქონა ის სტრატეგიული რესურსია, რის გამოც კავკასია დღემდე სუპერსახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესის ობიექტს წარმოადგენს.

კავკასიის რეგიონზე კონტროლის მოსაპოვებლად ევრაზიულ და ატლანტიკურ პოლუსებს შორის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. ცარისტულ და შემდეგ საბჭოთა პერიოდში რუსეთმა მოახერხა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და კასპიის რეგიონის დიდ ნაწილზე გავლენის მოპოვება. თუმცა, სამხრეთით თბილი ზღვებისაკენ გასასვლელის ხელში ჩაგდების მისი გეგმა მარცხით დამთავრდა. XX საუკუნეში, როდესაც ნავთობის ფაქტორმა, როგორც ინდუსტრიული ცივილიზაციის მამოძრავებელმა ძალამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, აღნიშნული რეგიონის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. გასული საუკუნის შუა წლებიდან ევრაზიულ-ატლანტიკური დუალიზმი ორი სუპერსახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს დაპირისპირებაში გამოიხატა; შესაბამისად, კავკასიის რეგიონის და მისი მიმდებარე ტერიტორიის პრობლემა გლობალური დაპირისპირების კერ-

ძო შემთხვევად იქცა (52: 803-804). სწორედ სსრ კავშირის დაშლის შემდგომ შეიძინა ამ დაპირისპირებამ უფრო მძაფრი გეოპოლიტიკური შინაარსი.

ევრაზისტების პოლიტიკა ცენტრისტული ტენდენციების განმტკიცებისკენ არის მიმართული; ისინი ცდილობენ მთელი სივრცე მოსკოვის სტრატეგიულ კონტროლს დაუქვემდებარონ; მათი მიზანი ისეთი მყარი კონსტრუქციის შექმნაა, კონტროლის ისეთი მოქნილი სისტემის და მრავალფაქტორიანი მეთოდიკის შემუშავებაა, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის გეოპოლიტიკური ტრადიციების გაგრძელებას.

ატლანტისტები ამის საპირისპიროდ, ცდილობენ, რეგიონი მოსკოვის კონტროლიდან გამოიყვანონ, დაშალონ მოძველებული გეოპოლიტიკური სისტემა და იმგვარად გარდაქმნან კავკასიის ტერიტორია, რომ დასავლეთმა აქედან მაქსიმალური სტრატეგიული სარგებელი მიიღოს (52: 805).

კავკასიის რეგიონში საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი სოციალური, რელიგიური, იდეოლოგიური და ეთნიკური დაპირისპირებანი, ძირითადად ორი გლობალური ძალის შეჯახების ფონზე მიმდინარეობს, ანუ, უშუალო მონაწილეთა უკან პირდაპირ თუ ირიბად ხსენებულ დაპირისპირებულ ძალთა ინტერესები მოიაზრება, ხოლო დღეს, კავკასის სახელმწიფოთა და მათში მცხოვრებ ხალხთა ბედი უმთავრესად ამ გეოპოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილის კონტექსტში განიხილება.

კავკასიის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის დაშლითა და პოსტსაბჭოთა ანარქიით გამოწვეული მთელი რიგი შიდა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რასაც დამოუკიდებლობის გეოპოლიტიკური საფუძვლების ძიებაც ართულებდა. ახალი გეოპოლიტიკური სტატუსის მოპოვებას აძნელებდა რეგიონში წარმოქმნილი სერიოზული ეთნოკონფლიქტები, რასაც ემატებოდა "ნავთობის გეოპოლიტიკა" (58).

ვ. დეგოევი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან მიმართებაში წერს:

„ისევე, როგორც ორი საუკუნის წინ, ამიერკავკასია კვლავ გადაიქცა მრავალ საერთაშორისო დაპირისპირებულ ძალთა „ბრძოლის ველად". მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამ ბრძოლაში შედარებით დამოუკიდებელნი არიან, ისინი მაინც დიდი პოლიტიკის ობიექტებად უფრო რჩებიან, ვიდრე სუბიექტებად და ზოგჯერ ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირებიდან სარგებელსაც კი ვერ ნახულობენ" (50).

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის შემდგომ შუა აზიამ და კავკასიამ კვლავ დაიკავა ერთერთი ცენტრალური ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში (56).

კარტერის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი აშშ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ აშშ მომხრეა და დე ფაქტო ხელს უწყობს გეოპოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ეს იმას გულისხმობს რომ აშშ მხარს უჭერს პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და არ ცდილობს ამერიკის სატელიტებად მათ გადაქცევას; მისი მიზანია — მათი დამოუკიდებლობა რეალური გახადოს (Wednesday, 11 May 2005 radio free europe http://www. rferl. org/featuresarticle/2005/5/B62307E1-832C-4FBC-AB91-8FA7A0EB24.html).

ფონდ „მემკვიდრეობის" (ამერიკის შეერთებული შტატები) წამყვანი ანალიტიკოსის არიელ კოენის აზრით კავკასიაში პოზიციების გასამყარებლად ამერიკამ აუცილებლად ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და დემოკრატიის განმტკიცებას სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გააძლიეროს დიპლომატიური ჩარევა რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების საქმეში, და ა. შ. (56).

კასპიის და შუა აზიის რეგიონებთან დაახლოვების საკითხში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირიც; სამხრეთ კავკასიის რეგიონი ერთგვარ ხიდად მოიაზრება და ევროპის ტროას ცხენის არჩევანს წარმოადგენს: ევროკავშირის პოზიციების სამხრეთ კავკასიაში გამყარება აქ რუსეთის გავლენის შესუსტებას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს აღმოსავლეთში მისი ენერგორესურსებთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებას (70).

უნდა ითქვას, რომ XXI-ე საუკუნის დასაწყისში კავკასიის რეგიონს ისეთივე განსაკუთრებული გეოპოლიტიკური სტატუსი მიენიჭა, როგორც გასული საუკუნის 90-იან წლებში ბალკანეთს (7).

რეგიონის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ზოგადად კავკასიის რეგიონალურ და მასში შემავალი თითოეული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც შავ ზღვაზე პირდაპირი გასასვლელი და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდ. კავკასიის ყველა სახელმწიფოსთან საერთო საზღვარი გააჩნია, ამასთანავე, არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (ენერგორესურსებით მდიდარი კასპიის რეგიონის დასავლეთთან დამაკავშირებელი დერეფანი), ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმოკლესი გზა, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით კავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონი.

ტოტალიტარული საბჭოთა სისტემის რღვევამ, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოშიც დასაბამი მისცა მთელ რიგ ტრანსფორმაციულ პროცესებს, რაც „ჩაკეტილიდან" ღია სისტემისაკენ" სწრაფვაში გამოიხატა (7). ცვლილებები შეეხო როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს. მოხდა საბჭოთა ღირებულებების გადაფასება; დაიწყო დემოკრატიული სამოქალაქო ცნობიერებისა და ახალი ფასეულობე-

ბის ჩამოყალიბების პროცესი. საქართველოს, როგორც ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილის ადგილი და ფუნქცია ახლებურად იქნა გააზრებული.

გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და კულტურულ-ისტორიულმა თავისებურებებმა განსაზღვრა განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას, საქართველოს „საკვანძო" მნიშვნელობა თანამედროვე რეგიონალურ პოლიტიკურ კონსტრუქციაში. ბევრი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიური ფაქტორი, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, პარალელურად განაპირობებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მოწყვლადობას. ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის არაეთმნიშვნელოვნება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს როგორც საქართველოს მეზობელი ქვეყნების, ასევე „დიდი ახლო აღმოსავლეთის" წამყვან სახელმწიფოთა და დასავლეთის (რომელსაც კავკასიური კასპიისა და მიმდებარე რეგიონებში სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ) საგარეო პოლიტიკაზე (64: 281).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში თანდათანობით გამოიკვეთა პროდასავლური ორიენტაცია და აშკარა გახდა რუსეთის გავლენის შესუსტება.

დასავლეთის ქვეყნებთან ინტეგრაციისკენ საქართველოს მიერ აღებული გეზი ნათლად გამოვლინდა სახელმწიფოს პოლიტიკაში, რაც მსოფლიო ბანკის, გაეროს, ევროკავშირის წევრობას და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან მის თანამშრომლობას ითვალისწინებს.

საქართველო კავკასიაში შეერთებული შტატების ძირითად პარტნიორად მოიაზრება: აშშ-ს პრეზიდენტი ჯ. ბუში თავის წერილში აღნიშნავს, რომ ამერიკა თავს საქართველოს ახლო მეგობრად და პარტნიორად მიიჩნევს და მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთგული რჩება (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 16 II. 2001, 38), ხოლო 2005

წლის 9 აპრილს მისი საქართველოში ვიზიტი, საქართველოს მოქალაქეთა 72 პროცენტმა დადებითად შეაფასა.

საქართველო მრავალი ისეთი ფართომასშტაბიანი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების მონაწილეა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ქვეყნების ეკონომიკურად და ენერგეტიკულად გარანტირებული მომავლისათვის. ამიტომაც, თავად სახელმწიფო და მისი პარტნიორი ქვეყნები საქართველოს სტაბილურობით და რეგიონალური უსაფრთხოებით არიან დაინტერესებულნი. დღეს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ საგარეო პრიორიტეტს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება წარმოადგენს, რის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას არსებული კონფლიქტების მოგვარება, მშვიდობის, სტაბილურობის, უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების სათანადო სისტემის შემუშავება წარმოადგენს.

ევრაზისტები, კონკრეტულად კი რუსეთი, საქართველოს გეოპოლიტიკას და სტრატეგიას — ამერიკის თავის სტრატეგიულ პარტნიორად არჩევას, ნატო-ში ინტეგრაციის გეგმას და სხვ., თავის ეროვნული უსაფრთხოების და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო პოლიტიკური ბალანსის დარღვევად მიიჩნევს.

საქართველოზე ოდინდელი გავლენის აღსადგენად და რეგიონის თავისი სტრატეგიული კონტროლის ქვეშ მოსაქცევად კრემლი დიდ „სამუშაოს“ ასრულებს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, რისთვისაც მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებს. ფედერალური ძალები ოსტატურად ახერხებენ ქვეყანაში არსებული შიდასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობებით მანიპულირებას (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14, I, 11, 2001). ქართველი პოლიტოლოგების აზრით, რუსეთში შემუშავებულ იქნა სხვა ქვეყნებში მრავალგზის აპრობირებულ შიდაპოლიტიკურ ვითარების დესტაბილიზაციის ქართული ვარიანტი. სწორედ ამგვარ სცენარში ერთ-ერთი მთავარი გათვლა ჩეჩნურ ფაქტორზე გაკეთდა.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში შექმნილი ვითარება ცხადყოფს, რომ ჩეჩნური ფაქტორი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ქვეყანაში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებთან. 1990-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოპოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნით სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალების მიერ ჩეჩნური ფაქტორით მანიპულირება უშუალოდ იყო გადაჯაჭვული აღნიშნულ ეთნოსთა შორის არსებული უარყოფითი და დადებითი სოციალური განწყობის მიზანმიმართულ მართვასთან. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მიმდინარე რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის ფონზე. რუსეთი არაერთხელ შეეცადა ჩეჩნურ კონფლიქტში საქართველოს ჩათრევას. ამ ომის შედეგად 1999 წელს საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ნაკადის (დაახლოებით 8000-მდე პირი) შემოსვლის და მათი პანკისის ხეობაში — ქისტებით (ეთნიკური ჩეჩნებით) დასახლებულ რაიონში განთავსების შემდეგ, პოლიტიკურ ძალებს ხელსაყრელი ნიადაგი შეექმნა ეთნოსთაშორის ურთიერთობებში შემდგომი დაძაბულობის შესატანად. ჩეჩნების სახელთან ასოცირდა არაკონტროლირებადი მასობრივი მიგრაცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, ნარკოტიკების და იარაღის კონტრაბანდა, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი...

ყოველივე ამან სტიმული მისცა დესტაბილიზაციის პროცესებს არა მარტო ჩეჩენ ლტოლვილთა კომპაქტური თავმოყრის არეალში, არამედ საშიშროება შეუქმნა მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოებას.

საქართველოში ვაინახებთან, კერძოდ კი ჩეჩნეთსა და ჩეჩნების პრობლემასთან დაკავშირებულმა ბოლო წლებში შექმნილმა ვითარებამ ავტორს ეთნიკური კულტურის პოლიტიკური ასპექტების და ეთნოსთაშორისი ურთიერთობის სტრატეგიის კვლევის შესაძლებლობა მისცა.

ნიგნში, ერთი მხრივ, ისტორიულ და დიაქრონულ ჭრილში შესწავლილია ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა, ამ ურთიერთობის ტრადიციული ნორმები და ამ ნორმათა ტრანსფორმაცია. განხილულია ერთმანეთის უშუალოდ მოსაზღვრე ქართველ და ვაინახ მთიელთა ურთიერთობის თავისებურებანი და კულტურის როლი ეთნოსთაშორის ურთიერთობებში; მეორე მხრივ, შესწავლილია ჩეჩნური ფენომენის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში და ქართულ-ვაინახური ურთიერთობის გარკვეული ასპექტების პოლიტიკური მანიპულაციების იარაღად ქცევის ეთნოფსიქოლოგიურ მექანიზმები.

„ჩეჩნური ფენომენი" პირობითი ტერმინია, მასში ვგულისხმობთ იმ ეთნოკულტურულ და ეთნოფსიქოლოგიურ რეალიებს, ისტორიულ და სოციო-პოლიტიკურ ასპექტებს, რამაც განაპირობა ჩეჩენთა გამორჩეული ადგილი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის და, ასევე, მათ განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნაშრომი ითვალისწინებს "ჩეჩნური ფენომენის" შიდასახელმწიფოებრივი დესტაბილიზაციის იარაღად გადაქცევის მექანიზმების გამოვლენას, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრისპირა რეგიონებში რეალური ეთნოპოლიტიკური სიტუაციის გაანალიზებას, ეთნიკური დაპირისპირების წინაპირობათა და მიზეზების დადგენას, ახალი ეთნიკური სტერეოტიპების და სოციო-ფსიქოლოგიური განწყობის ჩამოყალიბების მექანიზმების თავისებურებათა გამორკვევას.

ნაშრომი საქართველოში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურ პროცესებზე ჩეჩნეთის ფაქტორის გავლენის ეთნოლოგიური კუთხით შესწავლის პირველი ცდაა.

გამოკვლევა ემყარება ისტორიულ, ეთნოლოგიურ და ეთნოფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსურ მეთოდოლოგიურ საფუძველს. კვლევის ძირითად მეთოდად არჩეულ იქნა საველე მუშა-

ობის უშუალო დაკვირვებისა და ინტერვიუირების მეთოდი. საველე სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ჩეჩნეთთან მოსაზღვრე — დუშეთისა და ახმეტის რაიონებში. თითოეული რეგიონისათვის შემუშავებულ იქნა სპეციალური კითხვარი. საკვლევი პრობლემის ეთნოფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლის, ეთნიკურ სტერეოტიპთა და საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ეთნო-სოციალურ ჯგუფებში სოციალური განწყობის ჩამოყალიბების მექანიზმთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები და თავისუფალი დისკუსიის ჯგუფები. დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა, პერიოდული პრესის, ინტერნეტის მონაცემები და სარქივო მასალები.

ავტორი მადლობას უხდის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასის ეთნოლოგიის განყოფილების გამგეს, ისტ. მეცნ. დოქტორს, ლ. მელიქიშვილს, ამავე განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ისტ. მეცნ. კანდიდატს ლ. ჯანიაშვილს, ისტ. მეცნ. კანდიდატს ნ. აზიკურს, ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტორს მ. წერეთელს მუშაობაში გაწეული დახმარებისათვის.

ასევე მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ რესპონდენტის მიმართ, რომელთა მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წინამდებარე ნაშრომის შექმნაში.

I თავი

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა სასაზღვრო რეგიონში

საქართველო ვაინახებს ჩეჩნებსა და ინგუშებს, ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთის ერთი მონაკვეთით (ხევსურეთი, თუშეთი) ემეზობლება. კავკასიონის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ეს ეთნიკური ჯგუფები ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო ერთმანეთთან მეტად მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, რაც ქმნიდა ხელსაყრელ გარემოებას ქართველ და ვაინახ მთიელთა დაახლოებისთვის და განსაზღვრავდა ურთიერთდამოკიდებულების გარკვეულ ნორმებსაც.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხი სხვა კავკასიელი ხალხების და, მათ შორის, ჩეჩენთა და ინგუშთა ეთნოგენეზთან მიმართებაში მოიაზრება. ლეონტი მროველის ცნობებში ქართველ მეფეთა ცხოვრების შესახებ, ქართველები და ვაინახური ტომები (კავკასიანნი) ერთი ნინაპრის — ლეგენდარული თარგამოსის შთამომავლებად გვევლინებიან: სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა წინაპარი იყო თარგამოსი, თარშისის ძე, ნოეს ძის იაფეთის ძმისწული. ბაბილონის გოდოლის აშენების შემდგომ, ენათა განყოფის მერე, თარგამოსი თავისი ურიცხვი ნათესავითურთ წამოვიდა და დაემკვიდრა არარატისა და მასისის მთებს შორის. მის ნილხვედრ ქვეყანას ესაზღვრებოდა აღმოსავლეთით გურგენის, დასავლეთით პონტოს, სამხრეთით ორეთის ზღვები, ჩრდილოეთით კი მთა კავკასია. თარგამოსს ჰყავდა რვა გმირი და სახელოვანი ვაჟი — ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი, რომელთაც მან თავისი ქვეყანა და ნათესავნი განუყო და თითოეულ მათგანს საკუთარი სამკვიდრო მიუჩინა. ამათგან, კავკასს და

ლეკანს მისცა ადგილი კავკასიის ჩრდილოეთით, სადაც მანამდე არავინ მკვიდრობდა. ლეკანს უბოძა ადგილი დარუბანდის ზღვიდან ლომეკის მდინარის ჩრდილოეთით ხაზარეთის მდინარემდე, კავკასს, ლომეკის მდინარიდან დასავლეთით კავკასიის ბოლომდე.

კავკასის შვილთა შორის უწარჩინებულესი იყო დურძუკი. მას შემდეგ, რაც ხაზარებმა კავკასის წილხვედრი ქვეყნის დიდი ნაწილი მიიტაცეს, იგი „მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა და უწოდა სახელი თკისი დურძუკეთი და მისცემთა ხარკსა მეფეთა ხაზართასა" (25: 3-6).

„ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებში შემოკეტილი დურძუკები ფაქტობრივად მოკლებულნი აღმოჩნდნენ მათდამი მტრულად განწყობილ მომთაბარეებთან ნორმალური ურთიერთობის განვითარებისა და თერგისა და სუნჯისპირა დაბლობების მიმართულებით თავისი საარსებო სივრცის გაფართოების შესაძლებლობას. ამიტომ კანონზომიერია, რომ დურძუკებმა იმთავითვე სამხრეთისაკენ იბრუნეს პირი და იმედიანი მზერა ქართლის (იბერიის) ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს მიაპყრეს, სადაც მათ ქართველთა გენეტიკურად და კულტურულ-ყოფითი ნიშნით ახლოს მდგომი ხალხი ეგულებოდათ. ფარნავაზის მიერ დურძუკთა „მეფის ასულის ცოლად მოყვანის შემდეგ, ქართველთა და დურძუკთა ურთიერთობა ახალ სიმაღლეზე ავიდა და ამიერიდან ისინი ქართველთა იმიერკავკასიელ სტრატეგიულ მოკავშირეებადაც იქცნენ (11: 161-162).

ძვ. წ. აღ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის ძემ — საურმაგმა მასობრივად გადმოასახლა საქართველოს მთიანეთში დურძუკნი — თავისი დედულნი, რომელთა შემწეობითაც მოახერხა მისგან მოულოდნელად განდგომილი ქართველი ერისთავების განადგურება და ტახტის შენარჩუნება (11: 162).

ამის თაობაზე გ. მელიქიშვილი წერს: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ჩრდილო-კავკასიური ტომების არსებობა-

ზე მიუთითებს ამ რაიონების ტოპონიმიკის ანალიზი. აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ მთიანეთში ქართული მოსახლეობა არ არსებობდა ისტორიულად. უძველესი დროიდან მოყოლებული, დადასტურებულია ჩრდილო ტომების სამხრეთისაკენ გადანაცვლების მუდმივად მიმდინარე პროცესი. მთიან იბერიაში მცხოვრებმა ჩრდილო-კავკასიური გვაროვნულ-ტომობრივი კოლექტივები შესაძლოა ჩრდილოეთიდან ამგვარად იყვნენ შემოჭრილნი (62: 295).

როდესაც ვ. გამრეკელი ეხება ქართლის ცხოვრების ცნობას მეფე საურმაგის მიერ საქართველოში დურძუკების ჩამოსახლების შესახებ დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე, წერს, რომ ეს არის ცენტრალური კავკასიონის ტერიტორია, რომელიც მოიცავს დვალეთს, მაღრან დვალეთს და თუშ-ფშავ-ხევსურეთს ანუ ძველი ნომენკლატურით ფხოვის ტერიტორიას (48).

საზღვრისპირა რეგიონებში მოსახლეობის შერევა და გადანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთით და პირუკუ, საუკუნეთა მანძილზე მუდმივად მიმდინარე პროცესი იყო. კომპაქტურად ჩამოსახლებული მთიელები, ცხადია თავის არსებობის კვალს დატოვებდნენ მთის იბერიელთა კუთვნილ ტერიტორიაზე.

ო. მელაძე ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომზე „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დროთა განმავლობაში მოხდა დურძუკეთის, რომელიც ძვ. წ. VII-VI სს-დან პირიქითი არაგვის (მერმინდელი თერგის) აღმოსავლეთით მდებარე ხეობებს მოიცავდა, დაყოფა ოთხ ურთიერთმომიჯნავე ხევად: ქისტეთად, ძურძუკეთად, ღლიღვეთად და ამ უკანასკნელის მეზობელ ხეობად (სავარაუდოა, ჩანთი-არღუნის ხეობა).

ვახუშტის მიერ ხსენებული ეს ოთხივე მხარე (ხევი) ტერიტორიულად ესადაგება თერგის აღმოსავლეთით მდებარე ხეობებს, ანუ ამჟამინდელი ინგუშეთისა და ჩაჩნეთის მთიანეთს. უძველესი ძურძუკეთის ქვეყნის ლოკალიზაცია დასაშვებია იმ ისტორიულ-

გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც თანამედროვე ინგუშები და ჩაჩნები თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ თვლიან (11:149).

ქართულ წყაროებში ვაინახური ტომები ძირითადად დურძუკების (ძურძუკების) სახელით მოიხსენიება, იხმარება ღლიღვიც (ინგუშების აღსანიშნავად), გვიან ფეოდალურ ხანაში კი ქისტი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ლექსიკონში ჩეჩნებთან და ინგუშებთან მიმართებაში დამკვიდრებულია ეთნონიმი ქისტი, თუმცა ხევსურები ინგუშებს ღილღველებადაც იხსენიებენ.

ჩრდილოეთ კავკასიელთა და ქართველთა ოდითგანვე მონათესავე ხალხად წარმოდგენის საფუძველს იძლევა დიდძალი ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემები. სხვათაგან განსაკუთრებით გამოკვეთილია ვაინახური სუბსტრატი: ანთროპოლოგიურად ქართველები, სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად, წინააზიურ რასას მიეკუთვნებიან, ხოლო ამათგან ქართველი მთიელები და ვაინახები ნინააზიური რასის კავკასიონური ტიპის ჯგუფში ერთიანდებიან. ამ ხალხთა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ განათხარებში ერთგვაროვანი კულტურების, კერძოდ ყობანურის, არსებობა აღინიშება. ყობანის კულტურა იმდენად ახლოსაა დასავლეთ ქართულ (კოლხიდის) კულტურასთან, რომ ზოგი მკვლევარი მათ ერთ ყობან-კოლხიდის კულტურადაც კი აერთიანებს (23: 356; 57: 384).

ლინგვისტური თვალსაზრისით ჩატარებული იქნა დიდძალი სამუშაო ქართველური და ვაინახური ენების ნათესაობის დასასაბუთებლად (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, დ. იმნაიშვილი, თ. უთურგაიძე, თ. გონიაშვილი, ი. ალიროევი, ი. დეშერიევი, და სხვა). დადგინდა, რომ ნახურ ენებს, რომლებიც განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, ბევრი საერთო აქვთ ქართველურ ენებთან (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სტილისტიკის და სხვა თვალსაზრისით). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნახების

გავლენა ქართველ მთიელთა ლექსიკაზე (თუშები, ფშავლები, ხევსურები), რომელნიც ვაინახ ხალხთან მუდმივ კავშირში იყვნენ.

ისტორიულ მეცნიერებაში ვაინახთა და მათ მეზობელ ქართველთა პირველსაცხოვრისის თაობაზე არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს. ერთი პოზიციით, დღევანდელი საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც კავკასიონის პირიქით კალთებზე მდებარეობს, ოდითგანვე მისი კუთვნილი იყო.

„...მოხევეები, ხოლო ხევსურებისა და თუშების ნაწილი რომ უძველესი დროიდან პირიქითა საქართველოში მოსახლეობდნენ, ეს ცნობილია. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ეს ქართული ტომები პირიქითა საქართველოს უძველესი მკვიდრი მოსახლეობაა; ამდენად, ჩრდილოეთ კავკასია თუშეთის, ხევსურეთისა და ხევის პირიქითა მხარეების სახით ქართველთა ისეთივე დედასამშობლო — პირველსაცხოვრისია, როგორც ამიერკავკასია არის პირაქეთა საქართველოს დედასამშობლოს პირველსაცხოვრისი“ (21: 4-5).

მეორე ვარაუდით, აღნიშნულ ტერიტორიაზე თავდაპირველად სახლობდნენ ვაინახური ტომები, რომლებიც შეუვიწროვებიათ ქართველ მთიელებს და მათი ადგილი დაუკავებიათ. ძველ საისტორიო ქრონიკებში დაცული მთელი რიგი ცნობების თანახმად, პირიქითა ხევსურეთის ტერიტორია ადრე მოსაზღვრე მთიელთა-დურძუკთა სამფლობელო უნდა ყოფილიყო. ნაშრომში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა”-ში თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს ივანე ათაბაგის მიერ მთიელთა დამორჩილების ამბებს და აღნიშნავს, რომ ივანე „აღვიდა მთასა ჴადისასა და წარელო წვერი მთისა, წარსდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო დიდოეთი და ფხოეთი და ა.შ.“ (19: 111).

ამ ცნობის მიხედვით დურძუკეთი და დიდოეთი ფხოეთის მოსაზღვრედ გვევლინება, ოღონდ ეს საზღვარი კავკასიის ქედის იქით — ასა-არღუნისა და პირიქითიხ-ხლაზნის სათავეებში მდება-

რე ხეობებით კი არ ისაზღვრება, როგორც დღეს გვაქვს, არამედ კავკასიონის ერთ კერძ ფხოეთია, ხოლო მეორე მხრივ დურძუკეთ-დიდოეთი.

მთათა მწვერვალები, რომლებიც განვლო ათაბაგმა და ისეთ მთაზე გავიდა, სადაც ერთ მხარეს ფხოეთია, ხოლო მეორეს დურ-ძუკეთი და დიდოეთი, სწორედ კავკასიონის მთავარი მთაგრეხილი უნდა იყოს, რომელზე გავლითაც შეეძლო მას ბორბალომდე მის-ვლა. ხოლო ამ ქედს დაბლა, საიდანაც ზეიდ-აღმან უსდებოდათ ბრძოლა, ფხოეთია, მთათა იქით დურძუკეთი და დიდოეთი. მართ-ლაც ამ მთას ესაზღვრება ერთიცა და მეორეც. ამ მთ[illegible]ან იღებს დასაბამს მდ. არღუნი, რომლიც საჩეჩნოზე — ძველი ძურძუკეთის ნაწილზე გაივლის და პირიქითის ალაზანიც, რომელიც დიდოთა მდინარედ იქცევა შემდეგ. ამ ცნობაში გარკვევით წერია, რომ ჴადიდან (მთიულეთი) განვლო მთის წვერი (და არა ხეობები) და წარსდგა მთასა ფხოვისასა. ვინც ამ მხარის გეოგრაფია იცის, მისთვის ნათელია, რომ ასა-არღუნის ხეობების მიმართულება ისეთია, რომ ვერც ჴადიდან გავა კაცი ამ ხეობათა მთაზე და ვერც ისეთ მთაზე მივა, საიდანაც ერთ მხარეს ფხოეთი იყოს, ხოლო მეო-რეს დურძუკეთ-დიდოეთი. როგორც ვხედავთ, ამ ცნობის მიხედ-ვით ფხოეთი და ძურძუკეთ-დიდოეთი კავკასიის მთავარი ქედითაა ერთიმეორისაგან გაყოფილი" (12: 38-39).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ზემოხსე-ნებულ მეტად საყურადღებო ცნობას ადასტურებს ვახუშტი ბაგ-რატიონის გეოგრაფიული აღწერილობა, რომლის მიხედვით, დურ-ძუკეთი კავკასიონის ქედს აქეთ მდებარე მთის კუთხეების (ფშავ-ხევსურეთი) უშუალო მოსაზღვრედ ითვლება, ანუ ხევსურეთს ჩრდილოეთით საზღვრავს კავკასიის მთა, რომელიც მდებარეობს მასა და დურძუკეთს შორის (3: 92).

ვახუშტისავე აღწერილობით, ფშავის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიის ქედია დასახელებული, რომელიც ჰყოფს ფშავსა და

ღლიღვეთს (3: 107). ფხოეთის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის წყალგამყოფი ქედი ისახება, რომლის ჩრდილოეთით დურძუკეთი და ღლიღვეთია, ხოლო სამხრეთით ფშავ-ხევსურეთი.

ისტორიკოსთა ცნობები კავკასიონის მთაგრეხილის ჩრდილო-კავკასიელ და ქართველ მთიელთა ტერიტორიების გამყოფი საზღვრის თაობაზე არ გამორიცხავს ურთიერთის კუთვნილი ტერიტორიის მიტაცებისა თუ მათზე მშვიდობიანი გზით ჩამოსახლების ფაქტს.

ეთნოგრაფიული მონაცემების და ხალხური გადმოცემების თანახმად, დღევანდელ ქართველ მთიელთა საცხოვრისი მათ მიერ შემდგომ იქნა დაკავებული. მაგალითად, არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც წინათ არხოტში არაქართველები მდგარან. დღესაც მიუთითებენ მათ ნასახლარებსა და აკლდამებზე არხოტის მკვიდრნი. შემდეგ ისინი აყრილან და მათ ნასახლარებში ხევსურები ჩასახლებულან. დღეს კი იმ ძველი მოსახლეობიდან მხოლოდ ერთი გვარია დარჩენილი — ჯაბუშანურები.

წერილში „ხევსურების ჩვენება იმათი მინა-წყლის შესახებ კავკასიის ქედს იქით“ მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ შეიყარნენ 1867 წ. 15 აგვისტოს ღლიღვის საზოგადოების მცხოვრებნი — გულოვების გვარის დეპუტატები და არხოტის ღელის სადავო მიწის თაობაზე თიანეთის მმართველის თავად რატიევის მიერ იქნენ დაკითხული. მათი ინფორმაციით: „...ძველ დროში ჩვენ გვარში ყოფილა ერთი ქალწული ქალი, რომელიც წყლის მოსატანად წასულა და ამ დროს ატეხილა ჭექა-ქუხილი, რომლისგანაც ამას შეშინებია და შიშისაგან დაორსულებულა. ჰყოლია შვილი, რომელიც გამხდარა ჩვენი გვარის წინაპარი. ამ კაცს სახელად ეჯი-ეხქი რქმევია და ისეთი გმირი გაზრდილა, რომ იმას ვერა იარაღი ვერას ავნებდა და არც არაფრისა ჰშინებია. რადგანაც ის ამისთანა ძრიელი და მარჯვე ყოფილა, ღლიღვის საზოგადოებას თავის უფროსად ამორჩევა სდომებია“... მაგრამ მისთვის ხელი შეუშლია იგიზდა-გიზლს, რო-

მელთან ერთადაც ეჯი-ეხქი, იმის დასამტკიცებლად თუ რომელი იყო უფრო ყოჩაღი და მხნე, თავისი ხალხით წავიდა ბაცოს საზოგადოებაში თუშებთან საომრად. იქიდან დაბრუნდა დიდი ალაფით და გამოიარა არხოტის ღელეში, სადაც ახლა სოფელი ამღაა. აქ იგი გაჩერდა სამი დღე და სამი ღამე. ამის შემდეგ მან წინადადებით მიმართა თავის ხალხს, დაერთოთ ნება, რომ სამი მაზრა — ამღა, ახიელი და კვირიწმინდა მისი ყოფილიყო და ალაფი კი თავად წაეღოთ. თანხმობის მიღების შემდეგ ეჯი-ეხქმა გააკეთა სახლი ამღაში თავისი საქონლისთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ფშავლებმა სისხლმესისხლეობის შემთხვევის გამო ეჯი-ეხქს სთხოვეს, [illegible] მათთვის ამღაში დასახლების ნება. მან შეინყნარა ფშავლების თხოვნა და შეაწერა გადასახადი ნატურით, რომელიც ამ უკანასკნელთ უნდა მიეტანათ ნელხი — ერთის საღმრთო ადგილამდის. შემდეგ ეს გადასახადი შეიცვალა ფულით, თითო მანეთით, რასაც იღებდნენ ღილღველნი სამი სოფლიდან 1858 წლამდე" (22: 135-160).

როგორც შენიშნავს თ. ოჩიაური, არხოტის ხეობის ტერიტორიაზე თავდაპირველად ფშავლები ჩანან ჩასახლებული, რასაც ემთხვევა ხევსურული გადმოცემაც არხოტისა და ფშავის მათურის თემის „მამი-ძმობის" შესახებ. ფშავლები ქისტებთან შეთანხმებით დასახლებულან არხოტის ხეობაში (18: 35).

არხოტის ხეობაში ქისტების ყოფნა ტოპონიმიკური მონაცემებითაც მტკიცდება. ამის თაობაზე დ. იმნაიშვილი წერს: „გეოგრაფიული სახელების ანალიზი ეხლანდელი ხევსურეთის ტერიტორიაზე ქისტური მოსახლეობის არსებობას გვავარაუდებინებს. მაგ. შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებები ქისტური ენების ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს. ჭიმღა, ამღა, ქმოსტი, არხოტი. აღნიშნულ სახელებში ღა, ტი, ქისტური მიმართულებების თანდებულები უნდა იყოს წარმოშობით" (4: 245).

თ. უთურგაიძეს სოფ. ახიელის სახელწოდება ინგუშური წარმოშობისად მიაჩნია:

„ახიელ“ — ინგუშები ამ ტოპონიმს ასე გამოთქვამდნენ: ჰახიელ, ჰ-ს ჯერ ჰ უნდა მიეცა, შემდეგ კი დაიკარგებოდა... ჰიახიელ> ჰახიელ > ახიელ. ჰიახ ნახურ ენებში ნიშნავს ჯიხვს. სოფელი საჯიხვეებთან ახლოსაა; თანაც სავარაუდებელია, რომ სოფელი წინათ უფრო ზევით, საჯიხვეებთან ახლოს იყო“ (24: 100).

სხვა ტოპონიმიკური მონაცემებითაც, რომელზედაც აქ არ შევჩერდებით, ხეობაში ვაინახური მოსახლეობის ადრე არსებობა დასაშვებია.

თ. ოჩიაურის ვარაუდით, დევ-კერპთა ბრძოლის ამსახველი სიუჟეტები[1] არ იშლება პირიქითა ხევსურეთის ტერიტორიაზე. ეს ბრძოლები პირაქეთა მთიელთა მიწა-წყალზე მიმდინარეობს, აქ გვხვდება დევ-კერპთა არსებობის მაუწყებელი მატერიალური კულტურის ძეგლებიც. გადმოცემაში ისინი ავსულებად გვევლინებიან. მკვლევარი ამის მიზეზად თვლის იმ გარემოებას, რომ პირიქითის ხეობაში ადრე ქართველ მთიელებს არ უნდა ეცხოვრათ. ეს თქმულებები შეიქმნებოდა იქ მხოლოდ ამ ხეობის ქართველებით დასახლების შემთხვევაში (18: 34-35).

უმალათ ლაუდევის ცნობით:

"Первобытные обитатели этой страны (საუბარია ჩეჩნებზე. ნ. ჯ.) жили более на юге гор и подножии снегового уступа и называются по чеченски Ламорой, т.е. горными, от слова “лам” означающего “гора”. Ламоройцы занимали южную часть бывшего Аргунского округа Чаберлой и юг Ичкерии" (59: 4).

მისივე ინფორმაციით, ჩეჩნებმა მიწის სიმწირის გამო ყველა მიმართულებით იწყეს მოძრაობა, მაგრამ სამხრეთისკენ ისინი ვერ წავიდოდნენ, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს: "там водворился сильный народ, некогда вытеснивший оттуда первых обитателей Чечни... Грузины и соседние с ними горские племена зашли в нынеш-

1 დევ-კერპებში მკვლევარი მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებს მოიაზრებს.

нюю Чечню и поселясь в ней смешались с туземцами: смешение это и теперь очевидно: на рубежных землях Чеченского племени, например жители аулов Маиста, Малги и др. состовляют нынче среднее между чеченцами и хевсурами" (59: 10).

ლაუდაევის ცნობაში მოხსენიებული ლამურანი დღესაც ცხოვრობენ პირიქითა ხევსურეთში — მიღმახევში. ხოლო მრავალი ჩეჩნური გვარი თავის თავს ქართულ წარმოშობისად თვლის (19: 47).

ამგვარად, აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, ვაინახური ტომების საცხოვრისი კავკასიონის ქედის პირიქითა ტერიტორია იყო და მისი ქართველთა მიერ დაკავება გარკვეულ ვითარებათა გამო ისტორიის მსვლელობის სხვადასხვა პერიოდში. უნდა მომხდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მეზობელი ხალხები სოციო-კულტურული განვითარების დამოუკიდებელ გზას ადგნენ, მათ მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ და მნიშვნელოვან ზემოქმედებასაც ახდენდნენ ერთმანეთზე. გარდა ამისა, ქართულ წერილობით წყაროებში არსებული ცნობების თანახმად, ვაინახურ ტომებს საქართველოსთან პოლიტიკური ინტერესებიც აკავშირებდათ.

როგორი იყო სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი ამ ხალხებს შორის? ქართველ მეფეთა შესახებ ისტორიული მონაცემების თანახმად, დურძუკები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ უმეტესად დაქირავებული რაზმების სახით. ქართლის ცხოვრების ერთ მონაკვეთში, სადაც აღწერილია ბრძოლები ქართველებსა და სომხებს შორის, მოთხრობილია, თუ როგორ შეიერთეს ქართლის მეფეებმა ჩრდილოეთის ხალხთა ლაშქარი (ოვსები, პაჭანიკები, ჯიქნი, ლეკები, დურძუკნი, დიდონი), შეიჭრნენ სომხეთში და მოაოხრეს იგი (26: 2). ასევე მემატიანე გვამცნობს, რომ გუარამმა გამოიყვანა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, წარუძღვანა ნინ ქართლის ერისთავი და შეიჭრა ადარბადაგანში (26: 219-200).

დურძუკ-დიდოთა მონაწილეობა ჩრდილოეთ კავკასიის მოქირავე ლაშქარში ადრეფეოდალურ ხანაშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გარდა ამისა, ბარის ქართველთათვის ჩრდილოეთ კავკასიის მთა ძნელბედობის ჟამს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ამავე პერიოდიდან საქართველო თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებისთვის ქრისტიანობის პროპაგანდას ეწეოდა როგორც ვაინახებში, ასევე სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხებშიც, რასაც საფუძველს ტაძრების მშენებლობით უყრიდა. ამ რეგიონში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული ეკლესიები (ტყობა-ერდი, ალბიერდი, თარგიმი...), ქართული წარწერები ეკლესიის კედლებზე და ძველი ქართული ხელნაწერების არსებობა ამის ნათელი დადასტურებაა (31: 108).

XI საუკუნიდან დაწყებული, მთიან ზოლში მცხოვრებ ვაინახთა ნაწილი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. აქ თანდათანობით გზას იკვლევდა ქართული ენა და ანბანი. გვამცნობს კიდევაც თეიმურაზ ბატონიშვილი: „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნენ ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანენი...“-ო (8: 32).

ა. შავხელიშვილის ცნობით, მრავალი ინგუშის ოჯახში 1944 წლამდე ინახებოდა ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები. ზოგიერთ ოჯახში ამ წიგნებს დღემდე შეხვდებით. ისინი უფრთხილდებიან მას, როგორც ძვირფას რელიქვიას და გადასცემენ თაობიდან თაობას (27: 189).

XII საუკუნეში საქართველოსა და დურძუკეთის ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი ჰქონდა. საქართველოსთვის ვაინახები წარმოადგენდნენ ძალას, რომლის გამოყენებაც მას შეეძლო როგორც გარეშე, ასევე შინაური მტრების წინააღმდეგ. ამავე დროს, ვაინახები გვევლინებოდნენ ერთგვარ ფარად ჩრდილოელი მომთაბარე ტომების თავდასხმების დროს და ასევე პლაცდარმადაც ჩრდილოეთის მიმართულებით საქართველოს პოლიტიკური ექსპანსიის-

თვის. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ვაინახებს, თავის მხრივ, საქართველოსთან კავშირს უკარნახებდა. მათი ზედა ფენები საქართველოს მხარდაჭერას იყენებენ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად (31: 108).

XIII საუკუნეში კავკასიის ხალხებმა მონღოლთა შემოსევები განიცადეს, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია მათი პოლიტიკური მდგომარეობა. მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოქცეული დასუსტებული საქართველო ვეღარ ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ გავლენას ჩრდილოეთ კავკასიაზე. შეიცვალა ვაინახების დამოკიდებულება საქართველოსთან. მტრისგან შევიწროვებული ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობა ბარიდან მთებს შეეხიზნა (29). ამ პერიოდიდან ადგილი ჰქონდა ვაინახთა გადმოსახლებას კავკასიონის ქედის სამხრეთით, ძირითადად მის მთიან თემებში. მთის პირობებში მცხოვრები ვაინახები მძარცველურ თავდასხმებს აწყობდნენ მეზობელ ფშავ-ხევსურეთზე და უფრო სამხრეთითაც. თუშეთის ტერიტორიაზე მათი შემოჟონვაც ამ პერიოდიდან იღებს სათავეს (31: 110).

მონღოლთა უღლის მოშორებისთანავე გიორგი ბრწყინვალემ სცადა კავკასიის მთიანეთში საქართველოს გავლენის აღდგენა. ამისთვის მან ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდა განაახლა გზავნიდა მისიონერებს, აშენებდა ტაძრებს და სხვ. (31: 109). XIV საუკუნეში ვაინახები საქართველოს ქვეშევრდომები იყვნენ.

კავკასიის ხალხების და კერძოდ საქართველოს ისტორიას თემურ-ლენგის შემოსევამ საკმაოდ მძიმე კვალი დაამჩნია; განსაკუთრებით მძიმე იყო ამ ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგი. სამასწლოვანი ბრძოლა საქართველოს დამარცხებით დამთავრდა, მოძმე ქრისტიანული ქვეყნები: სომხეთი, ალბანეთი საქართველოს ჩამოშორდნენ და მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ საქართველო მარტო აღმოჩნდა. ამ მდომარეობაში მყოფი საქართველოსათვის მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

XV საუკუნეში ჩრდილო-კავკასიელ მთიელებს დაქირავებული რაზმების სახით ტრადიციისამებრ კვლავ ინვევენ საქართველოს მეფეები (27: 54).

XVI საუკუნის II ნახევრიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განახლებას ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მიმართ ინტერესის გაძლიერება მოჰყვა, ვინაიდან, როგორც რუსეთის ისევე საქართველოსათვის ამ რეგიონს სტრატეგიული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩეჩენ-ინგუშები ქართველ მთიელთაგან ყველაზე ახლო ურთიერთობაში თუშებთან იყვნენ. მაგ. XVII საუკუნის 50-იან წლებში შიბუტინელთა წარმომადგენლები: ალხანი, სუსლო და ალგენი თუშებთან ერთად მოსკოვში ჩავიდნენ და მათაც მეფეს ერთგულების ფიცი მისცეს. ამავე საუკუნის ერთ-ერთი ცნობიდან ირკვევა, რომ შიბუტინელთა გარკვეული ნაწილი თუშებს ჰმორჩილებდა (27: 179).

XVIII საუკუნეში კვლავ ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართლ-კახეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობებმა, რაც ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული. ვაინახები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პოლიტიკურ აქციებში, სანაცვლოდ კი ღებულობდნენ ქირას და საჩუქრებს, მიჰქონდათ ნადავლიც. მაგალითად, ქართლ-კახეთის მეზობელ ყიზილბაშურ სახანოებთან ურთიერთობის გამწვავებისას, 1750 წელს, თეიმურაზმა და ერეკლემ შეკრიბეს ჯარი — იმერლები, ჩერქეზები, ოსნი და კავკასიანნი (ვაინახები). ისინი ასევე მონაწილეობას იღებდნენ 1751 წლის ომში. XVII საუკუნის ისტორიკოსის — პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1754 წელს ნურსალბეგის ქართლ-კახეთში შემოჭრასთან დაკავშირებით, თეიმურაზისა და ერეკლეს ლაშქარში იყო ჯარი ქიშტისა და ღლიღვისა, რომელთაც საკუთარი მეთაურები ჰყავდათ. თავიანთი მოვალეობის შესრულების შემდეგ ჯარს უბოძეს ოქრო-ვერცხლის იარაღი და ლარნი. აავსეს საჩუქ-

რებით და გაისტუმრეს, ხოლო ამათ პირობა მისცეს მეფეს, როგორც თქვენი ყმები ისე გვიგულეთ და თქვენ სამსახურში მოვკვდებითო (27: 176).

რუსეთ-თურქეთის ომში 1769-1774 წ.წ. ერეკლესთან ინგუშები იბრძოდნენ. ქისტები ჰყავდა მას ერევანზე ლაშქრობის წინაც 1778 წელს, ხოლო 1784 წელს 400 ოსი და ინგუში მეომარი.

საგრძნობლად შეიცვალა ვაინახ მთიელთა მდგომარეობა ჩეჩნეთ-ინგუშეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ (1810 წ.) ამ ვითარებამ ბიძგი მისცა მათი ბარად ჩამოსახლების ინტენსიურ პროცესს, რასაც, გარდა ზემოხსენებულისა, თავის მხრივ გარკვეული სოციალური და ეკონომიკური პირობებიც ვაისაზღვრავდა.

„რუსეთი თავისი კოლონიალური პოლიტიკის გატარებისას ცდილობდა არ დაერღვია ჩრდ. კავკასიის პოლიტიკურ წარმონაქმნთა შიდაპოლიტიკური მმართველობის სისტემა, მათი, ასე ვთქვათ, „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა, რათა აშკარად არ აემხედრებინა მთიელები" და ყოველივე ეს არ გამოეყენებინათ რუსეთის მოქიშპე სხვა სახელმწიფოებს (32: 31). თუმცა რუსეთი მაინც ვერ ახერხებდა ბოლომდე გაეტარებინა ეს ხაზი, ვინაიდან მას საქმე ჰქონდა თავისუფლებისმოყვარე ჩრდილო კავკასიელებთან, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ლ. კოხისა და ო. სპენსერის „ცნობებში საქართველოსა და კავკასიის შესახებ ვკითხულობთ:

„...მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კავკასიის ყველა ტომს არაერთგზის განუცხადებია თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობისადმი, იგი ყოველ ხელსაყრელ მომენტში მაინც მზადაა ააფრიალოს აჯანყების დროშა და ამოჟლიტოს ციხე-სიმაგრეთა გარნიზონები. მთის ხალხთა შორის, რომელიც კავკასიის ამ ნაწილში ცხოვრობს, როგორც ჩანს, ყველაზე საშიშ და ძნელად დასამორ-

ჩილებელ ხალხს წარმოადგენს ორი ტომი — სვანები და ინგუშები" (6: 144).

ამავე ცნობებით, რუსეთი დაპირისპირებით, მოსყიდვითა და პირფერობით ცდილობდა გამოეძებნა საშუალებები და გზები, რათა რაც შეიძლება მეტი ბელადი გადაებირებინა. სწორედ ამ მიზნით დაადგინეს კავკასიაზე გავლით ვლადიკავკასიდან თბილისამდე გაეყვანათ გზა, რომლის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი დაცული იქნებოდა სიმაგრეებითა და გარნიზონებით და რუსეთის იმპერიას შეაერთებდა თავის პროვინციებთან — სამეგრელოსთან, იმერეთსა და ქართლ-კახეთთან. ამ ამბავმა დიდი ეჭვები აღძრა კავკასიის ხალხებში. მათ იარაღს მოჰკიდეს ხელი და დაიწყეს ბრძოლა, რომელშიც ყველაზე უფრო დაზარალდა ორივე ყაბარდო, ჩეჩნების ქვეყანა და დაღესტანი, ვინაიდან ისინი ზედ რუსეთის საზღვართან მდებარეობენ (6: 152-153).

მაშინდელი რუსეთის (და საერთოდ იმპერიალისტური რუსეთის) პოლიტიკას კარგად გამოხატავს ნ. გრაბოვსკის შემდეგი ცნობა:

"Еще с этого отдаленного времени появились попытки и даже принималось за правило, для упрочения нашей власти на Кавказе, ссорить между собой кавказские племена, дабы они ослабляя свои силы, оставляли больше нас в покое" (49: 11).

ამდენად, დამოუკიდებელი ქართველების და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების, ამ შემთხვევაში ვაინახების, ურთიერთობანი რუსეთმა თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია და თავად წარმართავდა იმგვარ პოლიტიკას, რაც იმპერიის ინტერესებს შეესაბამებოდა.

ქართველთა და ვაინახთა რუსეთის დაქვემდებარებაში ყოფნის მთელი პერიოდი ეს არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მათი მუდმივი ღია თუ ფარული ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ეს იდეა ამყარებდა და ადუღაბებდა ამ ხალხთა შორის შემდგომ კავშირებს. ასეთი იყო გასაბჭოებამდელი პერიო-

დის ურთიერთობანი ქართველებსა და ჩეჩნებს შორის, რაც საბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო გამყარდა „სამანელთა" მოძრაობის დროს (1942 წ.), ხოლო ქართველი და ვაინახი ხალხის ურთიერთობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1944 წელს ჩეჩენ-ინგუშთა დეპორტაციის შემდგომმა ამბებმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ხალხებს შორის მშვიდობიან მისწრაფებას ხელისშემშლელ პირობად მოევლინა 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენები (საამოქალაქო ომი საქართველოში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რუსეთ-ჩეჩნეთის ომი). ამ დროიდან ჩეჩნური ფაქტორი მჭიდროდ გადაეჯაჭვა საქართველოში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ პროცესებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხშირად სახელმწიფოთაშორისი სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მიმართებანი ვერ განსაზღვრავს სასაზღვრო რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის უშუალო კონტაქტის შედეგად ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებებს. საზღვრისპირა საზოგადოებებს თავისი განსაკუთრებული სტრუქტურა აქვთ. კონკრეტულ შემთხვევაშიც, კავკასიონის მაღალმთიანეთის სასაზღვრო რეგიონში, ქართველ და ვაინახ მთიელთა კომუნიკაციის შედეგად, ყალიბდებოდა ურთიერთობათა სპეციფიკური სისტემა და ქცევის განსაკუთრებული მოდელები.

არხოტი ინგუშეთს ასას ხეობით, ხოლო პირიქითა ხევსურეთი ჩეჩნეთს არღუნის ხეობით ემიჯნება; რაც შეეხება თუშეთს, მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მთიანი ჩეჩნეთის ხეობები: ჰაჩარო, ხილდიხარო, ხულანდო, სანდუხო და მაისტი.

ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ქართველი და ვაინახი მთიელები კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო 4-5 თვით (გვიან შემოდგომიდან — გაზაფხულამდე) პრაქტიკულად მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ ცენტრებს. დიდთოვლობის გამო იკეტებოდა სამიმოსვლო გზები და ამიტომ მათი შეხების ნერტილები უფრო

მჭიდრო და ხშირი ხდებოდა. ტერიტორიული სიახლოვე განსაზღვრავდა ქართველთა და ვაინახთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკას მრავალი მიმართულებით. პირველ რიგში აღსანიშნავია მიგრაციების ინტენსივობა საკვლევ რეგიონში. ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასაზღვრო ზოლში მოსახლეობის ხშირ ადგილმონაცვლეობას ჰქონდა ადგილი. ეს არ იყო ცალმხრივი პროცესი. მოსახლეობის დინება ძირითადად ბარისკენ ხდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, შეინიშნებოდა მთის პირობებში ახალი საცხოვრებელი ადგილების ძიების ფაქტებიც. ქართველები, ჩეჩნები და ინგუშები არ ერიდებოდნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილების გაფართოებას, ისინი ერთმანეთის ტერიტორიაზე იჭრებოდნენ, რაც აღინიშნებოდა როგორც ცალკეული კომლების, ასევე ერთდროული მასობრივი დასახლებით. შამილის პერიოდში დევნილი ვაინახები უშიშრად სახლდებოდნენ ქართველთა მიწაზე, ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო ბარიდან დევნილი ქართველები ხშირად აფარებდნენ თავს ვაინახებს წერს ი. ალიროევი (48: 199).

მეცნიერთა ვარაუდით, ქართველთა მიერ კავკასიონის ქედის გადალახვა და პირიქითის ხეობებში დამკვიდრება უნდა გამოეწვია ერთი მხრივ, რელიგიურ ფაქტორს (ქრისტიანობის დამკვიდრების პროცესმა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სტიმული მისცა მოსახლეობის მიგრაციას) და მეორე მხრივ — ჭარბი მოსახლეობის გაჩენას, რომლის გამოკვებაც მთას არ შეეძლო. გარდა ამისა, მიგრაციის მიზეზი უნდა ყოფილიყო სისხლ-მესისხლეობის მძლავრი ტრადიციაც, რაც ცალკეულ პირებსა თუ გარკვეულ ჯგუფებს ადგილის შეცვლისაკენ უბიძგებდა.

ასა-არლუნის სათავეებში ქართული მოსახლეობის გაჩენის შესახებ ა. შანიძე წერს: „ზემო ფშავი ბუდეა მთელი ფშავისა: თორმეტივე თემი ანუ გვარი ფშავლებისა უწინ აქ სახლებულა და შემდეგ ჩამოუნაცვლებიათ ქვემოთ, გადასულან აგრეთვე იორზე და დაუჭერიათ მთელი ხეობა თიანეთამდის. ხევსურებიც ვერ

მოთავსებულან თავის ადგილზე და გადაულახავთ ირგვლივ შემორტყმული მთები: ორი სოფელი მათ გუდამაყარში დაუარსებიათ, ორიც ხევში (სნოს ხეობაში), ჩაჭრილან პირიქით ქისტეთში და სოფლები აუშენებიათ ასასა და არღუნის სათავეებში" (28: 10-11).

ქართველი მთიელები ერთი მხრივ ფიზიკური, სამხედრო ძლიერებით იხვეჭდნენ და ინარჩუნებდნენ ახალ ტერიტორიას, მეორე მხრივ კი ცდილობდნენ მშვიდობიანი გზით ჩასახლებულიყვნენ მეზობელ მთიელთა კუთვნილ მიწებზე და გადასახადი ეძლიათ თავდაპირველი მფლობელისთვის.

ვაინახური მოსახლეობის საქართველოში ინფილტრაციის მიზეზად მიჩნეულია მთიელთა ეკონომიკური სიდუხჭირე, მეტად მწირი მიწის სავარგულები, სისხლის აღების ტრადიცია და შამილის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმები; აგრეთვე, ე. წ. „ბეითალ-ვაჯარის" (ბეითალმანობა) წესი (10:29). ეს წესი გულისხმობდა დანინაურებული მეურნეობის მქონე ოჯახისთვის საქონლის ნაწილის კონფისკაციას. როგორც ცნობილია, საქონლის საძოვრები სოფლის თემს ეკუთვნოდა და ყველასთვის საერთო იყო, ხოლო თუ რომელიმე მეურნეს საქონლის ჯოგი ძალიან გაუმრავლდებოდა, თემის უხუცესნი გადაწყვეტდნენ პატრონისათვის ჩამოერთმიათ საქონელი და გაენაწილებინათ თანასოფლელებს შორის. ქონების ჩამორთმევისათვის თავის არიდების მიზნით, მეპატრონე კავკასიის ქედს გადაღმა, პანკისში, ჩეჩნეთის დაბლობზე ან დაღესტანში ეძებდა თავშესაფარს. ამ წესის თანახმად ბევრმა მთიელმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და გადასახლდა საქართველოში (10: 29).

XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე გაჩნდა ვაინახთა კომპაქტური სამოსახლოები კახეთის ბარის მთისწინა ზოლში. ქისტების ოჯახები ცხოვრობდნენ თიანეთის მაზრის სოფლებში ჩაბანოსა და ხორბალოში. მათი კომპაქტური დასახლება პანკისის ხეობაში XIX ს-ის 30-40-იან წლებში მოხდა, ხოლო ცალკეულ პირთა ჩამოსახლება

შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1847 წლის აღწერით, თუშეთის პირიქითის თემში 31 კომლი ქისტია დადასტურებული (27: 51).

მიგრაციების შედეგად უცხო ეთნიკური ელემენტი ადაპტაციას განიცდიდა, რაც ამ ეთნოსთა ნაწილობრივ ან სრულ ასიმილაციაში ვლინდებოდა. თუ ერთ შემთხვევაში უცხო ტერიტორიაზე დასახლებული ეთნიკური ჯგუფები ეთნოკულტურულ სპეციფიკას ინარჩუნებდნენ, მეორე შემთხვევაში ნარმოდგენა ეთნიკური მიკუთვნილობის თაობაზე მხოლოდ მოსახლეობის ისტორიულ მეხსიერებას შემოუნახავს.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიელებს გარკვეულწილად ახსოვთ, რომ ისინი ქართული ან ვაინახური ნარმომავლობის არიან, მაგრამ დღეს ისინი ამ ეთნიკურ ჯგუფებთან აღარ ასოცირდებიან. მაგალითად, პირიქით ხევსურეთის რიგ სოფლებში ზოგიერთი გვარი ქისტური ნარმოშობისად მიაჩნიათ (ლამურანი, მურლოშვილი), მაგრამ დღეს ისინი ხევსურებად ითვლებიან და ქართული ეთნიკური ორიენტაციისანი არიან. ვაინახების ცალკეული ნარმომადგენლები თუშეთის სხვადასხვა თემებშიც გვხვდებიან (ელანიძეები, ქელეხიძეები, მურთაზაშვილები, ნასიპაშვილები, ქააძეები და სხვ.); აგრეთვე ფშავშიც — ქისტაურები, სუხიაშვილები, მგელიაშვილები და სხვ. ვაინახური ძირისანი არიან.

ანალოგიური სურათია ჩეჩნეთშიც და ინგუშეთშიც. ნ. ივანენკოვის ცნობით, რეფორმამდელ პერიოდში ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე მრავალი ქართული ოჯახი სახლობდა. მაგ. ითუმყალის თემი ქართული ნარმოშობისაა (54: 8). მაისტის, ხილდიხაროს, მელხისტის საზოგადოებებში ბევრი ოჯახი იყო, რომლებმაც იცოდნენ და დღემდე იციან თავიანთი ქართული ნარმოშობის შესახებ, მაგრამ ისინი ვაინახებად ითვლებიან (62: 39). ჩეჩნეთის შატოის რაიონის ტეიპი „სატოი" თავს ქართული ნარმოშობისად თვლის (27: 58) და სხვა.

როგორც ცნობილია, ეთნიკური ჯგუფის ადაპტაცია ახალ ბუნებრივ და ეთნოკულტურულ გარემოსთან საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია და მოიცავს ეთნიკური კულტურის შემადგენელ ყოველ ელემენტს — დასახლებას, საცხოვრებელს, ტანსაცმელს, გადაადგილების საშუალებებს, ხალხურ ეკოლოგიურ ცოდნას, მეურნეობის წარმოების ხერხებსა და სამეურნეო იარაღებს, სოციალურ კოლექტივს, რელიგიასა და კულტს, წარმოდგენებს და ა. შ. (5: 169). მაგრამ, როგორც ჩანს, საკვლევ რეგიონში ეთნიკური ჯგუფების თუ ამ ჯგუფის წევრთა ადაპტაცია უცხო გარემოსთან, შედარებით იოლად წარიმართა. ამ ხალხებისთვის, საკლებად მტკივნეული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოსთან შეგუება, ვინაიდან მათ ერთგვაროვან გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ გარემოში უხდებოდათ არსებობა (კავკასიონის მაღალმთიანი რეგიონი, უმკაცრესი კლიმატი, დაახლოებით ერთტიპიური მიწის სავარგულები, მეურნეობის მსგავსი დარგები და სხვ.). შედარებით იოლად უნდა მომხდარიყო ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესიც, ვინაიდან მათი სოციო-კულტურული განვითარების დონე და, შესაბამისად, ამ ხალხების კონსტიტუციური ტიპი ერთგვაროვანია და მათი მენტალიტეტი ძალიან ემსგავსება ერთმანეთს.

ამდენად, მიგრაციების ინტენსივობა და უცხო ეთნიკური ჯგუფების ახალ გარემოსთან იოლი ადაპტაციის პროცესი საკვლევი სასაზღვრო ზოლისთვის ერთ-ერთ ტიპურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა სასაზღვრო რეგიონში მცხოვრებ ქართველ და ვაინახ მთიელთა ეკონომიკური ურთიერთობანი. ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, ტერიტორიულ სიახლოვეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაღალმთიანი რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, მკაცრი ჰავა, ხშირი ნალექიანობა, მიწის მწირი და უნაყოფო სავარგულები ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალე-

ბას არ იძლეოდა და არც შეეძლო მთის მოსახლეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, მეზობელ მთიელებს შორის ჩამოყალიბდა სამეურნეო ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელიც ერთმანეთის საძოვრების და სახნავ-სათესის იჯარით აღებას გულისხმობს. დამქირავებელი იხდიდა გარკვეულ ფულად გადასახადს. ზამთრის პერიოდში საქონელს გადარეკავდნენ ასევე იჯარით აღებულ ტერიტორიებზე, რომლის ექსპლოატაციის სრული უფლებითაც სარგებლობდნენ მოიჯარენი. მაგალითად, თუშები ცხვარს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საძოვრებზე აზამთრებდნენ. ისინი საზამთრო საძოვრებისკენ, ქერიგოს და ქაჩუს ულელტეხილებზე გადადიოდნენ და ჩეჩნეთის ტერიტორიის გავლით ჩადიოდნენ ყარანოღაის ველებში (29: 50).

ხევსურებს, ვაინახებთან შედარებით, მიწის უფრო მწირი სავარგულები ჰქონდათ, ამიტომაც, საზამთრო საძოვრებს ძირითადად ხევსურები ქირაობდნენ ვაინახებისგან. ხშირად, მცირემიწიანობა მეზობლებს შორის დავის მიზეზი ხდებოდა.

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ხევსურეთის მოსაზღვრე ვაინახთა სოფლები ფაქტობრივად დაიცალა მოსახლეობისგან, ანუ ე. წ. მშვიდობიან პერიოდში, პირიქითელი ხევსურები ცხვარს ძირითადად ჩეჩნეთის მთიანეთში აზამთრებდნენ, კერძოდ კი მითხოს (მეშხის, მელხისტის) ხეობაში. თავად ჩეჩნებს აქ თავიანთი საქონელი და ცხვარი ზაფხულობით ამოჰყავდათ. ხევსურებს ისინი ზამთრის საძოვრების მოხმარებისთვის უკვე აღარაფერს სთხოვდნენ. ინფორმანტთა თქმით, საჭირო იყო მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება (41).

ქართველ მთიელთა ნებისმიერი სავაჭრო-სამეურნეო ხასიათის საქმიანობა უმთავრესად მეზობელ ვაინახებთან იყო დაკავშირებული -- ცხვარს, საქონელს, ცხენებს, ტყავს, მატყლს და სხვა შინამრეწველობის ნაწარმს ძირითადად იქ ყიდულობდნენ და საჭიროებისამებრ ცვლიდნენ. პურიც, ხორბალიც ასევე იქედან შემოპ-

ქონდათ. მაგალითად, არხოტში ზოგჯერ უპურობა იყო და სიმინდიც ღილღველთაგან მოჰქონდათ საპალნეებით. ინგუშებისა და ჩეჩნებისგან ყიდულობდნენ იარაღს და სხვა საჭირო ნივთებს.

ალ. ოჩიაური თავის მოგონებებში წერს: „არხოტის მომიჯნავედ ახლოს ცხოვრობდნენ ღილღვლები (ქისტები). მათ მუდამ ჰქონდათ ერთმანეთთან მტერობა და მოსისხლეობა, მაგრამ ისევ კარგადაც იყვნენ ერთმანეთთან. ნამეტნავად, ხანდახან ზავი რომ ჩამოვარდებოდა, დაიწყებდნენ ერთმანეთში სიარულს და წვრილმან ყიდვა-გაყიდვას, საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ქისტებს მოჰქონდათ სხვადასხვა იარაღი: თოფები, ხანჯლები, ჯაჭვის და ცხვრის ტყავები, მოყავდათ ცხენები (ალბათ უფრო ნაქურდალი) და ცვლიდნენ არხოტში ძროხებზე და ცხვრებზე" (13: 15).

პირიქითი თუშეთის მობინადრეები სიმინდით, ხორბლით, ქერით და მარილით ითონხალის ბაზრიდან მარაგდებოდნენ (67: 48).

ჩეჩენ-ინგუშების და ქართველ მთიელთა ურთიერთობანი ხორციელდებოდა უშუალოდ მთა-თუშეთისა და ხევსურეთის მთიანი გზა-ბილიკებით, რომლითაც ისინი უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს საბაზრო ადგილებს. ეს კონტაქტები, უმთავრესად, მაისტის, მელხისტის, ხილდიხაროს და ჰაჩაროს თემების წარმომადგენლებთან აღინიშნებოდა (67: 49).

ამგვარი ურთიერთობანი განაპირობებდა მეზობელი უცხო ეთნიკური ჯგუფის ენის ცოდნის აუცილებლობას. როგორც თუშეთში, ისე ხევსურეთში მოსაზღვრე საზოგადოებების მოსახლეობამ ერთმანეთის ენა იცოდა, რაც თავისთავად ხელს უწყობდა მათ ინტენსიურ კავშირებს.

ალ. ოჩიაური იხსენებს: „16-17 წლისა ვიქნებოდი, რომ გავიპარე და წავედი ქისტეთში, ენის დასწავლის მიზნით. კავკავთან ახლო ერთი ქისტებით დასახლებული სოფელი იყო. ქისტები ამ სოფელს ღალმისტიეს ეძახდნენ. ქართველები კი ბაზურგას. ამ სოფელში ერთი ჩემი მოგვარე ცხოვრობდა — ბასილი, და იმასთან წავედი.

მალე გავიჩინე ახალგაზრდა მეგობრები და დავიწყე ღილღური სიტყვების სწავლა. ბასილმა და მაიამ (ბასილის ცოლმა) ღილღური კარგად იცოდნენ და ისინიც მეხმარებოდნენ ენის სწავლაში. გადანყვეტილი მქონდა დღეში 10 სიტყვის დასწავლა და ხანდახან მეტსაც ვსწავლობდი, თან სიტყვებსაც ვიწერდი და ვიზეპირებდი. თან ღილღველებთან ვსაუბრობდი და ვაბამდი ერთმანეთს სიტყვებს. უკვირდა ღილღვლებს ჩემი ადრე დასწავლა ქისტური ენისა, თან კიდეც იცინოდნენ არასწორ გამოთქმაზე და შეცდომებს მისწორებდნენ. ქისტები ისე შემიყვარდა, რომ წამოსვლა აღარ მინდოდა. ყოველ საღამოს მათი ახალგაზრდობა ჩვენთან იყრიდა თავს. მოიტანდნენ ჭიანურს, გარმონს და მართავდნენ ცეკვას..." (13: 16).

ალვანელი მთხრობლის ინფორმაციით: „მთათუშეთის მოსაზღვრე საზოგადოებებში წინათ ქისტური ყველამ იცოდა. ქისტური „საერთაშორისო ენა" იყო. იმის ცოდნა ისეთი აუცილებელი იყო, როგორც დღეს ინგლისურის ცოდნაა საჭირო, მამაჩემიც ლაპარაკობდა ქისტურს" (40).

სასაზღვრო ზოლის საზოგადოებების ურთიერთობათა თავისებურებანი თავს იჩენდა ისეთ სფეროებში, როგორიცაა რელიგია, სამართალი და ოჯახი. განსაკუთრებით აღსანიშნავია განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფთა დამოკიდებულება რელიგიური ღირებულებებისადმი. ამ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხებს საერთო სალოცავები ჰქონდათ. ნ. ხიზანიშვილი ამის თაობაზე წერს: „საკვირველია, რომ თვითონ ხევსურეთს სარწმუნოებივი გავლენა მოუპოვებია მაჰმდიანობაზე. ქისტები ახლაც ლოცულობენ ხევსურების ხატებსა. ზოგ ადგილას, მაგ., სოფ. შატილში ხატის მოსამსახურედაც „ხელოსნად" ითვლებიან (37: 67).

ხევსურებსა და ქისტებს საერთო სალოცავი — ანატორის ჯვარი ჰქონდათ. ქისტები აქ სალოცავად დადიოდნენ და მიჰყავდათ საკლავი — მოზვერი, ვერძი; ხორცს ხარშავდნენ; მიჰქონდათ სამტოტა ფორმის ხავიწიანი ნამცხვრები (ბაჩაყურა) და სუფრას

შლიდნენ. ხალხის თქმით, ანტორის ჯვარს ხევსურების მიერ შენირულ ხარს ერჩია ქისტების ბაჩაყურა (37: 355).

ანატორის ჯვარში დღეობაზე მისული ქისტების საკლავი შატილელი მლოცველის საკლავზე უფრო ადრე უნდა დაკლულიყო. (22: 74) ანატორის ჯვრის ნიში ჰქონდათ მითხოში, ქისტეთში, სადაც მიდიოდა ანატორის ჯვრის ჯვარიონი (19: 71)

ანატორის ჯვრის მოძმედ ითვლებოდა არხოტის მთავარანგელოზი, მიღმახევში — ხონეს მთავარანგელოზი, რომელიც აგრეთვე ქისტების სალოცავიც იყო (38: 29-30).

ანატორის ჯვარი ღილღოს მხარეს წასულ მონადირეს ჰველოდა ნადირობაში, ხევსურეთის მხარეს — შატილის ხეობაზე წასული მონადირის მფარველი კი შატილის ღვთისმშობელი იყო (19: 71). ხატის ხელკაცებს ანატორის ჯვარი ქისტის იერით ეჩვენებოდათ.

ხევსურები და ვაინახები თაყვანს სცემდნენ ხახმატის წმ. გიორგის, გუდანის ჯვარს, იახსარს და სხვა წმინდანებს.

წმ. გიორგის ხახმატის ჯვარი, რომელიც კავკასიის მთიელთა საერთო სალოცავად ითვლებოდა, ხევსურულ სასულიერო ტექსტებში „რჯულიან-ურჯულოთ" სალოცავად მოიხსენიება. მას ფშაველ-ხევსურთა გარდა ქისტებიც (ჩეჩნები და ინგუშები) ლოცულობენ. ხახმატის ჯვარს თუშ-ფშავ-ხევსურნი და ქისტებიც ძირითადად ნაყოფიერებას, სიუხვეს და ბარაქიანობას შესთხოვდნენ. ამ ხატში თუშ-ფშავ-ხევსურ ქალებთან ერთად აღდგომას, ახალწელს, გიორგობას და სხვ. აღნიშნავდნენ მთიანი ჩეჩნეთის და ინგუშეთის საზოგადოებებიდან მოსული ქალებიც. ისინი ერთად ასრულებდნენ ლოცვებს და ხატს მსხვერპლს წირავდნენ (24: 155). ხახმატის ჯვრის დღეობებზე დღესაც შეხვდებით ხევსურს, ფშაველს და ქისტს, რომელიც სანთლითა და საკლავით ხატისთვის მფარველობის სათხოვნელად არის მოსული. მუცოს სათემო სალოცავში მთავარანგელოზის ჯვარში, ხონეს საათენგენოდ ახლაც მიდიან ქისტი ბორჩაშვილები ძღვენითა და საკლავით, სადაც ტრა-

დიციულად იხდიან რელიგიურ დღესასწაულს. ბორჩაშვილები მუ-ცოში მაისტიდან გადასულან, ამჟამად კი ისინი პანკისში, სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობენ (9: 23).

სეტყვის თავიდან ასაცილებლად ლოცულობდნენ ხახმატშიც და ქისტების მაისტის ხატშიც, რომელიც ქვისა ყოფილა და ზედ კაცი იყო გამოსახული. ამ ხატს საკლავსაც უკლავდნენ (38: 71). მა-ისტის საზოგადოებაში დღესასწაულებს ესწრებოდნენ თუშები, ფშავლები, ხევსურები.

საზიარო სალოცავი ხატი ჰქონდათ ჩიღოელ თუშებს და ხულანტელ ქისტებს ქავთარის მთაზე, სადაც გვიანობამდე ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულს.

ალვანელი რესპონდენტის ინფორმაციით: „ჩიღოს თავზე ქის-ტებთან საერთო სალოცავი — ქავთარ-ტოლიკანი იყო; აქ დღეობა ლაშარობის მეორე კვირას იმართებოდა. დღეობაზე ხულანტელი ქისტები მოდიოდნენ. კვირა დილას წავიდოდით, ავიტანდით საჭ-მელ-სასმელს. შულტები იქ იყვნენ. ქისტების პატივისცემით ჯერ ქისტების საკლავი იკვლებოდა და მერე ჩვენი. ქრისტიანის დაკ-ლულს ისინი არა ჭამდნენ. მერე გაიმართებოდა დღეობა. იქვე ერთი ნარიანი ადგილი იყო და კაცები ქორბელელას მართავდნენ. ქალებს კი ეს ქორბელელა უნდა დაეშალათ. იყო ერთი ამბავი, ქალები იწევდნენ, ის კაცები კი, ვინც ქორბელელაში არ იდგნენ, ქალებს იგერიებდნენ. ქორბელელაში ქისტები არ დგებოდნენ, მაგრამ ქალების მოგერიებაში ქისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. და, საერთოდ, ჩვენსავით, ყველანაირ შეჯიბრში მონაწილეობდ-ნენ. სუფრას საერთოს ვშლიდით. ქისტებს თავიანთი ხორცი ედგათ წინ, დანარჩენი — პური, ქადები, ყველი საერთო იყო.

მზის ჩასვლისას დავიშლებოდით და მერე ვიცოდით ტარკუშა-ზე გაქცევა. 10 კაცს გამოიყვანდნენ, კარგ მორბენალს. ჩიღოს თავს ნიშია, სახლების მაღლა, იქ გამოიტანდნენ დიდ ტარკუშას — ლუდით სავსეს. იქიდან დაიქცეოდნენ, ეჯიბრებოდნენ სირბილში.

მერე ღამე ღრეობდნენ, დილამდე სვამდნენ. ქისტებისათვის სპეციალურად იყო სასმელი ბოძა (ქერის ბურახი — ნ. ჯ.). ქისტები ღამისთევით რჩებოდნენ, ზოგჯერ ორი-სამი დღეც კი დარჩენილან. ქისტები რომ გაასახლეს, იმის მერე დღეობაში აღარ მოდიოდნენ. ახლა კი, ერთი თხუთმეტი წლის წინ მახსოვს, რომ საერთო დღეობა ჰქონდათ (დიმიტრი ქავთარიძე, 81 წლის, ზემო ალვანი).

როგორც ცნობილია, ნებისმიერი უცხო კულტურული ფენომენის დამკვიდრება მთის საზოგადოებაში (ვგულისხმობ ტრადიციულ, პირობითად დახურულ საზოგადოებას), განსხვავებით ბარისაგან, ძალზე რთული და მტკივნეული პროცესია. კონსერვატული მთური საზოგადოება, თავისი სოციო-კულტურული განვითარების დონისა და მენტალიტეტის გამო ძნელად იღებდა მისთვის ახალ და უჩვეულო კულტურის ელემენტებს. რთული და წინააღმდეგობით აღსავსე იყო ქრისტიანობის დამკვიდრების გზა საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც იგი სინკრეტული ფორმით მოგვევლინა და სადაც ქრისტიანულ ელემენტებს დღესაც კი წინაქრისტიანული მახასიათებლები სჭარბობს (39). იგივე ვითარება აღინიშნებოდა ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. როგორც ზემოთ ითქვა, ვაინახებში საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა, თუმცა, მან, როგორც, მათი მეზობელი ქართველი მთიელების შემთხვევაში, ვერ იმძლავრა ადგილობრივ სარწმუნოებაზე და ხალხურ რწმენა-წარმოდგენებსა და კულტებს მათ რელიგიურ ყოფაში კვლავ წამყვანი ადგილი ეკავა.

მართალია მოგვიანებით, მაგრამ, ვაინახ მთიელებში მუსლიმურმა რელიგიამ თანდათანობით მაინც მოიკიდა ფეხი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ანალოგიურად, მათმა სარწმუნოებამაც განსხვავებულ რელიგიურ კულტურათა ჰიბრიდული სახე მიიღო. ამიტომ, როდესაც რელიგიურ სფეროში ქართველ და ვაინახ მთიელთა ურთიერთობას ვეხებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არც ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმო-

მადგენელთა სარწმუნოება თავისი ფორმითა და შინაარსით არ ყოფილა ჭეშმარიტად ქრისტიანული და მუსლიმური. შესაბამისად, არც ეს ხალხები იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები და მუსლიმები. ბუნებრივია, ვაინახთა გამაჰმადიანებამდე პერიოდში მათი და ქართველი მთიელების რელიგიური ურთიერთობა ემყარებოდა ლოკალურ რწმენა-წარმოდგენებს და კულტმსახურების ნორმებს, რაც ტრადიციის ძალით არ შეცვლილა შემდგომაც; განსხვავებულმა რელიგიურმა აღმსარებლობამ, მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, ქართველ და ვაინახ მთიელებს ვერ შეუშალა ხელი საერთო სალოცავების და ნათელ-მირონობის, ერთობლივი კულტმსახურების და სხვ. ქონაში. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული და მუსლიმური დოგმები ვერ იქცა ეთნოსთაშორისი ურთიერთობებისა და რელიგიურ ღირებულებებთან მათი დამოკიდებულების ბარიერად.

ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისაც, რომ ვაინახები და ხევსურები ხშირად ერთმანეთის ქალებს ირთავდნენ ცოლად. ნათესაური კავშირები მათ შორის დღესაც აღინიშნება — პირიქითა ხევსურეთის მკვიდრთ უკვე პანკისელი ქისტის ქალები მოჰყავთ ცოლად. ხოლო თუშეთშიც და პანკისშიც მრავალ შერეულ ოჯახს შეხვდებით. თუმცა მთხრობლები აღნიშნავენ, რომ ისლამის გააქტიურებამ დღეს მნიშვნელოვნად შეაფერხა ეს პროცესი.

საკვლევი სასაზღვრო ზოლის სპეციფიკა თავისებურად აისახა ეთნიკურ ჯგუფთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში. ვაინახი და ქართველი მთიელები, საჭიროების შემთხვევაში, ერთად აწარმოებდნენ რჯულს და თავიანთი სამართლებრივი საქმეების გადაჭრისას მოწინააღმდეგე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს იწვევდნენ; ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად ქვემოთ შევჩერდებით.

ტერიტორიული ფაქტორი განაპირობებდა მიგრაციების სიხშირეს აღნიშნულ რეგიონში და სტიმულს აძლევდა კულტურის გარკვეული ელემენტების დიფუზიას. ეს პროცესები ყველაზე ინ-

ტენსიურია პირიქითა ხევსურეთის და თუშეთის ჩეჩნეთთან უშუალოდ მოსაზღვრე საზოგადოებებში. სპეციალისტების აზრით, ეს დასახლებები ინტერეთნიკური პრინციპების გავრცელებისა და გამოვლენის სატრანზიტო ფორპოსტებია. ისინი ერთგვარი ბუფერული ან ლიმიტროფული ზონებია, სადაც ყალიბდებოდა განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფთა ნორმალური თანაცხოვრების პირობები. დროთა განმავლობაში ასეთ ზონებში იქმნებოდა განსაკუთრებული ადგილობრივი კულტურული კოლორიტი, რაც ხშირად შერეული კულტურის სახით არის წარმოდგენილი (63: 34-36). ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს იძლევა პირიქითა ხევსურეთის, ე. წ. მიღმახევის სოფელი მუცო, რომელიც შეიძლება სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის ურთიერთობათა ერთგვარ მიკრომოდელად ჩაითვალოს: მუცოში ერთად ცხოვრობდნენ ხევსურები და ქისტები, ოღონდ ერთმანეთისგან ნახევარი კილომეტრის დაშორებით. მათ აკავშირებდათ ნათესაობა. აქაური ხევსურის ქალები ქისტებზე თხოვდებოდნენ და პირიქით... ერთმანეთის ენა ორივე მხარემ კარგად იცოდა. ხევსურები ერთმანეთშიც კი ქისტურად ლაპარაკობდნენ. ქცევაც ქისტებისგან ჰქონდათ გადმოღებული — უფროს-უმცროსობა, სტუმართმოყვარეობა, სტუმრის დაცვა, სისხლის აუცილებელი აღება, ქურდობაც კი ქიტების მსგავსად აუცილებლად მიაჩნდათ (15: 112).

სოფელ მუცოში მცხოვრები ხევსურებისა და ჩეჩენების ურთიერთობა ისეთივე იყო, როგორც საერთოდ ქართველ მთიელთა და ვაინახთა ურთიერთობა ყოფის ნებისმიერ ასპექტში. მართალია, ისინი ერთ ტერიტორიულ სივრცეში ცხოვრობდნენ, მაგრამ სახლობდნენ ეთნიკურობის პრინციპის დაცვით: მათ შორის იყო ნახევარკილომეტრიანი მიჯნა, რაც „ჩვენსა“ და „მათ“ იზოლაციას ახდენდა. სოციალური და ეკონომიკური კავშირების გარდა, ამ ჯგუფებმა ერთმანეთის ენა კარგად იცოდნენ, ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე, იმისდა მიუხედავად, რომ მთური ტრადიცია კრძალავ-

და თანასოფლელთა დაქორწინებას. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა გულისხმობდა აგრეთვე მათ მიერ რელიგიური ბარიერის უგულებელყოფასაც. ამდენად, მუცოს საზოგადოება შეიძლება მივიჩნიოთ მეზობელ ხალხთა შორის ურთიერთობის ერგვარ მინიატურულ მოდელად.

კონფლიქტური სიტუაციები. ისტორიულად არსებული მჭიდრო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირების მიუხედავად, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობანი საკვლევ სასაზღვრო ზოლში გარკვეული მიზეზების გამო ერთმანეთთან დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, რაც უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტით მთავრდებოდა.

კონფლიქტებს განაპირობებდა ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივ-ეთიკური და რელიგიური ფაქტორები. მწირი და მცირე მიწის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, სიდუხჭირე, კუთვნილი ტერიტორიების საზღვრების მტკიცედ დაცვის აუცილებლობა, რელიგიური ღირებულებების ხელყოფა და ყოფითი ურთიერთობების ტრადიციული ნორმების დარღვევის შემთხვევები მთიელთა შორის განხეთქილების გამომწვევი მიზეზები იყო. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია მთიელთა მენტალიტეტი, რომელიც ვაჟკაცობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ პირობად მეზობელი ტომის ძარცვა-რბევას მეკობრეობას და მათი წევრების კვლას გულისხმობდა.

კონფლიქტები განსაკუთრებით გამძაფრდა რუსეთის მიერ კავკასიელი ხალხების დამორჩილების შემდეგ. XIX საუკუნეში მეზობელ ქართველ და ვაინახ მთიელთა შორის თავისთავად არსებულ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს უფრო მეტ სიმძაფრეს მატებდა იმპერიის განმტკიცების რუსული პოლიტიკა, რის აუცილებელ პირობადაც კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან დაპირისპირება მიიჩნეოდა. მასშტაბების თვალსაზრისით, კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება წარმოქმნილიყო როგორც ცალკეულ პიროვ-

ნებებს, ასევე ჯგუფებს შორისაც. ამიტომ ფორმის მიხედვით, საკვლევ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტები დავყავით:

1) პიროვნებათშორის — ინტერპიროვნულ და

2) ჯგუფთაშორის — ინტერჯგუფურ კონფლიქტებად.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ რეგიონში ინტერპიროვნული კონფლიქტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალიან ხშირად ინტერჯგუფურ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე. ხევსურთა ყოფაში უამრავი ფაქტი მოიძევება იმისა, თუ როგორ იღებდა პიროვნებათშორისი კონფლიქტი (ქურდობა, შეურაცხყოფა...) მასშტაბურ ხასიათს და მასში მთელი გვარი და ერმიც კი ჩაერთვებოდა. ასეთ შემთხვევაში ვლინდებოდა ჯგუფის დარაზმულობის მაღალი დონე და, შესაბამისად, ტრადიციებისა და ქცევის ნორმების აუცილებელი დაცვის ტენდენცია და კოლექტივისტური საზოგადოების წევრებისათვის დამახასიათებელი ძლიერი იდენტიფიკაცია ჯგუფთან.

კონფლიქტური სიტუაციების გამომწვევ ფაქტორთა კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგნაირად წარმოვადგინეთ:

ეკონომიკური	1. ნერილმანი ქურდობა 2. ყაჩაღობა (მეკობრეობა) 3. დავა მინის გამო
ზნეობრივ-ეთიკური	1. ფიზიკური შეურაცხყოფა 2. ვერბალური შეურაცხყოფა: ა) ლანძღვა, გინება ბ) დაცინვა, აბუჩად აგდება, ჭორაობა 3) ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დარღვევა
რელიგიური	1. რელიგიური ღირებულებების ხელყოფა
ტრადიციული	1. სისხლის აღება

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ეკონომიკური ფაქტორი. აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც და ვაინახებშიც წვრილმანი ქურდობა, ნივთების ან პროდუქტების მოპარვა მეზობლებისა თუ თანასოფლელებისთვის სასტიკად იგმობოდა და გარკვეულ სასჯელსაც იმსახურებდა. სამაგიეროდ სხვა მეზობელი ტომის წარმომადგენლებისათვის ცხვარ-ძროხისა და ცხენების გამორეკვა-მოტაცება, იგივე მეკობრეობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიელ მთიელებში, დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საგვარეულო წეს-წყობილების დროს მეკობრეობა იმ შემთხვევაში ითვლებოდა საძრახის საქმედ, თუ ის ერთი გვარის შიგნით ხდებოდა, „სხვა გვარის გაძარცვა, დარბევა და გაქურდვა, თუნდაც ეს ნავარდობა მკვლელობით დამთავრებულიყო კიდეც, ისეთ საქებურ და სასახელო გმირობად მიაჩნდათ, რომ მეკობრეთა ასეთ ვაჟკაცობას ზოგჯერ ლექსითაც შეაქებდნენ ხოლმე (42: 225-226).

თამარ მეფის დროს ყოველგვარი დანაშაულისთვის სასჯელი შემცირებული იყო, გარდა მეკობრეობისა, ვინაიდან ხელისუფლებისთვის ავაზაკობა მიუტევებელ ბოროტმოქმედებად ითვლებოდა. XII საუკუნეში საქართველოში მეკობრეს, ავაზაკს ძელზე ახრჩობდნენ, ხოლო ულუ-დავითის დროს მეკობრეობა აღარც ყოფილა (42: 227).

გვიანფეოდალური ხანის ქართულ ისტორიულ წყაროებში საქართველოს ბარში მეკობრეობის ინსტიტუტი არ აღინიშნება, მაშინ როცა კავკასიის მთის სინამდვილეში სულ სხვაგვარი სურათი გვაქვს.

ხევსურები, თუშები და ვაინახები, როგორც უშუალო მეზობლები, ერთმანეთში მეკობრეობას ეწეოდნენ, რასაც პირველ რიგში პრაქტიკული მიზანი ჰქონდა. ამგვარი საქმიანობა განპირობებუ-

ლი იყო სათანადო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით: მძიმე საარსებო ვითარებით გამოწვეულ სიღარიბეს და უქონლობას მთიელი ერთგვარად ივსებდა მოტაცებული დოვლათით, საკუთარს შემატებდა და, ავად თუ კარგად, იოლად გაჰქონდა თავი. ასევე, ლაშქრობის მოტივი იყო ტყვეების მოტაცება გამოსასყიდის აღების მიზნით და დაბეგვრა. ამავე დროს, სიძნელეებთან და ხიფათთან დაკავშირებული ეს საქმიანობა პრესტიჟულადაც ითვლებოდა.

პ. ზისერმანის ცნობით, XIX საუკუნის ბოლო პერიოდისთვის მეკობრეობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხევსურეთში, ხოლო მსგავს აქციებს მეზობელი კუთხეების მიმართ XX საუკუნის დასაწყისშიაც ჰქონია ადგილი (53: 321). დავძენთ, რომ ქართველი მთიელები და მათი მეზობელი ვაინახები ამ ხასიათის თავდასხმებს არა მარტო აღნიშნულ პერიოდში, არამედ მოგვიანებითაც ეწეოდნენ.

როგორც გ. ცოცანიძე „თუშურ ქრონიკებში აღნიშნავს: 1917 წელს ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდგომ ჩეჩნეთ-ხევსურეთის, ჩეჩნეთ-თუშეთისა და თუშეთ-დაღესტნის საზღვრებზე დატრიალდა ეთნოკონფლიქტების ქარბორბალა, რომლებსაც თუმც ეთნო-რელიგიურად შეფერილს, ეკონომიკური საფუძველი შეაპირობებდა: ველობა-მეკოპრობის ინსტიტუტი ოდითგან დამახასიათებელი ამ რეგიონებისათვის ახლა უდიდესი ძალით ამოქმედდა, გახშირდა ქისტებისა და თუშების, ქისტებისა და ხევსურების, ლეკებისა და თუშების ურთიერთ მიხტომ-მოხტომები, პირუტყვის ფარებისა და ნახირების დატაცება (34: 6-8).

ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, „მენშევიკების მთავრობის დროს ქისტები ძალიან თარეშობდნენ ფშავლებზე, თუშებზე და ხევსურებზე. იტაცებდნენ ათასობით ცხვრის ფარას, ასობით ცხენს და მსხვილფეხა პირუტყვს. მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა მათ. ამათ ბუნებრივად თანდაყოლილი ქონდა ქურდობა და ყაჩაღობა. ვისაც ეს არ შეეძლო, კაცად არ თვლიდნენ და ქალიც არ გაჰყვე-

ბოდა ცოლად. ასეთ კაცზე ქისტის ქალი იტყოდა, ისიც ქალია და მეც ქალი ვარ, ვაუკაცობის თავი მაგას არა აქვს და ცოლად სად გავ-ყვებიო“ (15: 160).

ასე რომ, თუ ვაინახი ახალგაზრდა არ ქურდობდა და არ ყაჩაღობდა, მას ვაუკაცის სახელი არ ჰქონდა და არაფრად აგდებდნენ. ანალოგიური ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებშიც, თუმცა ქისტები უფრო განაფული იყვნენ ამ საქმიანობაში. ქართველი და ვაინახი მთიელები ერთმანეთს ძირითადად საქონელს ჰპარავდნენ. დაზარალებული ცდილობდა დანაკარგის დაბრუნებას, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა, თავს ვალდებულად თვლიდა მტრისთვის სამაგიერო გადაეხადა და თავისი საქონლის სანაცვლო ჩაეგდო ხელში. მთიელთა ყოფაში იყო შემთხვევები, როცა პატრონი გატაცებულ საქონელს გზიდანვე დააბრუნებდა უკან; მდევარი იშვიათად მიჰყვებოდა გამტაცებელს ბოლომდე. თუ საქონელს მაშინვე ვერ მოიხელთებდნენ, ქურდსა და დაზარალებულს შორის ჩამოვარდნილ მტრობას, შესაძლებელია, ფართო მასშტაბები მიეღო და შემდეგ, კონფლიქტში მთელი სოფელი, თემი ჩაბმულიყო; ამგვარ ვითარებას, თავისთავად სისხლისღვრა მოჰყვებოდა ხოლმე.

მთიელთა მიერ აგრერიგად შექებული ქურდობა-ყაჩაღობა იმდენად აუცილებელი თანმხლები ელემენტი იყო მათი ყოფისა, იმდენად გამჯდარი იყო მათ ცნობიერებაში, რომ, უფრო მოგვიანებით, როცა ქურდობას ეკონომიკური ფაქტორი აღარ განსაზღვრავდა (ე. ი. სიდუხჭირე არ აიძულებდა), მთიელი მაინც ქურდობდა და ყაჩაღობდა. ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით XX საუკუნეშია აღსანიშნავი.

ეთნოგრაფიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ ქართველ მთიელთა და ვაინახთა მიერ ერთმანეთის საქონლის დატაცების ფაქტებს XX საუკუნის 80-90-იან წლებში და მოგვიანებითაც კი ჰქონდა ადგილი.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა არხოტში, საიდანაც ინგუშებმა საირმის მთის საძოვარზე გაშვებული 60 სული საქონელი ღამით გადარეკეს საზღვარზე. მდევარი კვალდაკვალ დაედევნა ქურდებს. ამავე დროს არხოტში ვერტმფრენით ჩავიდა ძირად არხოტელი რამდენიმე მამაკაცი, რომლებმაც გამტაცებლების ძებნა ვერტმფრენითვე გადაწყვიტეს. ასე რომ, სიტუაციის გაკონტროლება მოხერხდა ზევიდანაც. ხევსურები შეიარაღებული იყვნენ. საფრთხის მოახლოებისთანავე ქურდებმა მიატოვეს ნადავლი და დაიმალნენ. პატრონებმა უპრობლემოდ გამორეკეს საქონელი შინ; ასე რომ არა, ხევსურებსა და ინგუშებს შორის შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა (41).

ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი პირიქითა ხევსურეთშიც. ვინმე ბ. დაიაურს ჩეჩნებმა მოჰპარეს ცხენები. პატრონმა მიაგნო ქურდების კვალს, მაგრამ ეს უკანასკნელნი უარობდნენ. დაიაურმა შეიტყო ცხენების ადგილსამყოფელი. მან წინასწარ დაიქირავა თბილისიდან სატვირთო მანქანები, ჩავიდა ჩეჩნეთში, გამორეკა იქიდან 400-მდე სული ცხვარი თავის მწყემსებიანად, დასვა მანქანებზე, წამოიყვანა ლილოში, მწყემებს გადაუხადა ფული და შინ გაუშვა. ცხვარი გაყიდა, გადმოსახლდა ლილოში და აქ დაიწყო ცხოვრება. ამდენად, მას ქისტები ვეღარ მისწვდებოდნენ. ეს შემთხვევა გახდა შემდეგ მიზეზი სოფ. ჯარეგოში ხევსური მწყემსების — შეთეკაურისა და მინდიკაურის დახოცვისა 1992 წელს (41).

ასევე, 2000 წლის ზაფხულში ფშავის სოფ. შუაფხოდან ქისტებმა მოიტაცეს ცხვრის ფარა, რომელიც გადარეკეს უკანაფშავში და უნდოდათ გადაეყვანათ თუშეთში. ამ შემთხვევაშიც არანაირი ექსცესი არ მომხდარა, ვინაიდან ქურდებს ვერტმფრენით დაუწყეს ძებნა, ამ უკანასკნელთ კი დამალვა არჩიეს. გატაცებული საქონელი უპრობლემოდ იქნა დაბრუნებული (41).

XX საუკუნის მიწურულს მომხდარი ზემოხსენებული აქციები გამოძახილს მეკობრეობის უძველეს პრაქტიკასთან პოულობს.

ეკონომიკური ფაქტორებით იყო შეპირობებული მთიელთა შორის არსებული დაუსრულებელი დავა მიწის გამო. როგორც ქართველ მთიელებს, ასევე მათ მეზობელ ჩეჩნებსა და ინგუშებს მიწის მცირე სავარგულები ჰქონდათ (სახნავ-სათესი, საძოვრები). როგორც ზემოთ ითქვა, ქართველები ვაინახებისგან ბეგარითაც კი იღებდნენ ადგილებს, სადაც საქონელს აბალახებდნენ და ზამთარში გამოსაკვებად მიჰყავდათ (მაგ., სოფ. ამღის მცხოვრებნი ქისტების საზღვარზეც კი ჩადიოდნენ და იქ მოჰყავდათ მოსავალი). ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა ხსოვნა იმისა, რომ ოდესღაც ესა თუ ის ადგილი გარკვეული ეთნიკური ერთეულის საკუთრება იყო. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათ პრეტენზია გამოეცხადებინათ მათთვის საჭირო ტერიტორიაზე იმ ნიშნითაც, რომ ის ოდესღაც მათ ეკუთვნოდა.

საკვლევ რეგიონში ძირითადად ასეთი სურათი გვხვდება: ქართველი მთიელები იჩემებდნენ მიწას, როგორც მისი მკვიდრნი, ხოლო ვაინახები — როგორც ძველი პატრონები. მაგ. ინგუშები იჩემებდნენ მთელი არხოტის მიწა-წყალს — ჩვენ გვეკუთვნისო, რის გამოც მათ შორის დიდ დავასა და შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი (ბევრი ბჭობისა და საქმის გარჩევის შემდეგ ტერიტორია დარჩათ ხევსურებს). მიწის გამო დავობდნენ ჩეჩნები და პირიქითელი ხევსურები. ჩეჩნები იჩემებდნენ მათ საძოვრებს და სოფ. ხახაბოსაც. მიწის გამო დავას ხშირად სისხლისღვრა მოჰყვებოდა ხოლმე. გარდა ზემოაღნიშნულისა, დაფიქსირებულია ვაინახების პრეტენზიები ხევსურების ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც მათ რჯულის თანახმად სისხლის საფასურად (ანუ მოკლული ნათესავის სისხლის სანაცვლოდ) ეკუთვნოდათ. ასეთი იყო, მაგალითად, სოფელი კალოთანა, რომელიც წესით, კალოთანელთა მიერ მოკლული ქისტის — ანდარუყოს გვარის კუთვნილება უნდა გამხდარიყო; მაგრამ იმის გამო, რომ ხევსურები არ თანხმდებოდნენ, ეს სოფელი დაუსრულებელი შუღლის ობიექტად იქცა.

თანამედროვე პერიოდში პანკისელი ქისტებისა და თუშების დაპირისპირების ობიექტი გახდა თუშების კუთვნილი ტბათანას საძოვრები, სადაც მოხვედრა პანკისის ხეობის გავლით არის შესაძლებელი. ეს საძოვრები ზედ აკრავს პანკისის ხეობას და გამოსაყენებლად პანკისელებისათვის უფრო მოსახერხებელია. ამიტომაც ქისტებმა არ აუშვეს აქ თუშები; თუმცა ამ ფაქტს დღეს ღია კონფლიქტის სახე არ მიუღია, მაგრამ ამის გამო უკმაყოფილება თუშ მოსახლეობას შორის აშკარად შეიმჩნევა.

ამრიგად, ეკონომიკური ხასიათის დაპირისპირებანი საკვლევ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაბი იყო.

ზნეობრივ-ეთიკური ფაქტორი. ამ ჯგუფში გაერთიანდა ის ფაქტორები, რაც ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციას ზნეობრივი ღირებულებების ხელყოფის ნიადაგზე; ხოლო იგი ბიძგს აძლევდა, როგორც ინტერპიროვნულ, ასევე შემდგომ ინტერჯგუფურ კონფლიქტებს. ამ პუნქტში პირველ რიგში ვგულისხმობთ მთიელთა მორალური კოდექსის ნორმების დარღვევას, რაც მტკივნეულად აღიქმებოდა ორივე მხარის მიერ. აქ შედის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ადათ-წესების დარღვევა და სხვ. მაგ. მთიელთა ზნეობრივი ნორმებით, არ შეიძლება ქალს უპატივცემულოდ მოექცე. ამიტომ მთაში მარტო მიმავალ ქალს შემხვედრი უცხო მამაკაცის შიში არა აქვს. თუ ქალს ვინმე შეურაცხყოფდა, ეს შემდგომ აუცილებლად კონფლიქტის მიზეზი გახდებოდა. იმდენად ძლიერი იყო ტრადიცია, რომ ხევსურეთში ბიძებს საკუთარი ძმისშვილიც კი მოუკლავთ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს გზაზე ქისტის ქალები გაუძარცვავს და შეურაცხყოფა მიუყენებია. სხვათა შორის, დღეს ქართველი მთიელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქალის პატივისცემის აღნიშნული ტრადიცია ქისტებში უფრო მყარად არის შემონახული ვიდრე ქართველებთან (41).

ლანძღვა-გინება, დაცინვა, მასხრად აგდება და მუქარა ხშირად გამხდარა ქართველ და ვაინახ მთიელებს შორის ამტყდარი კონფლიქტის მიზეზი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის უთანხმოებანი საკვლევ რეგიონში, თითქმის ყოველთვის, შურისძიებით მთავრდებოდა, ანუ შეურაცხყოფილი მხარე მორალურ კმაყოფილებას მხოლოდ მოწინააღმდეგის მოკვლით ღებულობდა.

ალ. ოჩიაურის არქივში მთიელთა ყოფაში მომხდარი უამრავი ამგვარი ფაქტია დაფიქსირებული: თუშებს, ფშავლებსა და ხევსურებს დაულაშქრავთ მითხო. გაუძარცვავთ მოსახლეობა, შეუკრებიათ საქონელი, ცხენები, სპილენძი და ა. შ. მაშინვე არ წამოსულან მითხოდან და ცოტა ხანს იქ გაჩერებულან. ამასობაში თუშებს ქისტის ქალებისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შემდეგ, ქართველ მთიელთა ლაშქარზე თავდასხმის დროს ქისტებმა ერთიანად ამოხოცეს ყველა თუში, რითაც თავიანთი ქალების შეურაცხყოფისთვის ჯავრი იყარეს (16).

ერთხელ ჩხორეგოელმა ქისტის ქალმა არხოტელ ოჩიაურებს დასცინა: „რომ იმუქრებით და იკვეხნით, დღისით, მზისით სოფელ ჩხორეგოში შევალთ, მტერს თავის კარებზე მოვკლავთ, ჩვენ კი ცოცხლები წავალთო, აბა, ვინძლო ჰაატა ლოგინში მომიკლათ და ქვითკირის ბანიდან სალუდე ქვაბი გადმომიგდოთო“.

ოჩიაურებმა იწყინეს — დიაცი დაგვცინის და ჩვენ პურსა ვჭამთ, რად გვინდა სიცოცხლე, თუ სხვის დასაცინად მზეზე დავდივართო. საპასუხოდ, ჩხორეგოში წავიდნენ სამნი, ჰაატაც მოკლეს და სალუდე ქვაბიც გადმოაგდეს (1: 55).

რელიგიური ფაქტორი. ამ პუნქტში ვგულისხმობთ კონფლიქტის წარმომშობ იმ მიზეზებს, რომლებიც რამენაირად დაკავშირებულია რელიგიური ღირებულებების ხელყოფასთან. მაგ.: ხატის//ჯვრის განძის მოპარვა, ჯვრის ტერიტორიაზე გარკვეული საქმიანობის წარმოება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზეზით

წარმოქმნილი კონფლიქტები ძალიან უმნიშვნელოა, ვინაიდან, ქართველი და ვაინახი მთიელებისთვის ჯვარი იმდენად წმინდაა, რომ ყოველგვარ აკრძალულ საქმიანობას მასთან მიმართებით ნებისმიერი ერიდება.

ტრადიციული ფაქტორი. ამ პუნქტში ვგულისხმობთ კონფლიქტის განმაპირობებელ ისეთ ტრადიციას, როგორიცაა სისხლის აღება. სისხლით შურისძიების უძველესი ჩვეულება, რომელიც საკვლევ რეგიონში გვიანობამდე იქნა შემონახული, ზოგადად შეიძლება კავკასიის მთის საზოგადოებისთვის სპეციფიკურ ეთნოკულტურულ მახასიათებლად ჩაითვალოს. ამ ტრადიციის ფესვები საზოგადოების განვითარების ადრეული საფეხურებიდან იღებს სათავეს (ჯავახიშვილი), ხოლო შემდგომ სახელმწიფო და საზოგადოება სასტიკად ებრძოდა მას; მიუხედავად ამისა, ქართველი მთიელები და ვაინახები XXI საუკუნის დასაწყისშიც კი არ ღალატობენ ამ ჩვეულებას.

მეზობელ მთიელთა შორის წარმოქნილი ინტერპიროვნული თუ ინტერჯგუფური წინააღმდეგობანი სხვადასხვა მიზეზთა გამო ძალადობის სახეს იღებდა და შემდეგ, უფრო ხშირად, კონფლიქტში გადაიზრდებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი ჯგუფის ან პიროვნების მიერ მეორის მიმართ ქურდობის, ყაჩაღობის, შეურაცხყოფის, მიწის გამო დავის და ა. შ. ქმედობები კონფლიქტურ სიტუაციად ყალიბდებოდა, რომელიც ხშირად კაცის კვლით მთავრდებოდა. მკვლელობის შემთხვევაში სისხლის აღება ანუ სიკვდილით შურისძიება გარდაუვალი იყო. ნ. ხიზანიშვილი აღნიშნავდა, რომ „შურისძიება აქ ჩვეულება, სავალდებულო კანონი იყო, რომელსაც ვერავინ უღალატებდა“ (38: 250). ტრადიციის თანახმად, მოკლულის გვარის მამაკაცებს შური უნდა ეძიათ მკვლელზე ან მისი გვარის მამაკაცზე. მთის საზოგადოებებში მოქმედი ტალიონის პრინციპი — სისხლი სისხლისა წილ, კბილი კბილისა წილ“ იწვევ-

და სისხლის აღების ქმედობათა უწყვეტი ჯაჭვის წარმოქმნას, რაც მთის ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობის უმოწყალო განადგურების მიზეზი იყო, თუ, რა თქმა უნდა, არ გატარდებოდა გარკვეული ღონისძიებები მის აღსაკვეთად.

მართალია, მოგვიანებით შურისძიებისა და სისხლის აღების ინსტიტუტი სისხლის დაურვების სისტემამ, ანუ მატერიალურმა საზღაურმა შეცვალა, რომელსაც დამნაშავე დაზარალებულის ნათესავებს უხდიდა, მაგრამ კავკასიელ მთიელებში სისხლზე სისხლის აღება გვიანობამდე უფრო სასახელოდ ითვლებოდა.

მაგალითად, ხევსურეთში „სახელის ქნა“ მოწინააღმდეგეზე, მოსისხლეზე შურისძიებას, მის მოკვლას გულისხმობს. აქ ქისტის მოკვლით მთელი გვარი ამაყობდა; ქისტის მკვლელი შინ სახელიანი ბრუნდებოდა. მას ლექსებს უძღვნიდნენ და მისი გვარის ყველა მამაკაცს ამ ლექსებს უმღეროდნენ. მისი გმირობის ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათ სახელს ყველა შენატროდა: „ნეტავი მაგათ, რომ ჯარზე სახელიანები დასხდებიანო“. ის ვისაც სახელი არ ექნებოდა ნაქნარი, თუნდაც სხვა მხრივ საუკეთესო თვისებებით ყოფილიყო შემკული, ხევსურეთში არც კაცს მოსწონდა და არც ქალს. მას კარგი ქალი ცოლად არ გაყვებოდა: „განა რითი არიან ჩემზე მეტნი სხვა ქალები, რომ სახელიანი ქმრები ჰყავთ, მე რად წავყვები ისეთ ქმარს, რომ სახელიანი არ იყოსო“ (16: 248).

სისხლს რომ აიღებდნენ, ხევსურები მოკლულს თავიანთ მკვდარს შესნირავდნენ, „უმცროსიმც ხარ (ამისა და ამისა), ჯღანსამც უბანდავ, წყალსამც უზიდავ, მომსახურებასამც უწევავ საიქიოსავ“ (16: 244), ანუ, ხევსურთა შეხედულებით, მოკლული ქისტი საიქიოში გარდაცვლილის მსახური ხდებოდა. იგივე ტრადიცია ჰქონდათ ვაინახებსაც. ხევსური მოკლულ ქისტს მარჯვენას მოჭრიდა და როგორც შურისძიებისა და ჩადენილი გმირობის დამადასტურებელს ციხის კედელზე მიაკრავდა; სახელოვანი გმირი მათი რაოდენობის მიხედვით ფასდებოდა.

ძველად მოკლულისთვის იარაღის ართმევა ან სხვა რაიმე ნივთის წამოღება ქართველ მთიელებში სირცხვილად ითვლებოდა; თუმცა მოგვიანებით, XX ს-ის ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, მოკლულის იარაღის (ხანდახან ჩასაცმელის ან სხვა რაიმე ნივთის) წაღება უკვე ინტენსიურ ხასიათს ატარებს. მიცვალებულისთვის იარაღის დატოვება ახლა უკვე დიდ პატივად არის მიჩნეული, ხოლო ასეთი „პატივი" კი მას ხვდებოდა წილად, ვინც სიმამაცით და ვაჟკაცობით თავს გამოიჩენდა, სიკვდილსაც გმირულად შეხვდებოდა და თავისი საქციელით მოწინააღმდეგეში გარკვეულ სიმპათიას იწვევდა. ასეთ მიცვალებულს შეძლებისდაგვარად აპატიოსნებდნენ კიდეც — შემაღლებულ ადგილზე დააწვნდნენ, ნაბადს ან რაიმეს წააფარებდნენ, რათა ნადირს არ გაეფუჭებინა და სხვა.

ქართველ მთიელთა ანალოგიურად ჩეჩნეთსა და ინგუშეთშიც შურისძიებით კაცის მოკვლა სავალდებულოდ, და ამავე დროს, დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა. ისინი კიდევ უფრო მეტად აქცევდნენ ამას ყურადღებას და, მაგალითად, უსახელო ღილღველი სულ უცოლოდაც კი რჩებოდა. თუ კაცი ქურდი მაინც არ იყო, ქალი მას ცოლად არ გაჰყვებოდა; კაცი თუ არ ჰყავდა მოკლული, ხარ-ცხენი მაინც უნდა მოეპარა და ამით ესახელებინა თავი.

ღილღველებს წესი ჰქონდათ — მოკლულის ნათესავები მის საფლავთან ან აკლდამასთან დიდ მაღალ ქვას დააყუდებდნენ. როცა შურს იძიებდნენ, იმ ქვას მაშინ წააქცევდნენ; მანამდე კი ის ქვა სასაყვედურო იყო. ჩხუბში ეტყოდნენ — „ჩემგან რა გინდა, ჯერ ის ქვა წააქციე და მერე ილაპარაკეო. სირცხვილიანი ხარ, ის ქვა ვერ წააქციეო" (17: 2).

ვაინახეებისაგან განსხვავებით ქართველი მთიელები სისხლის აღებას მაშინვე ცდილობდნენ — „ცხელ გულზე", რადგან თუ გული განელდებოდა, შეიძლება საქმეს აღარ მიჰყოლოდნენ. ვაინახები კი დინჯები იყვნენ, შურისძიების დროს არ იცოდნენ აჩქარება, ათეული წლების შემდეგაც კი შეეძლოთ სისხლი აეღოთ.

ქართველ მთიელებსა და ვაინახებს შორის შუღლს ისეთი ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რომ, მაგალითად, ყველა ხევსურ მამაკაცს საწოლთან ახლოს გამზადებული ეწყო „სამდევროდ გაბანდული ახალი ჯღანები“ და იარაღი, რათა მტრის თავდასხმის შემთხვევაში დრო არ დაეკარგა და უცბად გამოდევნებოდა მას.

ვაინახებსაც, ქართველთა მსგავსად, სისხლის აღებასთან დაკავშირებით თავიანთი ზნეობრივი ნორმები ჰქონდათ, რომლის დარღვევაც სირცხვილად ითვლებოდა — სამარცხვინო იყო მოხუცზე, ბავშვზე და დედაკაცზე შურისძიება, უიარაღოსთან შებრძოლება და სხვა.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია პოეტ ა. კალანდაძის მოგონება, რომელიც დუისში პანკისელ ქისტებთან მის შეხვედრას უკავშირდება. პოეტის ერთ-ერთ ლექსს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი ხევსურთა და ქისტთა ურთიერთობიდან. ერთხელ სოფ. ამღას ქისტის ლაშქარი დასცემია. შინ მარტო ყოფილა ქარჩათ ქალი ბუბა, რომელსაც მამის ტალავარი ჩაუცვამს, ხმალი აუღია და მტერს შებმია. უთანასწორო ბრძოლაში ბუბა დაღუპულა. ჩაჩქანი თავიდან მოსძრობია და თმები გადმოშლია. ქისტებს რომ დაუნახავთ, ვისთან ჰქონიათ საქმე, მკვდრისთვის დიდი პატივი მიუგიათ: ხმალი და ჩაჩქანი მის გვერდით დაუწყვიათ და ისე დაუტოვებიათ. ქისტებში თურმე დიდ პატივად ითვლებოდა, თუ ისინი მოკლულს თავიანთ მკვდრებს არ შესწირავდნენ. სწორედ ქისტების ეს ვაჟკაცური საქციელი დააფასეს ხევსურებმა.

პანკისელ ქისტებში ანა კალანდაძის ამ ლექსს დიდი მონონება ხვდომია წილად. პოეტს დუისელ ქისტებთან აღუნიშნავს, რომ ქისტებისადმი ამაღლებული გრძნობა სწორედ ხევსურებმა შთამაგონესო. იგი შენიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა შორის შუღლსა და მტრობას თავისი წესები ჰქონდა, მოწინააღმდეგე ისე არ დაბრმავდებოდა, რომ მტრის კარგი არ შეეცნო, მისი ვაჟკაცობა არ დაენახა და არ ეღიარებინა. ეს ბადებდა ურთიერთპატივისცე-

მის გრძნობას, რაიც მტერს მტრის მიმართ უკადრისს არ გააკეთებინებდა, ადამიანურ ღირსებას არ დააკარგვინებდა (1:13).

ალ. ოჩიაურის გამოუქვეყნებელ უნიკალურ საარქივო მასალებში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და ვაინახთა სამეზობლო ურთიერთობებს ეხება, მრავლად არის ზემოხსენებული სულისკვეთებით გამსჭვალული შემთხვევები, როდესაც დაპირისპირებული მხარეები ადათ-წესებს ვერ ღალატობენ, ერთმანეთს გამორჩეულ ვაჟკაცებს უკლავენ, მაგრამ თან აფასებენ მათ სახელს და ენანებათ კიდეც მოკლული.

როგორც ვიცით, სისხლის აღების ადათი, საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ტრადიციული ქცევის ნორმაა, რომლის შეუსრულებლობაც ნეგატიურ სანქციებს იწვევს. ადათი გულისხმობს იძულებას ღირებულებათა აღიარებაში და სიტუაციის განსაზღვრაში. ის გარკვეულ სიტუაციაში ავალდებულებს ჯგუფის ცალკეულ წევრებს დაიცვან ქცევის ნიმუშები ამ ღირებულებათა მიმართ (29: 19). ადათის უგულებელყოფა, დარღვევა, შეუსრულებლობა ძირს უთხრის ჯგუფის შინაგან შეკავშირებულობას. ასეთ შემთხვევაში ჩნდება დაპირისპირება ჯგუფის შიგნით — ჯგუფის წევრებსა და ადათის დამრღვევს შორის. ამიტომ ტრადიციის დამრღვევნი მოკვეთილნი არიან იმ საზოგადოებისაგან, რომელსაც უპირისპირდებიან. ასეთი მაგალითები ქართველ და ვაინახ მთიელთა ყოფაში მრავლად მოიპოვება.

როდესაც ქართველ მთიელს ქისტი ნათესავს მოუკლავდა, ის პირველ რიგში თავს ვალდებულად თვლიდა, სამაგიერო გადაეხადა მტრისთვის. ერთი მხრივ, სისხლის აღებას განაპირობებდა ტრადიცია, მეორე მხრივ კი ინდივიდის სწრაფვა სახელის მოხვეჭისაკენ. ეს იყო მთიელთა წარმოდგენაში მორალური ღირებულების — ვაჟკაცობისა და სიმამაცის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალება. სისხლის აღება გარკვეული სიძნელეებისა და წინააღმდეგობების დაძლევასთან იყო დაკავშირებული, რაც ინდივიდს უქმნიდა

პირობებს მაქსიმალურად გამოევლინა მთიელთა მიერ აგრერიგად დაფასებული ღირსებები.

ხევსურულ ანდრეზებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „რაჴელც არხოტივნებმ იცოდეს სახელის გულისად სამზირ წასვ-ლაიდ ღილღვლების ხოცაი აისრავ ღილღვლებმაც იცოდეს. ვინაც ვაჟკაცობაზე დებდ თავს, ის შახყრიდ მზირს, გამაუძღვებოდ, ჩაუ-საფრდებოდ გზაშიად — მახკლევდ არხოტიონს. არც არას ნაი-ღებდ, ხოლოთ წავიდოდად — სახელ დასჩებოდ — მავიდოდ ხალხი, სახელს მაულოცებდეს. აი ამისად ხოცდეს ერთუცს არხოტივნე-ბიდ ღილღვლები (17: 391).

ეს სახელიანობის სურვილი, თან სიმღერები — სახელის მო-ლოცვა ქალებისგან, ქება და კარგად ხსენება, უფრო მეტად ბადებ-და კაცის მოკვლის და სახელის ქმნის მოთხოვნილებას ახალგაზრ-დებში და ამის გამო ხშირად ისინი „საწადინოდ და სალაღ-სანებივ-როდ ნადირობდნენ ერთმანეთზე (14: 248). მესისხლეობა ქართველ მთიელებსა და ქისტებს შორის ზოგჯერ ისეთ ფორმას იღებდა, რო-დესაც უკვე აღარ არჩევდნენ მტყუან-მართალს, დამნაშავესა და უდანაშაულოს და განურჩევლად კლავდნენ ერთმანეთს. მაგ.: „იქამდისაც კი მივიდ იმათ საქმე, რო გზაში შაყრილ ჯიხვს კი შაიძ-ლება გაუშობდ კაცი თოფის დაუკრავად, ღილღველიდ-არხოტიონი კი ერთუცს არ გაუშობდ გზაში შაყრილს — მაუკლავად; ერთუცს თუ ღნახევდეს, მეტ აღარ უნდოდ, რომელიც დაასწრობდ დახკ-რევდ თოფს. ყარაულობდეს ერთუცის სავალ გზებს, დაუდიოდ მზირი, უსხდებოდეს გზაში ერთუცსად — ხოცდეს ნადირივით“. ვი-საც ვალი ჰქონდა, ის ხომ მაინც ეძებდა კაცს მოსაკლავად, ვინც უნ-და შეხვედროდა — მოკლავდა, ოღონდ მოწინააღმდეგე ყოფილიყო; ვისაც ვალი არ ჰქონდა — ისინი სახელის გულისთვის ხოცავდნენ — „სხვები ხოცენ და თავს ისახელებენო, რაით არიან ჩემზე მეტ-ნიო! მე რატომ არ უნდა ვქნა სახელიო“ (16: 242). ამდენად, უდანა-შაულოდ კლავდნენ მტრული ეთნიკური ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

იმდენად, რამდენადაც სისხლის აღების აქტი მთიელთა მენტალიტეტში სახელის მოხვეჭასთან ასოცირდებოდა, ზოგჯერ ამგვარი ქმედობის თავდაპირველი მიზანი — შურისძიება უკანა პლანზე გადადის და წინ წამოიწევს მისი როლი, როგორც ზნეობრივი ღირებულების რეალიზაციის საშუალებისა. ამ დროს მტრის იმიჯი ასოცირდება ეთნოსთან; ქართველი მთიელისთვის ის ქისტის სახეშია განხორციელებული, ვაინახისათვის კი შესაბამისად -– ქართველი მთიელის სახეში. თითოეული ეთნოსოციალური ჯგუფი მეორეს განიხილავს როგორც მოწინააღმდეგეს, დაპირისპირებულ მხარეს, მტერს, და მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. მტრული დამოკიდებულება კი, როგორც ცნობილია, კონფლიქტური ქცევის გამოვლენის წინასწარი განწყობაა (5: 11).

მესისხლეობის ტრადიცია განაპირობებდა დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის იმგვარ კონფლიქტებს, რაც თაობებით გრძელდებოდა. ხშირ შემთხვევაში ის ინტერჯგუფურ კონფლიქტად ყალიბდებოდა, რის მაგალითსაც საკვლევ რეგიონში ფართოდ გავრცელებული ლაშქრობები წარმოადგენს. ინფორმატორი ამბობს კიდეც, რომ ერთმანეთის ხოცვით თავმობეზრებულები, „როცა ძალიან შაჟჯერდებოდეს ერთუცის მოუსვენრობით", შეიყრებოდნენ და წამოვიდოდნენ სალაშქროდ, არბევდნენ ერთმანეთის სოფლებსა თუ თემებს.

ასე რომ, გარდა ზემოხსენებული ეკონომიკური ფაქტორისა, ტრადიციული ფაქტორიც — ლაშქრობების ფორმით განხორციელებული ინტერჯგუფური კონფლიქტის განმაპირობებელი მიზეზი იყო.

როგორც ითქვა, სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად ტრანსფორმირებული სახით შემონახულ იქნა გვიანობამდე, როგორც ქართველ მთიელთა, ასევე ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა ყოფაში და შურისძიების შემთხვევები XXI საუკუნის დასაწყისისათვისაც კი ფიქსირდება.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, განსაკუთრებით 70-იან წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ მავნე ტრადიციებთან ბრძოლის კამპანია გააჩაღა. მაგრამ, სამწუხაროდ, სისხლ-მესისხლეობა, ბევრი სხვა ტრადიციის მსგავსად, კვლავ ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას. სახელმწიფო უძლური აღმოჩნდა დასახული ამოცანების წინაშე. მისი მეცადინეობა ისევე უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ამავე პერიოდში თანამედროვე საბჭოთა დღესასწაულების შექმნის მცდელობა, რომელთა არსებობაც საბჭოთა კავშირის მსგავსად ჩაბარდა წარსულს.

სისხლ-მესისხლეობის ტრადიციის გვიანობამდე შემონახულობა, მისი იმუნიტეტის სიმყარე განისაზღვრება უპირველესად იმით, რომ ის ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტია. კულტურული მემკვიდრეობა კი სისტემების ის ნაწილია, რომელიც მომდევნო თაობებს გადაეცემა და დროის გამოცდას უძლებს. იგი ჩვეულებრივ იდეალიზდება, ნაკურთხი ღირებულებების, სიმბოლოების კომპლექსად იქცევა და ემოციურ დამოკიდებულებას იწვევს. ამიტომაც ხდება იგი ჯგუფების ინტეგრაციის, მათი გაერთიანების, სიმტკიცისა და სიმყარის ფაქტორი (29: 38, 39; 72: 132).

კაცობრიობამ თავისი განვითარების პროცესში გამოიმუშავა ერთხელ ჩამოყალიბებულ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადაცემის მექანიზმი, ყოველი წინა თაობა მომდევნოს აღზრდის გზით გადასცემს გარკვეული მოცულობისა და შინაარსის კულტურას, ყოველი თაობა აქტიურად ითვისებს ძველი თაობების მიერ დაგროვილ კულტურულ მემკვიდრეობას (3: 63) და მიუხედავად იმისა, რომ ყველა კულტურაში არსებობს ჩრდილოვანი, საპირისპირო განწყობები, მათ შორის ანტისაზოგადოებრივიც, ინდივიდი, რომელიც კონკრეტული კულტურის ჩარჩოებში რჩება, იძულებული ხდება მიიღოს იგი (55: 147).

დღემდე ქართველთა და ვაინახთა ყოფაში სისხლ-მესისხლეობის ტრადიცია განსაკუთრებული კონსერვატულობით გამორჩე-

ულ მთურ საზოგადოებებში იქნა შემონახული. იგი კულტურული მემკვიდრეობის სწორედ ისეთი ელემენტია, რომელიც იმგვარ საზოგადოებაში განაგრძობს არსებობას, სადაც, ფაქტობრივად, მას არსებობისათვის შესაფერისი სოციალური საფუძველი აღარ გააჩნია. ამიტომ, გარდა კულტუროლოგიური ფაქტორებისა, ტრადიციის იმუნიტეტის სიმყარე ეთნიკური ფსიქიკის სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, ეთნიკურმა სპეციფიკამ უფრო მეტად ეთნიკური ფსიქოლოგიის სიღრმეებში ჩაიბუდა, ხოლო გენეტიკაში სულ უფრო და უფრო საბუთდება ფსიქიკის გენეტიკური საფუძვლები და ეთნიკური ფსიქიკის რეალურობა (2: 68, 69).

გავიხსენოთ თუნდაც უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენები, როდესაც თბილისიდან გაიტაცეს ერთ-ერთი პარლამენტარი (წარმოშობით თუში). მისი გატაცება პანკისელ ქისტებს დაბრალდათ. საყოველთაოდ მუსირებდა აზრი, და საკმაოდ მაღალი ინსტანციებიდანაც, რომ, თითქოს, გატაცების მიზეზი მტრობა და პირადი შურისძიება იყო. თუმცა იგი მალევე უარყვეს იმ მოტივით, რომ თურმე ჯოყოლა, რომელმაც დასაბამი მისცა ქისტების პანკისში ჩამოსახლების პროცესს, პარლამენტარის დიდი პაპის ძმადნაფიცი ყოფილა. ასე რომ, შურისძიების საბაბი ამ მიზეზის გამო გამორიცხეს. ამ შემთხვევაში, საყურადღებოა ის ვითარება, რომ XXI საუკუნის დასაწყისშიც კი ცივილიზებული საზოგადოება დასაშვებად მიიჩნევს შურისძიების ამგვარი ფორმის არსებობას.

ჩემს მიერ გამოკითხულ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელ მამაკაცთა დიდი უმრავლესობისათვის მისაღებია სისხლის აღების წესი, იმდენად, რამდენადაც, იგი არეგულირებს ადამიანთა ქცევას და მოსალოდნელი შედეგების შიშით, იძულებულს ხდის მათ, აკონტროლონ თავიანთი ემოციები. ამავე დროს, როგორც გვეუბნება ერთ-ერთი თუში მთხრობელთაგანი: სისხლის აღების კანონი არ მოიშლება. დიდხანს იქნება. იცი რატომ? ვინმეს რომ მოგიკლავენ, სირცხვილია, რომ სისხლი ვერ აიღო, სახლში მოტანილად არ ით-

ვლება მკვდარი. რა კაცობაა სისხლი თუ არ აიღე, ამას სულ წამოგაყვედრიან... (40).

ბ. მალინოვსკი აღნიშნავს, რომ იმპულსის დაკმაყოფილება ან განზრახვის ასრულება მუდმივი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც მართავს ადამიანთა ტრადიციულად დადგენილ ქცევას (72: 81). სისხლ-მესისხლეობის ტრადიცია სწორედ შურისძიების იმპულსთან მიმართებაში უნდა გავიაზროთ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედ ადამიანთა მემკვიდრეობითი იმპულსის შესახებ სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ ეს იმპულსი იმდენად ძლიერია, რომ ვერანაირი ძალდატანება, აკრძალვა, თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან, ამ იმპულსით გამოწვეულ მოქმედებას ვერ შეაჩერებს, ვერ მოერევა. ამ ტიპის იმპულსი ქართველთა და ვაინახთა ფსიქოლოგიური წყობის სპეციფიკას და საკვლევ რეგიონში მესისხლეობის ტრადიციის შემონახულობას განაპირობებს. ამას უნდა მივაწეროთ სწორედ, წარსულში გაუთავებელი ერთიმეორის ხოცვა და დაზავების შემთხვევაში ამგვარ ქმედობათა განახლება.

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ხევსურებს, თუშებსა და ვაინახებს შორის ხანდახან ზავი იდებოდა (საუბარია ერთმანეთის მოსაზღვრე სოფლებსა და თემებზე, რომელთაც მეტი შეხების წერტილები ჰქონდათ). დაპირისპირებული მხარეები ზოგჯერ იმდენად შეწუხდებოდნენ ერთმანეთის თავდასხმებით, რომ შერიგებას გადაწყვეტდნენ: „რატომ ვხოცთ ერთმანეთსო, ეს სადაურია, რომ პირდაპირ ნადირობა გაიმართა ერთმანეთზე და არც თქვენ გაქვთ მოსვენება და არც ჩვენო. დავანებოთ თავი ერთმანეთის ხოცვას და შევრიგდეთო. თავი თავში გავბაროთ, ვისაც მეტი მკვდარი გამოუვა, იმან თავ-სისხლი გადაიხადოს, მერე თქვენც მოსვენებით იცხოვრეთ და ჩვენცო“ (15: 331).

ინფორმატორის განმარტებით, შერიგება კი უნდოდათ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ენდობოდნენ — ზავი ბევრჯერ გვქონია,

მაგრამ ბოლოს არ შენარჩუნებულაო. მავნე კაცი, რომელიც ცუდ საქმეს ჩაიდენდა (ქურდობა, მკვლელობა და სხვ.) და ზავს ისევ ჩაშლიდა, არც ქისტეთში გამოილეოდა და არც ხევსურეთში (36: 55). ზავის ხანგრძლივობა საშუალოდ ორ ნელინადს შეადგენდა, თუმცა ზოგან ექვს ნელინადსაც კი გაგრძელებულა.

ერთ ქისტს უთქვამს კიდეც ხევსურისთვის, რომელსაც იგი თავის მეგობრებიანად დაუპატიჟია და ხარიც კი დაუკლავს მათთვის: „ეს ხარის ხორცი, სანამ ყელში გვიდგას, მანამ კი გვახსოვს და შენზე გულიც გვაქვსო, მაგრამ ლუკმა რო ყელს ჩასცილდება, დაგვაკინყდებაო ჩვენცა და თქვენცო. ჩვენს შუაში სისხლის ტბა დგას დაუშრობელიო“ (16: 361).

ცალკე უნდა აღინიშნოს საკვლევ ეთნიკურ ჯგუფთათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული აგრესიულობა. როგორც ზემოთ ითქვა, შესასწავლ რეგიონში ნებისმიერი ინტერპიროვნული თუ ინტერჯგუფური კონფლიქტი უმეტეს შემთხვევაში სისხლისღვრამდე მიდიოდა. სწორედ ასეთ დროს ვლინდებოდა ქართველ მთიელთა და ვაინახთა აგრესიულობის მაღალი კოეფიციენტი. საყურადღებოა, რომ ამგვარი აგრესიული ქმედობები უმთავრესად ტრადიციასთან მიმართებაში გამოიკვეთება. ასეთია, მაგ. სისხლმესისხლეობის ჩვეულება, რომლის თანახმადაც მოწინაღმდეგის მოკვლას თან სდევს მისთვის ხელის ან თავის მოჭრა, ლაშქრობები — ჯგუფური აგრესიის გამოხატულება, რასაც ხშირად რამოდენიმე ათეულობით ადამიანის (ზოგჯერ მთელი სოფლის) განადგურება მოჰყვებოდა.

ცნობილია, რომ კონფლიქტის თავიდან აცილებისთვის საჭიროა ნეგატიური დამოკიდებულების განმუხტვა კონფლიქტის საწყის ეტაპზე. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ჯგუფი მეორის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს დაკმაყოფილებს. კონფლიქტის შემდგომ დინამიკას განსაზღვრავს მხარეების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილება. საკვლევ რეგიონში ამ თვალ-

საზრისით სპეციფიკური სურათი გვაქვს. კონფლიქტი შეიძლება შეჩერდეს (დაკმაყოფილდეს მოწინააღმდეგე მხარეთა მოთხოვნები მიწის, საზღვრის თაობაზე, შერიგდნენ მესისხლეები, ქურდები...), მაგრამ ცოტა ხანში, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ ნარმოიშვას, რამეთუ, ფაქტობრივად, მეზობელ ქართველ და ვაინახ მთიელებს შორის არსებული ზემოთ ნახსენები ნეგატიური განწყობა, ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს კონფლიქტის ჩამოყალიბების მიზეზად. ამიტომ იმ ინსტიტუტებს, რომელთაც აკისრიათ ინტერჯგუფური თუ ინტერპიროვნული კონფლიქტების დარეგულირება მთაში, დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ მათი მეცადინეობა უშედეგო არ გამოდგეს.

ტერიტორიულმა სიახლოვემ თავისებურად განაპირობა ქართველ და ვაინახ მთიელთა სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა. საკვლევ რეგიონში ამ ხასიათის საკითხების მოგვარება ძირითადად ხალხური სამართლის — რჯულის, ადათის მეშვეობით ხდებოდა. როგორც ცნობილია, საქართველოს მთის საზოგადოებაში გვიანობამდე ფუნქციონირებდა ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტი და მისი გარკვეული ნორმები ტრანსფორმირებული სახით დღესაც კი არ კარგავს თავის მნიშვნელობას ისეთ მაღალმთიან კუთხეებში, როგორიცაა ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი, აფხაზეთი... მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთათვის სპეციალურად შეიქმნა სახელმწიფო სამართლებრივი კოდექსი „ძეგლის დება“ გიორგი ბრწყინვალის მიერ, იგი მაინც ვერ დამკვიდრდა მთიელთა ყოფაში (თუმცა გარკვეული გავლენა ჩანს); აქ სახელმწიფო სამართალი იგნორირებული იყო რუსეთის ქვეშევრდომობაში საქართველოს შესვლის პერიოდშიც და შემდეგ, საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც, ვიდრე XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ამის შემდეგ სამართლის სისტემა საკვლევ რეგიონში სამართლებრივი პლურალიზმის ისეთი ფორმით გვხვდება, სადაც ნარმოდგენილია ჩვეულებითი და საბჭოთა სახელმწი-

ფო სამართლის ელემენტები, ანუ ორივე ერთდროულად ფუნქციონირებს. ანალოგიური ვითარება აღინიშნება ვაინახებშიც. მათი სამართებლივი სისტემა ხასიათდება ადათის, შარიათის და სახელმწიფო სამართლის თანაარსებობით. ადათობრივი სამართალი შამილის იმამატის შექმნამდე სოციალურ ნორმათა ერთადერთი სისტემა იყო, რომლის საფუძველსაც არაისლამური წარმოშობის ადგილობრივი ჩვეულებები შეადგენდა. შარიათმა შემდგომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი ხალხების სამართლებრივ ყოფაზე. მაგრამ მისი მოქმედების სფერო ძირითადად რელიგიურ მოვალეობათა, ნაწილობრივ საქორწინო-საოჯახო და სამემკვიდრეო პრობლემების მოგვარებით შემოიფარგლებოდა (65: 86).

ერთმანეთის მეზობელ ქართველ და ვაინახ მთიელთა შორის მომხდარი კონფლიქტების მოწესრიგება ამ პროცესში ორივე მხარის მონაწილეობას და, შესაბამისად, მათი სამართლებრივი ნორმების თანაბრად გამოყენებას გულისხმობდა. რასაკვირველია, ქრისტიან და მუსლიმ ხალხებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის სფეროდან იმთავითვე გამორიცხული იყო შარიათი; ასევე სახელმწიფო სამართალიც, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მას საკმაოდ გვიანობამდე უგულვებელყოფდნენ; ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, მოგვიანებით, თუმცა იშვიათად, ქართველ და ვაინახ მთიელთა შორის კონფლიქტის (ძირითადად ინტერჯგუფური) განმუხტვა საბჭოთა სამართლებრივი ორგანოების მიერ ხორციელდებოდა. მაგ. 1924 წელს არხოტზე ქისტების ლაშქრის დაცემის გამო გამოწვეული პრობლემები სახელმწიფო სამართლის მეშვეობით მოგვარდა. ქართველ მთიელთა რჯული და ვაინახთა ადათი ის ინსტიტუტები იყო, რასაც ემყარებოდა ურთიერთსაკონფლიქტო საკითხების გადაჭრა საკვლევ სასაზღვრო ზოლში. ორივე მხარეს თავიანთი სამართლებრივი ნორმები ჰქონდა. მაგრამ ერთობლივი საქმის წარმოების დროს ამ ნორმათაგან ისეთი შუალე-

დურ ვარიანტს შეიმუშავებდნენ, რომ არც ერთი მხარე არ აღმოჩ-ნდებოდა პრივილიგირებულ მდგომარეობაში. მაგ. თუ ნაქურდა-ლის საფასური ქისტებთან 4 ცხვარს შეადგენდა, ხევსურებთან კი — ორს, მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრებოდა გადასახადი სამი ცხვრის ოდენობით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მთიელთა რჯული და ვაინახთა ადათი შესამჩნევ მსგავსებას იჩენს ერთმანეთთან.

საერთო სამართლებრივი ნორმების შემუშავება ხდებოდა რჯულის მცოდნეთა (რჯულის კაცების) მიერ, რომლებიც მოწვეუ-ლი იყვნენ დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფებიდან. მათ კარ-გად იცოდნენ თავიანთი ადათ-წესები, ანდრეზები[2], გონება უჭრი-დათ, სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდათ და შემკული იყვნენ პირადი ღირსებებით. ყურადღება ექცეოდა მოწინააღმდეგის ენის ცოდნას. პროცესი იმართებოდა ორივე მხარეთა მიერ არჩეულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე; რჯულის კაცები ერთმანეთის პირისპირ დასხ-დებოდნენ. საკითხის განხილვა მიმდინარეობდა რიგის დაცვით — ჯერ ერთი მხარე იტყოდა თავის სათქმელს, შემდეგ — მეორე. განაჩენს თავიანთ ხალხს ცალ-ცალკე უცხადებდნენ: ხევსური, თუში რჯულის კაცები — ხევსურებს, თუშებს, ხოლო ქისტები კი — ქისტებს.

ქართველი და ქისტი უხუცესები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ბჭობდნენ და ურთიერთობებს აწესრიგებდნენ მოსალოდნელი მტრობის და უთანხმოების თავიდან აცილების მიზნითაც (9: 51).

საკვლევ ეთნიკურ ჯგუფთა სამართლებრივ ურთიერთობაში ფართოდ გამოიყენებოდა მტკიცებულების ისეთ ფორმა, როგო-რიც არის ფიცი. ბრალდებული თავისი უდანაშაულობის დასამტკი-ცებლად ძირითადად დაიფიცებდა მოკლულის საფლავზე (სისხლ-

---

2. ანდრეზი — რეალურ ამბავზე დაფუძნებული, სოციალური, რელიგიური, საყ-ოფაცხოვრებო ხასიათის თქმულება-გადმოცემა.

მესისხლეობის შემთხვევაში) და ჯვარში (თითქმის ყველა დანაშაულისა და სადავო საკითხის გამორკვევის მიზნით, საჭიროებისამებრ).

მაგალითად, ჩეჩნები და პირიქითელი ხევსურები ერთმანეთს საბალახო მთაზე — ჭანჭახზე ედავებოდნენ. ხევსურები არ თმობდნენ — ანდრეზი გვაქვს, ჩვენი მამა-პაპის არის ეგ ტერიტორიაო. ქისტებმა ჯვარში დაფიცება მოსთხოვეს. ხევსურებმაც ანატორში დაიფიცეს, რადგან, ინფორმატორის ცნობით, „ანატორი ძლიერი ხატია და თუ ქისტებს რამეზე დავაფიცებდით, მანდ იფიცებდნენო". ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ იკვეთება სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ეთნიკურ ჯგუფთა დამოკიდებულება რელიგიური ღირებულებებისადმი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი ტერიტორიული სიახლოვით არის შეპირობებული.

ქართველ და ვაინახ მთიელთა სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე ე.წ. დაწინდვის ტრადიცია, რაც მძევლობის ანალოგიურია. ანდრეზში ვკითხულობთ: „ზავს რომ ვიქთავ, თუ ეს პირობა შასრულდებისა, მაშინ წინდიც უნდა მივსცათავ ერთურცავ. მემრავ ეს წინდიოდ ამის გვარი იქნებიანავ პასუხისმგებლივ მეორე მხარის ხალხთანავ" (8: 363-364). უცხო ეთნიკური ჯგუფის ერთი წარმომადგენელი რამდენიმე ნლით საცხოვრებლად გადადიოდა მოწინააღმდეგის სოფელში, სადაც ის ერთგვარი მძევლის როლში იმყოფებოდა; იგი პასუხს აგებდა უცხო ეთნიკური ჯგუფისა თუ მისი ნევრების მიმართ თავისიანების მიერ ჩადენილი ყოველგვარი საქციელისთვის. ამდენად, ეს ადამიანები გვევლინებოდნენ სტაბილურობის გარანტებად.

რჯულის გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო, მაგრამ მთიელთა მენტალიტეტის, მათი ცხოვრების პირობებისა და რიტმის წყალობით, გადაწყვეტილებას ხშირად ბოლომდე ვერ იცავდნენ. ქართველ და ვაინახ მთიელთა საზღვრისპირა საზოგადოებების ცენტრებიდან იზოლაცია ქმნიდა იმის პირობებს, რომ მათ თა-

ვიანთი სადავო პრობლემები ავტონომიურად მოეგვარებინათ, რასაც თავისებურად ხელს უწყობდა მათი ეთნოფსიქოლოგიური ნყობაც. ახლაც კი, თუ რამე სადავო საკითხი წამოიჭრება, საქმეში უხუცესნი და „მცოდნე კაცები" ჩაერევიან. ნებისმიერი ტიპის კონფლიქტის სახელმწიფო ინსტანციების დონეზე გახმაურება არც ერთ მხარეს არ აწყობს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა პანკისის ხეობაში, სადაც ქართველებსა და ქისტებს ერთიმეორის გვერდით უწევთ ცხოვრება.

შეიძლება ითქვას, რომ სასაზღვრო რეგიონის ეთნოსოციალური ჯგუფების ურთიერთობანი სამართლებრივ სფეროში სამართლებრივი პლურალიზმის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. საერთოდ, სამართლებრივი პლურალიზმის არსი გულისხმობს პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო სამართლის ალტერნატიული მექანიზმის ძიებას (45: 8-19). მის უპირველეს დანიშნულებას შეადგენს კონფლიქტის დარეგულირება პლურალისტური სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. სამართლის ანთროპოლოგიაში ეს პრობლემა განიხილება ძირითადად სახელმწიფო და ადათობრივი (ლოკალური) სამართლის ურთიერთმიმართების ასპექტით. საკვლევ ეთნოსთა სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საერთო სახელმწიფო სისტემაში (ჯერ რუსეთის იმპერია, შემდეგ საბჭოთა კავშირი) ჩართული ეს ჯგუფები სახელმწიფო სამართლის გვერდის ავლით და ლოკალურ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით ქმნიდნენ ახალ სისტემას. ეს არ იყო წმინდა ხევსურული თუ თუშური რჯული ან ვაინახთა ადათი, არამედ მათი ერთგვარი კონგლომერატი, რომელიც სიცოცხლისუნარიანი იყო მხოლოდ საკვლევ სასაზღვრო რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ტრადიციის ძალით ეს სისტემა განაგრძობდა არსებობას შემდგომაც, როდესაც ისტორიული ვითარების გამო ეს სასაზღვრო რეგიონი დაიცალა მოსახლეობისაგან, მაგრამ ამ ხალხებს ერთმანეთთან შეხება მაინც ჰქონდა.

კონფლიქტების თაობაზე ჩვენი ვრცელი მსჯელობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ, თითქოს, ქართველ მთიელებსა და ჩეჩენ-იგუშებს ერთმანეთში მუდმივი მტრობა და შუღლი ჰქონდათ. ზემოთ განხილული მათი ურთიერთობანი ეკონომიკურ, საოჯახო და რელიგიურ ასპექტებში ნათლად წარმოაჩენს ამ ხალხთა შორის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას — მათ ერთმანეთის ენა იცოდნენ, ირთავდნენ და ნათლავდნენ უცხო ტომის წარმომადგენლებს, ერთად ლოცულობდნენ საერთო სალოცავებში, ერთად აღასრულებდნენ საკულტო რიტუალებს, ერთმანეთს ძმად ეფიცებოდნენ და გაჭირვებაში გვერდით ედგნენ, ქირაობდნენ და აქირავებდნენ სახნავ-საძოვრებს, ყიდნენ და ყიდულობდნენ პროდუქტს, იარაღს, სხვადასხვა ნივთებს, ერთმანეთში ცვლიდნენ სამეურნეო პროდუქციას, და სხვ. ამდენად, მეზობელი ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობა ერთდროულად კეთილმეზობლური და მტრული დამოკიდებულების უნიკალურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ხევსურეთში, თუშეთში და ქისტეთში იყო ისეთი სოფლები, რომელთაც მუდმივად მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ. ასეთი იყო მაგ. არხოტის ხეობაში სოფ. ჭიმღა: „ჭიმღიონთ შავანელ ქისტებთან მეგობრობაი ხქონდ. ერთადად პირობა დადვეს წინავავ ერთსხვის პატრონობაზედ. ბეგარას აძლევდეს წელში თითო ცხვრის ანგარიშს კომლზე. ისინიც პატრონობდნეს და აქისკე მტერს არ გადმაუშობდეს ჭიმღიონთ დასაზიანებლად. მათთვი რაიმეს მოპარვის ნებას არავის მისცემდენ. თუ ქურდს დაიჭერდეს, ნაქურდალს უკან დააბრუნებდნეს. ჭიმღიონთაც პირობა ხქონდ მიცემული რომ თუ შავანელებს რაიმე წაუხდებოდად, ჭიმღივნები აგებდეს პასუხს, ნაქურდალს მაუძებნიდეს“ (16: 147).

არხოტელებს მტრული ურთიერთობა არ ჰქონიათ სოფელ შიხალის მაცხოვრებლებთან, რომლებიც მათ დიდ პატივს სცემდნენ და ქისტეთში შურის საძიებლად მიმავალთაც ხელს უწყობდნენ (17: 336).

ხულანტელებს (ჩეჩ.) და ჩიღოელებს (თუშ.) ძმობა ჰქონდათ. ამბობდნენ, რომ ხულანტელები ჩიღუელთ ცხვარს არ წაიყვანენო. საქონლის პარვა ხშირი იყო, მაგრამ სანამ წაიყვანდენ, იკითხავდნენ — სადაურიაო, თუ ჩიღოელებისა იყო, იმას ხელს არ ახლებდნენ (40).

ხევსურთა, თუშთა და ვაინახთა მეგობრობა უმეტეს შემთხვევაში ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქართველ მთიელებს ქისტი ძმადნაფიცები ჰყავდათ, რომელთა მეგობრობაც უღალატო და სანიმუშო ყოფილა მუდამ.

ძმადნაფიცობის ტრადიცია, როგორც ქისტებში, ისე თუშებთან და ხევსურებთან ურყევად არის შემონახული დღემდე. სისხლმესისხლეობის და სტუმარ-მასპინძლობის უძველეს ინსტიტუტებთან ერთად ძმადნაფიცობა საზოგადოების განვითარების პროცესში მოქმედი სოციალური ადაპტაციის შედეგია და კოლექტიური თავდაცვის და უსაფრთხოების უნივერსალურ ფორმას წარმოადგენს. ამ სამივე ინსტიტუტს კავკასიის ხალხებში ბოლო დრომდე ცოცხალი ფუნქცია აკისრია (20: 89).

ძმადნაფიცი ქისტებში უახლოეს და სისხლხორცეულ მოკეთედ ითვლება. ისინი სათუთად უფრთხილდებიან ძმადნაფიცობის მადლს, ღალატი წარმოუდგენელია. ძმად გაფიცვის შემდეგ, ისინი არა მხოლოდ ოჯახებით უახლოვდებიან ერთმანეთს, არამედ მათი ბიძაშვილები და სხვა ნათესავებიც ითვლებიან ერთმანეთის მოკეთეებად... დაძმობილების შემთხვევები ყოფილა მტრად მოკიდებულ ადამიანთა შორისაც, მათი შერიგების შემდეგ. ქისტი გაჭირვების ჟამს, განსაცდელში საკუთარ სიცოცხლეს ანაცვალებს ძმადნაფიცს და იგივეს მოელის მისგანაც (9: 63-65).

ძმად შეფიცული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები საყაჩაღოდაც ერთად დადიოდნენ. ისინი ლაშქრობების დროს ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი მეგობრების გადარჩენას — დაჭერილებს ჩუმად გააპარებდნენ, მოსალოდნელი საფრთ-

ხის შესახებ წინასწარ გააფრთხილებდნენ და სხვ. მთიელები ერთმანეთის სიმამაცეს, ვაჟკაცობასა და შემართებასაც კარგად ხედავდნენ და აფასებდნენ.

როგორც აღნიშნავს ხ. მამისიმედიშვილი: ქისტები და ქართველები ხელმძღვანელობდნენ მამა-პაპათაგან დადგენილი ძმადნაფიცობის და მოყვრობის პრინციპებით და საერთოდ იმ წმინდათა-წმინდა ადათებით და წესებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მსგავსი და თანაზიარი ჰქონდათ (9: 69).

მას შემდეგ, რაც XIX ს-ის 30-50-იანი წლებიდან, პანკისის ხეობაში ჩეჩნთა კომპაქტური დასახლებები გაჩნდა, ქართველებისა და ჩეჩენი ხალხის ურთიერთობას გარკვეულწილად ტონს პანკისელი ქისტებიც[3] აძლევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქისტები ეთნიკურად ჩეჩნები არიან, საქართველოს მთიელები მათ მაინც განსხვავებულ ჯგუფებად წარმოიდგენდნენ, რაც დღეს უმეტესად უფროს თაობაში ფიქსირდება; ამ სხვაობას ისინი ძირითადად ქისტებისა და ჩეჩნების ხასიათსა და პირად თვისებებში ხედავენ, თუმცა აღნიშნავენ კულტურული ხასიათის განსხვავებებსაც. ამგვარი შეხედულება საფუძველს მოკლებული არ არის, რადგანაც ქართულ გარემოში მოხვედრილმა ვაინახებმა ქართული კულტურის უშუალო გავლენა განიცადეს; მოხდა საერთო მახასიათებლების ფორმირება, რაც ყოფისა და კულტურის ყველა ასპექტში გამოვლინდა. მიგრირებული ჩეჩნების ძირითადი ნაწილი იმ ადგილებიდან იყო (მაისტის, მელხისტის, ტერლოის, ხილდიხაროსა და სხვა მაღალმთიანი ხეობის მცირემიწიანი სოფლებიდან), სადაც ისლამი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. ამიტომ, პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულმა ქისტებმა, რომელთა რელიგიაც სინკრეტულ სახეს

---

3. პანკისელი ქისტების ეთნოგრაფია, თანამედროვე ყოფა და რეგიონში შექმნილი ვითარება მეცნიერულად ზედმინევნით იქნა შესწავლილი სპეციალისტების მიერ (იხ. გამოყენებული ლიტერატურა, ლ.მარგოშვილი, პანკისის კრიზისი, ხ. ხანგოშვილი), ამიტომ ამ საკითხებზე აღარ შევჩერდები.

ატარებდა, ადვილად გაითავისეს ადგილობრივი სამლოცველო ნიშები და ქრისტიანული ძეგლები. ქართველების უძველესი სალოცავები ვაინახებისთვის წმინდა ადგილებად იქცა. საერთო დღესასწაულები და რიტუალები აყალიბებდა და ამყარებდა პანკისის ხეობაში მცხოვრები ჯგუფების სოლიდარობას (5: 154-158).

ხეობაში ქისტების ჩამოსახლების პირველი წლებიდანვე ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებული მისიონერული მოღვაწეობის შედეგად ქისტი მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო (თუმცა ამ პროცესს ერთგვარი იძულების ხასიათი ჰქონდა და მოსახლეობის პრაქტიკული დაინტერესებაც ედო საფუძვლად), რაც მეტ-ნაკლებად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად პანკისის ხეობაში თანდათანობით მკვეთრად მოიკიდა ფეხი მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ (განსაკუთრებით სოფ. დუისი გახდა ისლამის მიმდევართა ცენტრი), პანკისელი ქისტები სალოცავებში და ქრისტიანულ დღესასწაულებზე ნაწილობრივ დღესაც კი დადიან. ქისტების რწმენაში მაჰმადიანურთან ერთად ძველი წარმართული და ადგილობრივი ადათის ზოგი ელემენტია შერწყმული. სწორედ ამის გამო, პანკისის ხეობაში ადგილი არ ჰქონია რელიგიურ-ფანატიკურ იზოლაციონიზმს (20: 159).

ქართველების გარემოცვაში მოხვედრილ ქისტებში საგრძნობლად შესუსტდა ტრადიციული კარჩაკეტილობა, ჯგუფის სოციალური კონტროლი ინდივიდის პირადი ცხოვრების მთელ რიგ ასპექტებზე, მისი ქცევის რეგლამენტირება, ანუ შედარებით შერბილდა დახურული სისტემის დამახასიათებელი მკაცრი იერარქიული ურთიერთობა, სტრუქტურის გარე და შიდა სამყაროსთან. ამისდა მიუხედავად, მათ დღემდე აქვთ ოჯახისა და თავისი გვარის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. გვარი მათთვის ერთი დიდი ოჯახია, სადაც მკაცრად არის დაცული უფროს-უმცრობის წესი, სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი. ქისტს უფროსის

პატივისცემას ბავშვობიდან ასწავლიან. დღემდეა შემორჩენილი სისხლ-მესისხლეობის ტრადიცია და სხვ. (20. 87). პანკისის ხეობაში თანდათანობით იქმნებოდა საერთო მორალური ატმოსფერო. პანკისის ხეობას აღიქვამდნენ როგორც „ჩვენს" — საერთოს და არა რომელიმე ერთის კუთვნილებას. ასეთი სოციალური ერთობა ნლების მანძილზე მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველი, ტრადიციული რელიგია კი მათთვის სულიერ-ზნეობრივი საყრდენი იყო (20: 149).

პანკისელმა ქისტებმა დღემდე შემოინახეს მშობლიური ენა და თვითმყოფადი ტრადიციები, მაგრამ ისინი განათლებას ქართულად იღებენ და ქართული მათთვის მეორე მშობლიურ ენად იქცა, ისინი ატარებენ გვარებს ქართული დაბოლოვებით.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ქისტი მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი ჩეჩნეთში და ინგუშეთში გადავიდა საცხოვრებლად და შექმნა ქისტი ვაინახების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ჩეჩნეთის საზოგადოების ორგანულ ნაწილად იქცა. ბოლო ნლებში ჩრდ. კავკასიაში არსებული მდგომარეობის და განსაკუთრებით ჩეჩნეთ-რუსეთის (1994-96 ნნ.) ომის გამო ქისტების უმრავლესობა (2000 ადამიანი) დაუბრუნდა პანკისის ხეობას. ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის (1999 ნ.) შედეგად, საქართველოს მთავრობამ ჩეჩენ ლტოლვილებს (დაახლოებით 7000-8000 კაცი, ძირითადად ბავშვები, ქალები და ხანში შესული ადამიანები) თავშესაფარი მისცა და ისინი პანკისის ქისტურ სოფლებში განათავსა. სწორედ აქედან დაიწყო დეზინტეგრაციული პროცესები ორი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებულ ერთიან სოციალურ ორგანიზმში, ამის შემდეგ პანკისი და ჩეჩნების თემა კავკასიასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური სცენარის ერთ-ერთი მთავარ თემად იქცა.

II თავი

ქართულ ვაინახური ურთიერთობა და სტერეოტიპიზაციის თავისებურებანი

ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეტად რთულ სასიცოცხლო გარემოში არსებობამ და მტრის მუდმივმა თავდასხმებმა ქართველ და ვაინახ მთიელებში განსაკუთრებული თვისებების ფორმირებას შეუწყო ხელი. მათთვის დამახასიათებელი იყო მიზანსწრაფულობა, ბრძოლისუნარიანობა, ჯგუფის შიდა დარაზმულობა და შეკავშირებულობა. ფიზიკური განადგურების, ეროვნული თვითმყოფადობის და თავისუფლების ხელყოფის საშიშროებამ ისინი თვითდამკვიდრებისთვის მუდმივად მებრძოლ ჯგუფებად ჩამოაყალიბა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნული ტიპის ორი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტერესთა გადაკვეთა ბუნებრივად წარმოშობდა ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურ განწყობას. გადმოცემით, მტრული განწყობა უფრო მეტად ახასიათებდათ ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან ახლოს სახლობდნენ (აღსანიშნავია, რომ მეგობრული დამოკიდებულებაც უფრო ხშირად ასეთ ჯგუფებს შორის არის დამოწმებული). თუმცა, მტრული დამოკიდებულება კეთილგანწყობით იცვლებოდა მაშინვე, როგორც კი დაპირისპირებულ ჯგუფს ან მის წევრს საფრთხე სხვისი მხრიდან ემუქრებოდა. ასეთ შემთხვევაში ქისტები და ქართველები ივიწყებდნენ მტრობას და მხარში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს.

ქართველ მთიელთა ყოფაში მრავლად მოიპოვება მაგალითები იმისა, თუ როგორ მეგობრობდნენ ისინი ვაინახებთან, როგორ ეხმარებოდნენ და შურსაც კი იძიებდნენ ხოლმე ერთმანეთისთვის, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იყო დამნაშავე — თავისიანი თუ უცხო ტომელი.

ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებდა მტრობასაც და მოკეთეობასაც ქართველ მთიელთა და ვაინახთა შორის. ერთი მხრივ, მტრული იმპულსები მტრის ხატის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი ხდებოდა იმავე მტრის ღირსებების აღიარება. დადებითი და უარყოფითი იმპულსები შესაბამისად აისახა ამ ეთნიკურ ჯგუფთა ფიქსირებულ განწყობებზე. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ინდივიდის ყოველი ქცევა რომელიმე სახის განწყობის საფუძველზე ხორციელდება, ანუ ამა თუ იმ ქცევის წინ ხდება გარკვეული განწყობის ფორმირება, რაც წინასწარ განსაზღვრავს ამ ქცევის მიმართულებას. გარკვეულ ქცევას საფუძვლად სიტუაციური განწყობა უდევს, ხოლო ერთიდაიმავე ქცევის მრავალჯერ შესრულებით, ანუ სიტუაციური განწყობის მრავალჯერ რეალიზაციის შემდეგ. ეს განწყობა მტკიცდება და ინახება — გაფიქსირდება. ქართველი ფსიქოლოგები ასეთ განწყობას ფიქსირებულს, ხოლო უცხოელი მეცნიერები დისპოზიციურ განწყობას უნოდებენ. განწყობა, რომლითაც პიროვნება დამოკიდებულებას ამყარებს სინამდვილესთან ორი ალტერნატიული ნიშნით — ვალენტებით ხასიათდება. ადამიანებს სოციალური მოვლენების მიმართ განსხვავებული ვალენტობის განწყობები აქვთ, ანუ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება (12: 73-120). ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ ვაინახებს შორის განსხვავებული ხასიათის ურთიერთობებმა განსხვავებული ვალენტობის ფიქსირებული განწყობები განაპირობა. სწორედ ამ დადებითი და უარყოფითი განწყობების საფუძველზე ყალიბდებოდა ინტერეთნიკური ურთიერთობის უნიკალური ხასიათი, რაც კეთილმეზობლური და მტრული დამოკიდებულების ერთიანობაში ვლინდება. ურთიერთობის ამგვარი ფორმა განაპირობებდა ურთიერთგანწყობის ამბივალენტურ ხასიათს — ქართველი და ვაინახი მთიელები ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ იმავდროულად აღიარებდნენ მტრის ღირსებებსაც. დადებითი და უარყოფითი იმპულსები შესაბამისად აისახა

ამ ეთნიკურ ჯგუფთა სოციო-ფსიქოლოგიურ დისპოზიციებზე და უშუალოდ განსაზღვრა ეთნიკურ სტერეოტიპთა ხასიათი. სწორედ სასაზღვრო რეგიონში, ქართველ და ვაინახ მთიელთა მრავალმხრივი კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობდა ეთნიკურ სტერეოტიპთა ჩამოყალიბების პროცესი. მასზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ზოგადად ამ ხალხთა შორის ურთიერთობის შემდგომი დინამიკა.

როგორც ცნობილია, ეთნიკური სტერეოტიპი წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფის ან ეთნოსის განზოგადოებულ მყარ ხატს და გამოხატავს ეთნოსის სოციოკულტურულ თავისებურებებს. მასში აისახება არა მხოლოდ აღმქმელი თუ შემფასებელი სუბიექტის თავისებურებანი, არამედ მთლიანად ეთნოსის ღირებულებითი ორიენტაციები, მათი იერარქია. სტერეოტიპი, როგორც გარკვეულ ცნობათა ერთობლიობა, მიმართულებას აძლევს ჩვენს მოლოდინს, ხოლო სტერეოტიპის მიერ ფორმირებულ მოლოდინს შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს ჩვენს წარმოდგენასა და განწყობაზე (44: 159).

ეთნოსებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ წარმოდგენებზე, რასაც ესა თუ ის ჯგუფი (ან მისი წევრი) განიცდის საკუთარი თუ სხვა ჯგუფის მიმართ, ანუ ეთნიკურ „აუტო" და „ჰეტერო" სტერეოტიპებზე. „აუტო" და „ჰეტერო" სტერეოტიპები სუბიექტური ხასიათისაა, ინდივიდის ხედვის კუთხე ეფუძნება საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ეთნოკულტურულ მახასიათებლებს (24: 242). ამავე დროს, გასათვალისწინებელია ე. წ. "ingroup and outgroup effects"-ის მომენტიც, ანუ „საკუთარი და გარეშე ჯგუფის ეფექტები", რაც იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი ჯგუფი ბევრად უკეთესად არის წარმოჩენილი, ვიდრე გარეშე (44: 160). „სოციალური იდენტიფიკაციის თეორიის" თანახმად, ადამიანები მიდრეკილნი არიან უფრო მეტად პოზიტიურად დაახასიათონ ის „წარმოსახვითი ერთობა" (ყველაზე

ხშირად კი ერი), რომელსაც თავად მიეკუთვნებიან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობის შიგნით მყარი კავშირების შენარჩუნებისათვის. შესაბამისად, მას, ვინც ამ ერთობას არ მიეკუთვნება, ყველაზე უარყოფით თვისებებს მიაწერენ" (60).

ეთნოსთა შორის ურთიერთობებში კულტურულ სტერეოტიპებს მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ვინაიდან მას გარკვეულ ვითარებაში ქცევის მარეგულირებელი ფუნქციაც ეკისრება. იგი შეიძლება ეთნიკური ურთიერთობის დეტერმინანტადაც კი მივიჩნიოთ (44: 242). სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს, ხალხებსა თუ სახელმწიფოებს შორის კონტაქტების დამყარებას, ამ კონტაქტების განვითარებასა და მათ ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს სტერეოტიპული წარმოდგენები (55: 148).

ინტერეთნიკური ურთიერთობის ხასიათი დამყარებულია უარყოფით და დადებით ეთნიკურ სტერეოტიპთა მონაცვლეობაზე; თუ, ერთი მხრივ, დადებითი სტერეოტიპები ქმნის ნიადაგს ეთნოსებს შორის პოზიტიური ურთიერთობისათვის, მეორე მხრივ, შესაძლებელია მოხდეს უარყოფით სტერეოტიპთა გამიზნული აქცენტირება, რასაც ეთნოსებს შორს დაძაბულობის მუხტი შეაქვს და შემდეგ შესაძლოა ეს ურთიერთობანი პოლიტიკურ მანიპულაციათა ობიექტად იქცა. ეს მონაცვლეობა გულისხმობს ახალ უარყოფით სტერეოტიპთა ფორმირებასაც.

ქართველ მთიელთა და ვაინახთა ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი სტერეოტიპები ამბივალენტური ხასიათისაა, ანუ მათში ასახულია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ურთიეთგანწყობა. მაგრამ, მიუხედავად ყოფაში არსებული რიგი დაპირისპირებებისა, ქართველ მთიელთა მიერ ვაინახთა დახასიათებაში ნაკლებად შეხვდებით უარყოფით ჰეტეროსტერეოტიპებს და პირიქით. ალ. ოჩიაური თავის მოგონებებში ქისტებზე (იგულისხმება ზოგადად ვაინახები) წერს: „ქისტებს უყვარდათ კარგი თოფიარაღი, კარგი ცხენი და უნაგირი, ჩაცმა-დახურვა, სისუფთავე,

უფროს-უმცროსობა, ზრდილობა, პურადობა, სტუმრის შენახვა და სხვა. მოსულ სტუმარს საკლავს დაუკლავდნენ. ეს იყო სტუმრისათვის დიდი პატივისცემა. ხორცი თუნდაც ბევრი ქონიყო, მაინც საკლავს დაკლავდნენ. თუ საკლავი შინ არ ყოლიყო მოპარვასაც არ დაზარდებოდნენ, რომ სტუმრისათვის საკლავი დაეკლათ" (13).

ხევსური რესპონდენტის აზრით: „ქართველები რომ არიან ქალებთან უვარგისები, ქისტები ისეთები კი არ არიან, თითს არ დაადებენ... ისეთი მოყვარული ხალხია, ისეთი დამნდობი მაგათთან თუ პური გატეხე..." (40).

ქართველი მთიელები განსაკუთრებით ქისტების სტუმართმოყვარეობას აღნიშნავენ. უკანაფშაველი მთხრობელი იხსენებს: „ამ 20-30 წლის წინ მაღაროსკარის სკოლა ესტუმრა დუისის სკოლას. იმ დროს მეც იქ მოვხვდი. ჩემი მეგობარი იყო მასწავლებლად დუისის სკოლაში. გაუხარდა — რა კარგ დროს მოხვედიო და შეხვედრაზე წამიყვანა. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის მეგობრული ურთიერთობა, შთაბეჭდილება, ჩახუტება ფშავლებისა და ქისტებისა. ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ხალხი სულ ასეთი არ იქნება ჩვენთვის -- გულში ჩასაკრავი და მეგობრული. იყო ცეკვა, სიმღერა. მერე დაძინების დრო რომ მოვიდა, პირდაპირ გაგვიტაცეს სახლებში. ლამის ბრძოლა გამართეს — არა ჩემთან, არა ჩემთან წამოდიო. მე ვისთანაც მოვხვდი, ის ბრაზობდა — რა, მაგათ უნდოდათ, რომ მე უსტუმროდ დავრჩენილიყავი, შენ თავს არ მანებებდნენო?! აი, ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ" (ვ. წიკლაური, უკანაფშავიდან).

ქართველი მთიელის აზრით „თუ ვინმე კავკასიაში მოძმე იყო ქართველებისა — ჩეჩნები იყვნენ. სულ ჰქონდათ გადასვლა-გადმოსვლა. აქეთ რომ ვილაცას რამე გაუჭირდებოდა, შეაფარებდა იქ თავს. მე იქ ხშირად მიმოგზაურია. თან გადაყოლა იცოდნენ ჩეჩნებმა. ჩეჩნების და ქართველების დამოკიდებულება იყო ძალიან ძმური. ახლა პოლიტიკამ აურია ყველაფერი" (ლ. ელიზბარაშვილი, შუაფხოდან).

განსაკუთრებით კარგად ახასიათებენ თუშები და ხევსურები ქისტ (ვაინახ) ქალებს, ხაზს უსვამენ მათ ოჯახისადმი ერთგულებას, ქმრისადმი კრძალვას, სისუფთავეს და სხვ. სნორედ ამ ნიშანთა გამო ქისტის ქალი ყოველთვის სასურველ რძლად ითვლებოდა ქართველ მთიელებში (40).

ჩეჩნურ ლეგენდებსა და საგმირო სიმღერებში, სადაც ვერ იპოვით ერთ შეურაცხმყოფელ სიტყვასაც კი სხვა ხალხის წარმომადგენლებთან მიმართებაში, ვისთანაც ჩეჩნებს ბრძოლა უხდებოდათ, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი ჭაბუკის სახეს, რომელიც ჩეჩენს გაჭირვებაში ეხმარება (43: 199).

ამ ხალხთა შორის ურთიერთობებში დადებითი სოციალური განწყობა დადებითი ტენდენციების ჩამოყალიბებას იწვევდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეამ ქართველი და ვაინახი ხალხი მნიშვნელოვნად დააახლოვა ერთმანეთთან.

1922 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი შეფიცულთა რაზმი (1922-1924), რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, თავდაპირველად პანკისის ხეობაში ჩამოყალიბდა; მასში რამოდენიმე ქისტი შედიოდა (დათიკო ფარეულიძე, ჰასეი აჭიშვილი და სხვ.). ქაქუცა ჩოლოყაშვილი კარგად იცნობდა პანკისის ხეობას და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქისტებთან... (35: 443). 1922 წელს ხევსურეთის ამბოხების პერიოდში, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სთხოვა ხევსურ მეთაურებს მთიელი ჩეჩნები (ქისტები) მიეშველებინათ აჯანყებაში. ხევსურებს მოეწონათ აზრი, მაგრამ ეჭვი გამოთქვეს, რადგან პირაქეთ ხევსურებს მტრობა ჰქონდათ ქისტებთან. მათი აზრით ჩეჩნები არც ენდობოდნენ და არც წამოვიდოდნენ ომში. ქაქუცამ მაინც გაგზავნა ალ. სულხანიშვილი დიპლომატიური მისიით ქისტებთან.

ალექსანდრე სულხანიშვილი იგონებს: „თათბირი გოგოთურის კარ-მიდამოში შედგა. ქაქუცამ დავალება და დარიგება მომცა, ხო-

ლო მეთაურმა ხევსურებმა ეს მითხრეს: „უთხროდი ქისტებს, მართალია, მტრობაა ჩვენ შორის, მაგრამ დროებით დავივიწყოთ. რუსები, რომლებიც კარზე გვყვანან მომდგარნი, მტრები არიან ჩვენიც და თქვენიც; ხევსურეთში რომ შემოვლენ, მერე თქვენთანაც მოვლენო". გოგოთურმა ორი ბავშვი — ბიჭი და გოგო მომიყვანა, ხურჯინი მომცა და მითხრა: „აი, შენი კვნესამე, ეს ბავშვები ჩემი შვილი სულხანაურისნი არიან, ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს. ესენი წაიყვანე და მიჰგვარე ქისტებსო." პაპა შვილიშვილებს მატანდა მე ქისტებთან, ესე იგი ჩეჩნებთან, რომ მათ სისხლი აეღოთ! მე ვუთხარი: „რას ამბობ, გოგოთურო, როგორ შეიძლება, რომ სისხლის ასაღებად ქისტებს ხურჯინით მივგვარო უსუსური ბავშვები-მეთქი". აქ ქაქუცაც მოვარდა: „გოგოთურო, როგორ შეიძლება, რომ ბავშვები მიჰგვარო ქისტებს სასაკლაოდაო". „რა ვუყოთ, ქაქუცაო, სამშობლოს უჭირსო" — გულისამოხეთქით წარმოთქვა გოგოთურმა.

ქისტეთის სოფელ ჯარეგოში ალექსანდრე სულხანიშვილი შეხვდა წარჩინებულ თავკაცებს. მან გადასცა ქისტებს ხევსური მეთაურებისა და ქაქუცას დანაბარები. ქისტები ყოყმანობდნენ, მათ გულახდილად განაცხადეს: ჩვენ შატილთან მეგობრობა გვაქვს, ხოლო პირიქით ხევსურებთან კი მტრობაო. ვაითუ მათ ხეობაში ჩაგვიტყუონ და იქ ჩაგვხოცონო. სულხანიშვილმა მათ გადასცა ხევსურების პირობა, რომ რადგანაც საერთო მტერი კარს იყო მომდგარი, დაევიწყებინათ მტრობა. გარდა ამისა, ის ხევსურები, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მათ რიგებში შეერეოდნენ და ამგვარად, არავითარ საფრთხეს აღარ ექნებოდა ადგილი.

ქისტებმა გადაწყვიტეს რაც შეიძლება მალე გაეწიათ დახმარება ხევსურებისათვის. იქვე დანიშნეს ჯარეგოში ჯარის შეკრების დრო შატილში გასამგზავრებლად, საიდანაც პირიქით ხევსურეთისკენ გააგრძელებდნენ გზას (9:12-13).

საერთო ბედმა ქართველები და ვაინახები კიდევ უფრო მეტად გააერთიანა საბჭოთა პერიოდში. ქართველ და ვაინახ მთიელთა იმ დროინდელ ურთიერთობაში აღინიშნება დადებითი ტენდენციების ზრდა, რამაც, შესაბამისად, დადებითი სტერეოტიპების გამყარებას შეუწყო ხელი.

როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი ე. არონსონი აღნიშნავს, საერთო ბედის და ერთიანობის გრძნობა შეიძლება ჩამოუყალიბდეს იმ ხალხს, ვინც დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ინტერესებით, სიხარულით, განცდით და ჩაკეტილ გარემოში ყოფნით (44). ეს საერთო ინტერესი საბჭოთა პერიოდში ორივე ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა იყო, ჩაკეტილი გარემო კი საბჭოთა იმპერია.

1942 წელს მთელ თუშეთში გაიშალა წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც „სამანის" (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტი) სახელწოდებით შევიდა ჩვენ უახლეს ისტორიაში. მათ მთავარ ბირთვს გადაწყვეტილი ჰქონდა, როდესაც კავკასიის კალთებს მომდგარი გერმანელები საქართველოში შემოვიდოდნენ, მოლაპარაკება ეწარმოებინათ მათთან და ქვეყანა ეხსნათ ახალი რბევისაგან, თავი დაეღწიათ რუსეთის ბატონობისაგან... ადამ ბობლიაშვილი ცდილობდა მთა-თუშეთიდან დაკავშირებოდა ჩეჩენ ბელადს ჰიდრისს, რომელიც თავგანწირვით ებრძოდა რუსებს. საჭიროების შემთხვევაში იგი ჩეჩნეთში გადასვლასაც აპირებდა (9: 57).

ამ იდეას განხორციელება არ ეწერა, სამაგიეროდ, იმავე გერმანელებთან ალიანსის მიზეზით ჩეჩნები და ინგუშები სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს.

1944 წელს ჩეჩენ-ინგუშთა შუა აზიაში გადასახლების პერიოდისათვის, დღის წესრიგში დადგა პანკისელი ქისტების დეპორტაციის საკითხიც. მოსალოდნელი გადასახლების თაობაზე ისინი წინასწარ საიდუმლოდ იყვნენ გაფრთხილებულნი და ჩუმად მომზა-

დებულიც კი იყვნენ ამისთვის. ხ. ხანგოშვილი წერს — ქისტების ბედი მაშინ ქართველების მიერ მიცემულმა კარგმა დახასიათებამ გადაჭრა: ქართველთა აზრი მათ შესახებ ერთიანი იყო — ისინი საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. საკმარისი იყო ერთი ანტიქისტური საჩივარიც კი, რომ პანკისელი ქისტები დედა-ბუდიანად აეყარათ, მაგრამ ქართველთა წყალობით ეს ასე არ მომხდარა. ხოლო ეს ფაქტი ქისტებს არასოდეს არ ავინყდებათ (35: 463).

1944 წელს ჩეჩენ-ინგუშების შუა აზიაში გადაასახლების შემდგომ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები (ძირითადად ხევსურები) ოჯახებით ჩასახლდნენ ვაინახთა ტერიტორიაზე (ასის და თარგიმის ქვაბული) და დაეპატრონენ მათ ქონებას. ამ რაიონს ახალხევის რაიონი ეწოდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში გადასული ხევსურები ქისტების მინა-წყალს ისევე უფრთხილდებოდნენ როგორც საკუთარს. ქისტების სახნავ-სათიბები, ხევსურეთის მსგავსად, კომლებს შორის იყო დაყოფილი და განაწილებული. ქართველებმაც ის ერთიმეორეში გაიყვეს და ერიდებოდნენ მათ გაერთიანებასა და საზღვრების მოშლას.

ამავე პერიოდში მთაში გახიზნულმა ვაინახებმა (დაახლოებით 2000-მდე კაცი) პარტიზანულ-აბრეგული მოძრაობა გააჩაღეს: თავს ესხმოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სამხედროებს, ასევე მათ ადგილებში ჩასახლებულ მოახალშენეებს (თუმცა ეს უკანასკნელი ქართული ეთნოგრაფიული წყაროებით არ დასტურდება. ნ. ჯ.). ამ მოძრაობის ლიკვიდაციის მიზნით ჩეჩნეთ-ინგუშეთში შინსახკომის რამოდენიმე დივიზია იქნა გაგზავნილი.

თუ რა მასშტაბის და ხასიათის ღონისძიებებს ჰქონდა ადგილი ამ მიმართულებით, კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ საიდუმლო ბრძანებაში, რომელსაც ხელს ლ. ბერია ანერს.[1]

---

1. დოკუმენტის მოწოდებისათვის ავტორი მადლობას უხდის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ლ. ურუშაძეს.

СТРОГО СЕКРЕТНО

ПРИКАЗ

Народного Комиссара Внутренних дел Союза ССР за 1944 год

Содержание:

№001217 О мероприятиях по борьбе с остатками бандгрупп по Грозненской области и Ахалхевскому району Грузинской ССР.

№001217 29 сентября 1944 г., гор. Москва.

Несмотря на значительную работу по борьбе с бандитизмом в горных районах Северного Кавказа, проведенную органами НКВД-КГБ в соответствии с приказом НКВД СССР №00632 от 28 мая т. г., в ряде районов Грозненской области и Ахалхевском районе Грузинской ССР остались неликвидированными и укрылись в горах ряд бандитов.

В числе этих бандитов имеется несколько видных бандглаварей, известных своей непримиримостью к Советской власти. Оставшиеся бандглавари, лишившись пособнической среды и материально-продовольственных баз, вновь попытаются совершать ограбления колхозов и убийства советских граждан.

В целях ликвидации остатков банд, скрывающихся в Грозненской области и Ахалхевском районе Грузинской ССР

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Сохранить созданные приказом НКВД СССР №00632 оперативные сектора: Галанчожский, Урус-Мартановский, Шатоевский — по Грозненской области и Ахалхевский — по Грузинской ССР, упразднив остальные оперативные сектора и штаб руководства операциями, организованные упомянутыми приказом.

2. Начальнику УНКВД по Грозненской области тов. Дроздову и Наркому внутренних дел Грузинской ССР тов. Карандзе укомплектовать названные оперативные сектора опытными работниками, обес-

печив конкретное руководство повседневной практической работой секторов.

Начальнику УНКГБ по Грозненской области т. Алиеву и Наркому госбезопасности Грузинской ССР т. Рапава указать т. т. Дроздову и Каранадзе соответственно оказать помощь в организации агентурно-оперативных мероприятий по ликвидации остатков чечено-ингушских банд. выделив необходимое количество агентуры, располагающей соответствующими возможностями.

3. Наркомам внутренних дел и государственной безопасности: Дагестанской АССР т. Маркарян и т. Калинину, Северо-Осетинской АССР т. Бзиева и т. Филатову, продолжая изъятие остатков ликвидированных банд на территории своего проживания, считать важнейшей оперативной задачей в ближайшее время активное участие в ликвидации остатков чечено-ингушских банд.

В этих целях, по согласованию с т. т. Дроздовым и Каранадзе, разработать и провести в жизнь необходимые агентурно-оперативные мероприятия с использованием возможностей подчиненных им органов.

4. Несение гарнизонной службы и проведение войсковых операции по борьбе с остатками банд на территории Грозненской области и Ахалхевского района Грузинской ССР возложить на 141-й горно-стрелковый полк войск НКВД.

5. Комиссару госбезопасности II ранга тов. Кобулову проверить на месте организацию мероприятий, определенных настоящим приказом оказать необходимую воинскую помощь.

Народный комиссар внутренних дел Союза ССР

Генеральный комиссар госбезопасности Л. Берия"

Верно:

(ГАРФ. Ф. Р.-9401.Оп.1.д.2196.Л.356)

მოსკოვი აქტიურად ცდილობდა მთაში დარჩენილი ვაინახების წინააღმდეგ ბრძოლაში მეზობელი კავკასიელების ჩართვას, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება ვერ შესძლო (70:263).

პოეტი გ. ჯაბუშანური, რომელიც აღნიშნულ პერიოდში არხოტიდან ღილღოს გადასახლდა და იქ დაემკვიდრა, მეგობრისადმი მინერილ წერილში (დათარიღებულია 1944წ. 09. 07) წერს:

„სამი თვეა თითქმის რაც ღილღოს ვიმყოფები. აქ დიდი ამბები იყო ამ რამდენიმე თვის წინათ დავლის ხვეჭის თვალსაზრისით... მაშინ აქ გადმოსახლებაზე ხმა არ იყო... ამჟამად მისვლა-მოსვლაა. მიმდინარეობს სიმინდის თოხნა, სხვა სამუშაოები. ხალხი მშვიდად მაინც არ არის: ჯერ აქ სრული სიმშვიდე არ სუფევს — ქისტი ყაჩაღებია განაპირა სოფლებში. ჩვენთან მაინც არა აქვთ ცუდი ურთიერთობა. ჯერ-ჯერობით არ გვერჩიან. მერე ვინ იცის რა იქნება. რაც გინდა იყოს, მე კი დავემკვიდრე ღილღოს...ამ ერთი თვის წინათ აქ გარნიზონი იდგა. მათ და ქისტებმა დახოცეს ერთმანეთი. ორი ქისტი მოკლა ჯარის დაზვერვამ. ქისტებმა კი დაზვერვაში მყოფი ხუთივე კაცი მოკლეს. მათ შორის ერთი ლეიტენანტი...."

აღმოსავლეთ საქართველოს მთას თავს აფარებდნენ რაზმები ცნობილი აბრეგების ხუჩბაროვის, ალხასტ იბის, იდრისის (ჰიდრის, იდრიზა) ხელმძღვანელობით; მათ კავშირი ჰქონდათ პანკისელ ქისტებთან და ეს უკანასკნელნიც პატრონობდნენ მათ როგორც თანამოძმეებს. ქართველი მთიელები ყველანაირად ცდილობდნენ მხარში დადგომოდნენ ვაინახებს, იფარებდნენ, საკვებით ამარაგებდნენ და საჭიროების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ.

აბრეგებს განსაკუთრებით ხევსურები თანაუგრძნობდნენ. ეს ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, უშიშროების მუშაკები სასტიკად უსწორდებოდნენ მათ, ვინც დახმარებას აღმოუჩენდა ვაინახებს (35: 464).

მაშინდელი ვითარების მომსწრე მთხრობლები გვიამბობენ: „სანამ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა ქისტების დაცლილ სოფლებში ჩასახლდებოდა, ქართველი მთიელები წინასწარ იბევებდნენ სამოსახლო ადგილებს, მაგრამ მთავრობამ მათ არ მისცა მაღალმთიან და მიუვალ სოფლებში დასახლების უფლება, რადგანაც შიშობდა, რომ ხუჩბაროვის რაზმები ხევსურთა ოჯახებში საიმედო თავშესაფარს ჰპოვებდნენ. ხევსურეთში მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ მოსახლეობისაგან. ისინი მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლები იყვნენ და მოსახლეობას მხოლოდ სარჩო-საბადებელს სთხოვდნენ, და ხან თხოვნაც არ ჭირდებოდათ.

ქისტებს ძალიან იფარავდა ქართველი ხალხი და ისინიც მადლიერები იყვნენ. მათი აყრის შემდეგ ქართველების ნაწილი გადასახლდა სოფელ ხამხაში. აქ მიმავლინეს მასწავლებლად, სადაც ჩემი ოჯახით გადავედი. სოფლიდან მოშორებით, მაღლა გორზე ცხოვრობდა ჩვენი ნათესავის ოჯახი. ხუჩბაროვის რაზმელებს კავშირი ჰქონდათ მასთან. ჩემი ნათესავი ამარაგებდა მათ პროდუქტით, თავშესაფარს აძლევდა და ყველანაირად ხელს უმართავდა. იმ პერიოდში მთიელ მამაკაცებს სახელმწიფომ დაურიგა იარაღი, რათა გაეკონტროლებინათ სიტუაცია და აბრეგებისგან „თავი დაეცვათ" ; ჩემს ქმარსაც (მოხევე, მარსაგიშვილი) ჰქონდა იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს იარაღი ქისტების წინააღმდეგ გამოეყენებინა. ის კი არა, ჩემს ქმარს შემოუთვალეს: ჩვენ ვიცით, რომ იძულებული ხარ ეგრე მოიქცე, მაგრამ ისიც ვიცით რომ მაგ იარაღს არასოდეს ჩვენკენ არ მომართავო. ამიტომ, ჩვენ შენგან არაფერი არ გვწყინსო. ჩვენი იქ ცხოვრების პერიოდში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ქისტებსა და ქართველ მთიელებს შორის რაიმე კონფლიქტი მომხდარიყოს. ერთადერთი, ქისტები თავის გადასარჩენად პროდუქტს თხოულობდნენ მოსახლეობისაგან. ისინიც ყოველთვის ხელს უმართავდნენ. მე არ მახსოვს, მათგან ვინმე დაზარალებული ან დაყაჩაღებული. პირიქით,

სულ აფრთხილებდნენ თავისიანებს, რომ რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ ხევსურებისთვის. ასეთი შემთხვევა მახსენდება: ხუჩბაროვის რაზმებსა და ჯარს შორის ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლას ადგილი ჰქონდა ხამხის მისადგომებთან; ჩემი ნათესავი — ორი მამაკაცი, მიდიოდა ხეობაში, იმ ადგილას, სადაც ეს შეტაკება მოხდა. ერთ-ერთი დაღუპული ქისტის გვამის წაღება თავისიანებს ვერ მოეხერხებინათ. შორიახლოდან, სამალავიდან უყურებდნენ, მაგრამ მისვლას ვერ ბედავდნენ, იმის შიშით, რომ შეიძლება სადმე მილიცია ყოფილიყო ჩასაფრებული. ხევსურებს, რომ გამოუვლიათ და დაუნახავთ მიცვალებული, მისულან და მისი დამარხვა გადაუწყვეტიათ. საფლავი გაუთხრიათ და ქისტური წესით დაუსაფლავებიათ. ჩასაფრებულ ქისტებს კი ჯერ გონებიათ, რომ ესენი მიცვალებულის გაძარცვას აპირებენო და მიზანში ამოუღიათ. როცა დაუნახავთ, რომ ქისტის გაპატიოსნებას აპირებდნენ, მერე გამოსულან სამალავიდან და მადლობა გადაუხდიათ (ლ. ოჩიაური, თბილისი).

ცნობები, რომ თითქოს აბრეგთა რაზმები ადგილობრივ მოსახლეობას აყაჩაღებდნენ და ძარცვავდნენ, როგორც ჩანს სპეციალურად ვრცელდებოდა უშიშროების ორგანოების მიერ ჩეჩნებისა და ინგუშების სახით ქართველთა მტრის ხატის შესაქმნელად.

უკანაფშაველი ინფორმანტის მონათხრობით: „ჩვენთან, ფშავში, 1947 წელში ქისტების ბანდები (იბას, ხუჩბაროვის) თარეშობდნენ. მაგათ გაძარცვეს ჩვენი სოფელი. მაშინ 5 წლის ვიყავი და იქიდან როგორღაც ჩანერგილი მქონდა, რომ ქისტი ყაჩაღია, მკვლელია, მძარცველია. ახლა რომ ვუყურებ, ასე თურმე არ ყოფილა. მოზრდილმა ხალხმა თქვა მერე, რომ ჩეჩნებს უთქვამთ— ჩვენ ტყეში ვართ და რომ ვიარსებოთ, საკვები გვჭირდება და იმიტომ მიგვაქვს თქვენგან სესხის სახითო. მოვა დრო და ქვეყანა რომ დამშვიდდება და დავბრუნდებით სახლებში, ამას ყველაფერს უკან დაგიბრუნებთო. კიდევ იცი რა მომწონს მაგათი, ყაჩაღები იყვნენ,

ტყიდან მოსულები და შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ მოსახლეობისთვის. მამიდად გვეკუთვნოდა ერთი ახალგაზრდა ქალი. ერთ ქისტს იმასთან და-ძმად გაფიცვაც კი მოენდომებინა. ქალს კი არ ექნა — მტერს როგორ გავეფიცებიო" (40).

დღეს ძალიან ცოტა მთიელს თუ შეხვდებით, ვისაც იმ პერიოდის ამბები ახსოვს, თუმცა ფშაველი მთხრობლები იხსენებენ:

„ხუჩბაროვის რაზმი ანტისაბჭოური, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა ჯგუფი იყო. ყველა დახოცეს და ბოლოს ერთი ხუჩბაროვი დარჩა. ის ბორბალოში მარტო იყო დარჩენილი, მათურის ზევით. უშიშროება, მილიცია დადიოდა და ეძებდა, მაგრამ იმას ხალხი ინახავდა. ბოლომდე შეინახეს, არ უღალატეს და არ გასცეს. მერე, როცა მთავრობა შეპირდა — შეგირიგებთო, ისევ თავისიანებმა მოატყუეს და ასე მოკლეს. მანამდე აქ კაცს არ ჩაუშვია. ეს არც ჩეჩნებმა იციან დღეს. იმ თაობას აღარ ახსოვს. მაშინ "შპიონებით" სავსე იყო გარემო. ეს არის უნიკალური შემთხვევა, თუ როგორ შეინახეს ხუჩბაროვი ამ პატარა კუთხეში. მახსოვს, რამდენიმე კაცი, ხუჩბაროვის რაზმელი ჩვენთან იყო რამდენჯერმე ოჯახში მოსული ღამით. მამაჩემთან შეინახეს იარაღი (უკანაფშავის სოფ. შუაფხოში — ნ. ჯ.). ჩვენ პატარები ვიყავით და ვერაფერს ვხვდებოდით. ის რომ ჩამოსულა აქეთ, თურმე აფრთხილებდა თავისიანებს, აქ არავინ არაფერი გააფუჭოს, ეს ჩვენი ხალხიაო. ბოლოს დარჩა მარტო, იცხოვრა რამღენიმე წელიწადი. მათურის ზემოთ, მაღლა ერთი ოჯახი ცხოვრობდა, და იქ. ფშავლებმა იცოდნენ, მაგრამ სულ გზა-კვალს უბნევდნენ მთავრობას. მთავრობა ბოლოს გარიგებაზე წავიდა. შადური შეხვდა. მოატყუეს, წამოიყვანეს აკუშოს ხევზე და ვითომ ავტობუსს დაესხა თავსო, მოკლეს. სად იყო მაშინ ავტობუსი, რა უნდოდა იქ. რაღაცა მანქანა მოდიოდა და იმას ჰქონდა დავალება, რომ მოეწყო ინსცენირება. სუკი ხომ იცი რასაც აკეთებდა. მზაკვრულად მოკლეს შესარიგებლად წამოსული კაცი" (40).

„1957-58 წლები იყო. მე მაშინ ბარისახოს ინტერნატში ვსწავლობდი. ბავშვები მივდიოდით სკოლაში. ორწყლის შესახვევი როა, აკუშოს აქეთ, იქ პატარა მინდორია და იქ „კოლხოზნიკები" იყო გაჩერებული. სამხედროები ტრიალებდნენ. ეტყობა ინაური და ვიღაცეები კიდევ, უშიშროების ხალხი. მერე რამდენიმე გამოეყო იმ ჯგუფს და ტყეში ავიდნენ. თურმე მაშინ ხუჩბაროვი ჩამოიყვანეს იმ ტყიდან და წაიყვანეს" (40).

რაც შეეხება იდრისს, ნ. ა.-ს მონათხრობით: „ ბოლოს, როცა იდრისი დაჭრეს, ის სადღაც ეხში იმალებოდა თურმე. ნ. ბაძოშვილი (შემდეგში ცნობილი ყბა-სახის ქირურგი – ნ.ჯ.) მაშინ ახალგაზრდა ექიმი იყო ომალოში. ცხენით დადიოდა თურმე და რუსი ჯარისკაცები, გამცილებლები დაჰყვებოდეს. იდრისი რო ეხში მომკვდარა და გამოიტანეს, პირველი ექსპერტი იმისა ნატა იყო. იდრისი სისხლისგან დაიცალა, დაჭრილი იყო. ჩანთა რომ ამოულაგებიათ ილია ჭავჭავაძის წიგნი ჰქონდა. ქართულად კითხულობდა თურმე. ქართული ძალიან კარგად იცოდა. იდრისი ქართული ორიენტაციის, პატრიოტი, კავკასიის ხალხთა ერთიანობის მომხრე იყო" (40).

1957 წელს, როდესაც რეპატრირებული ჩეჩნები და ინგუშები სამშობლოში დაბრუნდნენ, ქართველი მთიელები სიხარულითა და ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ ძველ პატრონებს, საკლავს უკლავდნენ, სუფრას უმართავდნენ. ორი დღის შემდეგ ქართველებმა გაუყვეს მათ სარჩო-საბადებელი და სამშობლოში დაბრუნდნენ. თვითმხილველების გადმოცემით ქართველთა და ვაინახთა გამომშვიდობების სცენა ისეთი ამაღელვებელი ყოფილა, რომ მათი ქალები, რომლებმაც ტირილი არ იციან, ტიროდნენო.

ქართველების მიმართ კეთილგანწყობის ზრდა განსაკუთრებით განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ ვაინახების ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი, რომელიც დაღესტანსა და ჩრდ. ოსეთს შეუერთეს, ძველ პატრონებს აღარ დაბრუნებიათ. როგორც ცნობილია,

ამ ტერიტორიაზე რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსახლდა დაახლოებით 77 000 ახალმოსახლე — ნაწილი ომის დროს განადგურებული ტერიტორიებიდან, ნაწილი კი ოსეთიდან და დაღესტნიდან. დეპორტირებულების სამშობლოში დაბრუნების პერიოდისათვის, მათ სახლებში უკვე 540 000-მდე ადამიანი ცხოვრობდა. უკან დაბრუნებულ ვაინახებს აღარც საკუთარი მიწები ქონდათ. ამიტომაც სოფლებში მუდმივი ხასიათი ჰქონდა დაპირისპირებასა და შეტაკებებს მიწის სავარგულების გამო, რომლებიც უკვე კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში იყო.ზოგიერთი მთიანი რაიონები საცხოვრებლად ჩაკეტილი იყო და მოსახლეობა იძულებული იყო დაბლობ ადგილებში ან კაზაკთა სტანიცებში დასახლებულიყო. ამ შეზღუდვების მიზეზი ზუსტად არ არის გარკვეული. შესაძლოა, ხელისუფლება შიშობდა, რომ მთიანი სოფლები ძნელი გასაკონტროლებელი იქნებოდა; თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო გამოძახილი იმ პერიოდში შემუშავებული საერთო აზრისა, რომ თითქოს მთის ეკონომიკა და მთიელთა ყოფა ჩამორჩენილი წარსულის გადმონაშთია და სახელმწიფოსთვის რთული იქნებოდა, მთიელთათვის ცხოვრების შესაბამისი კულტურული და სოციალური პირობები შეექმნა. ამვარი ვითარების გამო, წარმოიშვა სოციალური დაძაბულობა და მწვავე კოლიზიები, რამაც ეთნოსთაშორის კონფლიქტის ხასიათი მიიღო (66: 98). აღნიშნულმა ისტორიულმა ვითარებამ შემდგომ ამ ეთნოსთა (უფრო კი ვაინახთა და ოსებს) შორის უარყოფითი განწყობის ფორმირებას შეუწყო ხელი.

ქართველთა და ვაინახთა კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დამყარება-განმტკიცების მშვიდობიანი მისწრაფება განსაკუთრებით 60-იანი წლების შემდგომ შეინიშნება. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა — მთელ კავკასიაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ და ეთნო-კონფლიქტთა წარმოქ-

მნამ, ეს ტენდენცია ერთგვარად შეაფერხა და ინტერეთნიკურმა ურთიერთობებმა პოლიტიკური ელფერი მიიღო.

და მაინც, გარკვეულწილად, დადებითი მუხტი შეიტანა ქართველებისა და ჩეჩნების ურთიერთობაში თბილისში სამოქალაქო ომის შემდეგ დევნილი პრეზიდენტის — ზ. გამსახურდიასა და მისი მთავრობისთვის ჩეჩნეთის ხელისუფლების მიერ თავშესაფრის მიცემამ; თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ იგივე ფაქტმა გამსახურდიას მოწინააღმდეგეებში ანტიჩეჩნური განწყობის გაღვივებას შეუწყო ხელი.

ქართველებისა და ჩეჩნების ურთიერთობაზე (და არა მარტო მათი, არამედ სხვა კავკასიელ ხალხებს შორისაც) აფხაზეთის ომმა ძალზე სერიოზული გავლენა იქონია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების წინააღმდეგ ჩეჩნების ამ ომში მონაწილეობა ძალზე უარყოფითად აისახა ამ ეთნოსთა სოციალურ განწყობებზე, მან მაინც ვერ დათრგუნა მათ შორის ურთიერთობის წარმმართველი ისტორიულად და კულტურულად შეპირობებული დადებითი იმპულსები. ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მაშინდელმა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯ. დუდაევმა სახალხოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ იგი ქართველთა წინააღმდეგ ჩეჩნების მხრიდან აფხაზებისთვის რაიმე სახით დახმარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო; მან ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას, აფხაზეთის ომში მონაწილე მებრძოლთა მშობლებს — აღეკვეთათ ეს უმსგავსო ქმედება; ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, ქართველების წინააღმდეგ მებრძოლ "ბოევიკებს" დაემუქრა, რომ მათ კანონგარეშედ გამოაცხადებდა (35: 496).

ასევე, ცნობილია, რომ ერთ-ერთი ბოევიკის ცხედარი მამამ არ მიიღო, რადგან იგი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა; ის პირდაპირ სასაფლაოზე წაიღეს და დამარხეს (35: 498).

ხოლო, პანკისელი ქისტები იმდენად იყვნენ შეწუხებული შექმნილი ვითარებით, რომ მათ განზრახული ჰქონდათ დაეტოვებინათ

საქართველოს მიწა-წყალი და ჩეჩნეთის მთავრობას მოსთხოვეს გამოეყოთ მიწის ფონდი და ხარჯები ქისტების კომპაქტური დასახლებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ჩეჩნები გაგრძელებდნენ ქართველების წინააღმდეგ მონაწილეობას აფხაზეთის ომში (35: 496).

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა ერთ-ერთი რესპონდენტის ისტორია:

„დაახლოებით 1995 წელი იქნებოდა, „კამაზი" გვყავდა და ბიჭები გადავდიოდით ჩეჩნეთში, მოგვქონდა საწვავი. თავიდან მოზდოკის მხრიდან შევდიოდით პატარა მანძილზე, იქ გვახვედრებდნენ საწვავს. მერე თანდათან გავშინაურდით და უკვე შევდიოდით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. აქედან ოსები გვაცილებდნენ. საზღვართან კი ჩეჩნები გვხვდებოდნენ და მათ მივყავდით. გროზნოსთან ახლოს ერთი ხეობაა, სახელი აღარ მახსოვს. იქ ჰქონდათ ნავთობსახდელები და საწვავი იქიდან მოგვქონდა დიდი რაოდენობით (100 ტონამდე). მაშინ დატაცების პერიოდი იყო და ეს ნავთობსახდელები კერძო იყო. ზოგჯერ ჩეჩნებიც გვაცილებდნენ ხოლმე. ერთხელ, მაგალითად, გვახლდა დაახლოებით ხუთი შეიარაღებული ჩეჩენი და ის, ვისი საწვავიც იყო და ვინც იყო დაინტერესებული, ფულს უხდიდა დაცვაში. ჩეჩნებს საწვავი იმდენი ჰქონდათ, რომ გადაღვრაც არ ენანებოდათ. ერთ-ერთი შესვლის დროს (ეს ძირითადად ღამით ხდებოდა), როდესაც უკან ვბრუნდებოდით, დავინახეთ ანთებული შუქები. დავიმალეთ, მაგრამ, თურმე, უკნიდან მოგვდგომოდნენ. ავტომატიანი ხალხი იყო. გადმოგვყარეს მანქანებიდან; ერთმა თავზე დამადო ავტომატი და — ვინ ხარო — მკითხა. მე ვუთხარი ქართველი ვარ-მეთქი. აფხაზეთში ხომ არა ხარ ნაბრძოლიო. აბა მაგას როგორ ვეტყოდი?!. როგორც ჩანს, ისინი ყველანი ნაომრები იყვნენ აფხაზეთში. როგორც მერე გავიგეთ, ეს გელაევის რაზმელი იყო, ვიღაც „მალიშა". ამათ მეთაურობდა. იმან გვითხრა, ბედი თქვენი, რომ ქართველები ხართო. ჩვენ სამი მანქანით ვიყავით. ჩვენი რამდენიმე მძღოლი წაიყვანეს.

თვითონ დასვეს მანქანებზე და შეიყვანეს სამხედრო ნაწილში. იმ ჩეჩენმა თავის სახლში სამნი წამოგვიყვანა. დაცვა არ გვყავდა და გაპარვაც შეიძლებოდა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, გამოხვიდოდი თუ არა, სხვა დაგიჭერდა, აგიყვანდა. იქ მაშინ დაჭერილი ხალხი, როგორც მონები ისე ყავდათ. იყო ერთი რუსი კაცი, ძროხებს უვლიდა, სამეურნეო საქმეებს აკეთებდა. მონის "პონტში" იყო. ის ამბობდა, ესენი პურს მაინც მაჭმევენ, რომ გავიპარო სხვა დამიჭერს და უარეს დღეში ჩავვარდებიო. ჩვენ ძალიან პატივს გვცემდნენ ქართველობის გამო. სასმელი და საჭმელი არ გვაკლდა. მაგათთან არაყი არ მოსულა, მაგრამ ჩვენთან საიდას (ჩეჩენს) მოქონდა პატივისცემის ნიშნად. იმ რუსს რომ დავალევინე, იტირა.

ჩვენი დაჭერის მიზანი ფული იყო. მაშინ თითოეული მანქანა 1000 დოლარი ღირდა. ფული ჩვენ არ გადაგვიხდია. ვისი ბენზინიც იყო, იმან გადაიხადა და მერე გამოგვიშვეს. მანქანები უკან გამოგვატანეს, საწვავი კი სპეციალურად ძირს დააქციეს. ქართველობის მომენტმა გადაგვარჩინა. გვითხრეს, თქვენ რომ ოსები ყოფილიყავით, აქვე ტვინს დაგასხმევინებდითო, ასევე რუსსაცო; რუსზე საერთოდ, ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო" (დემური თბილისიდან).

ჩეჩენი ხალხის მადლიერება გამოიწვია საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შედეგად ჩეჩნეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის თავშესაფრის მიცემამ.

„Чеченский народ благодарен Грузии" — ამბობს ამჟამად ზემო ალვანში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილი ქალი (გვარს არ ასახელებს). იგი აღნიშნავს, რომ ყველა ჩეჩენი მადლობელია ქართველებისა, მათი, ვინც 7-8 ათასი ლტოლვილი მიიღო და შეიფარა. ეს გროზნოელი ქალბატონი შვილებთან ერთად უკვე ხუთი წელია ალვანში ცხოვრობს. ბავშვები ქართულ სკოლაში დადიან და ენაც ისწავლეს. ჩეჩნეთიდან რომ ჩამოსულან, ალვანელებს აღარსად გაუშვიათ და თავშესაფარი მიუციათ: თურმე, მის მამამთილს თუშებთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ბევრი აქაური ახალგაზ-

რდა მწყემსად ყოფილა მასთან. ქალბატონი იხსენებს: — რომ შემოვედით, ყველა გვეხვეწებოდა, ჩვენთან ნამოდითო. კარგის მეტი არაფერი გვახსოვს (40).

როდესაც საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მიმდინარე რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში მოძრაობა იწყეს ჩეჩენმა მეომრებმა, მათ დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ადგილობრივი მთიელებისაგან. ამ უკანასკნელთა გადმოცემით, ხევსურეთსა და ფშავში არ ყოფილა მათთან დაპირისპირებისა და დაბეზღების არც ერთი შემთხვევა.

„საზღვარზე გადმოსული ჩეჩნები, რომლებიც ტყეებში იმალებოდნენ, იქვე ახლო მცხოვრებ ქისტებთან და ხევსურებთან აგზავნიდნენ წარმომადგენლებს პროდუქტის შესაძენად. ჩეჩნები მათ კარგად უხდიდნენ, და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი მათ არ აბეზღებდნენ ხელისუფლებასთან. ეს იყო ერთგვარი სიმბიოზი" (40).

უკანაფშაველ რესპონდენტებს კარგად ახსოვთ სოფელ ახადში მომხდარი ამბავი, როცა დაკეტილ სახლში შესულმა ჩეჩენმა მეომრებმა ოჯახის პროდუქტის მარაგის ნაწილი მოიხმარეს; ხოლო შინ დაბრუნებულ სახლის პატრონებს, გახარჯული პროდუქტის სანაცვლოდ ქვის ქვეშ ამოდებული რამოდენიმე ასდოლარიანი დახვდათ (40).

ქართულმა საზოგადოებამ აქტიური წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის სპეცსამსახურების მოთხოვნას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევისათვის გასამართლებული ჩეჩენი ახალგაზრდების ექსტრადიციის თაობაზე (2003 წ.); შევარდნაძის დროს ჩეჩნების ექსტრადიციას მედიისა და არასამთავრობების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ქართველი საზოგადოების კეთილგანწყობა გარკვეულწილად გამოვლინდა სრულიად უცნობი დაჭრილი ჩეჩენი მეომრების მიმართ ყურადღებასა და ზრუნვაში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თბილისის საავადმყოფო-

ებში განთავსებული ჩეჩენი მეომრების სანახავად მათთვის უცნობი თბილისელები მოსაკითხით მიდიოდნენ.

ზემოხსენებული დამოკიდებულებანი, როგორც ითქვა, ემყარებოდა ისტორიულად და კულტურად შეპირობებულ დადებით სტერეოტიპებს, რაც ქართველ და ვაინახ ხალხთა ურთიერთობაში ბუნებრივად ყალიბდებოდა და ყოველთვის წამყვანი ადგილი ეკავა. თუმცა, ამავე დროს, ამ ხალხთა შორის უარყოფითი განწყობის პროვოცირება უკვე არსებულ თუ ახლად ფორმირებულ უარყოფით სტერეოტიპთა მანიპულირებით ხდებოდა შესაძლებელი.

ტრადიციულად, ქურდობას ქისტების უარყოფით მახასიათებელთა სიაში მთავარი ადგილი უჭირავს — „ქისტებს ბუნებრივად ქონდა თანდაყოლილი ქურდობა და ყაჩაღობა. ვისაც ეს არ შეეძლო, კაცად არ თვლიდნენ" (15: 160). ერთ-ერთი რესპონდენტი გვეუბნება კიდეც — „ზოგი დაინახავს ქისტს და — ბიჭო ქისტიო ე. ი. ქურდიაო. ჩემს ბავშვობაში მეც ასე მქონდა ჩაგონებული" (40).

დღეს ამ საქმიანობას, ქართველი მთიელები უფრო პანკისელ ქისტებს მიაწერენ. საერთოდ, უარყოფით ჰეტეროსტერეოტიპებს ვაინახთა უშუალო მეზობელ ქართველთაგან უფრო ხშირად თუშებში შეხვდებით, რადგანაც მათ უშუალო კონტაქტი ჰქონდათ არა მარტო გარეთ — მოსაზღვრე ჩეჩნებთან, არამედ, შიგნით პანკისელ ქისტებთანაც. ხოლო ეს მრავალმხრივი კონტაქტები ურთიერთობის მრავალფეროვან ხასიათს განაპირობებდა, სადაც უარყოფითი ატიტუდები თავისთავად მეტი უნდა ყოფილიყო.

როგორც პირველ თავში დავინახეთ, ქურდობას უფრო ხშირად მეკობრეობის ფორმა ჰქონდა. მათე ალბუთაშვილი წერს: „იმ დღიდან მოკიდებული (იგულისხმება ქისტების საქართველოში დასახლება — ნ. ჯ.), საქართველოს გასაბჭოებამდე მეკობრეებმა თავიანთი საქმე გააძლიერეს მახლობელ მთა-იალაღებზე. მენშევიკების მესამე წლისთავზეც კი პირიქითელმა ქისტებმა გაიტაცეს პირაქეთ მთებიდან 800 სული ცხვარი თუშებისა" (35: 435).

„თუშებსა და პანკისელ ქისტებს ერთმანეთში უფრო მეტი მტრობა ჰქონდათ, ვიდრე დანარჩენ მეზობლებთან. მათ ვერ იქნა და ვერ დაივიწყეს ძველი მტრობა და ერთმანეთზე მეკობრული თარეშები — აღნიშნავს ხ. ხანგოშვილი — პანკისზე მოძრაობის დროს, ქისტებისაგან შეწუხებული თუშები, პირიქითელი ქისტების მეკობრულ თარეშებს პანკისელ ქისტებს უკავშირებდნენ... ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თუშებს მთავრობაში შეაქვთ საჩივრები ქისტების წინააღმდეგ და ითხოვენ მათი პანკისიდან გასახლებას... ქისტებსა და თუშებს შორის ურთიერთობა გამწვავდა XX საუკუნის დამდეგისათვის. განსაკუთრებით რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შემდეგ (35: 436) და ა. შ.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოდესღაც ეს ქმედობა (ქურდობა, ყაჩაღობანი) ინდივიდის სახელიანობასთან ასოცირდებოდა და იმდენად იყო მისაღები, რამდენადაც "კაცი თუ არ ქურდობდა, ქისტის ქალი იმას ცოლად არ გაყვებოდა", ანუ, როგორც გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალება, იგი კონკრეტულ ეპოქაში კონკრეტული კულტურისათვის მისაღები ჩანს.

ქისტების უარყოფით ჰეტეროსტერეოტიპად ისახება ჩემს მიერ დაფიქსირებული ქართველ მთიელთა გარკვეული ნაწილის აზრი ქისტების მატყუარობის შესახებ.

საბჭოთა პერიოდში ახალი უარყოფითი სტერეოტიპების ხელოვნურად ფორმირების და, შესაბამისად, უარყოფითი განწყობის პროვოცირების მცდელობა, რაც ვაინახთა დეპორტაციას და შემდგომ, აბრეგობის პერიოდს დაემთხვა, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ დამთავრდა.

უარყოფითი სტერეოტიპები კვლავ იგივე რჩებოდა, როგორიც მანამდე იყო. სამაგიეროდ, 1990-იანი წლებიდან, პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში, ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა და რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა, ქართველთა და ვაინახთა (უმეტესად ჩეჩენთა) ურთიერთობაში მნიშვნელოვანი დაძაბულობა შეიტანა და

შესაბამისად, სერიოზული გავლენა იქონია ეთნიკურ სტერეოტიპთა ხასიათზე. ტრადიციული ინტერეთნიკური ურთიერთობის უარყოფითი მხარეების გამოისობით ჩამოყალიბებულ უარყოფით ჰეტეროსტერეოტიპებს უკვე ახალი დაემატა და პოლიტიკურ მანიპულაციათა მძლავრ იარაღად იქცა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა უარყოფითი სტერეოტიპების ფორმირების ახალი ეტაპი.

ჩეჩნების მიმართ განწყობის თვალსაზრისით მაშინდელი ქართული საზოგადოება ძირითადად ორ ბანაკად გაიყო, რაც ფაქტობრივად ემთხვეოდა მაშინდელ -- „ზვიადისტურ" და „პუტჩისტურ" ბანაკებად გახლეჩილი საზოგადოების განწყობებს. „ზვიადისტთა" დიდი ნაწილი პროჩეჩნური ორიენტაციისა იყო, „პუტჩისტთა" უმრავლესობა კი არ ფარავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ჩეჩნების მიმართ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, ვისაც ნეიტრალური პოზიცია ეკავა. ასეთებს კი ამინდის შექმნა არ შეეძლოთ და ამიტომაც, სტერეოტიპიზაციის პროცესებმა მათი მონაწილეობის გარეშე ჩაიარა.

1991 წლის თბილისის ე. წ. „პუტჩის" მოვლენებში ჩეჩნურმა ფაქტორმა არც თუ უმნიშვნელო დატვირთვა შეიძინა. ამ პერიოდს ანტიჩეჩნური კამპანის დასაწყისადაც კი მიიჩნევენ. მაშინ თბილისის ომში ე. წ. „ზვიადისტურ" და „პუტჩისტურ" მხარეებს შორის შუამდგომლობის მიზნით ჩეჩნეთიდან ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის შამილ ბენოს ხელმძღვანელობით. ნებსით თუ უნებლიედ, ეს ფაქტი ჩეჩნების მხრიდან ზვიად გამსახურდიას დასახმარებლად გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა, რამაც პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა გაღიზიანება და აგრესია გამოიწვია. ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა (35: 492). მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი დაძაბულობა ჩეჩენთა და ქართველთა ერთობლივი ძალისხმევით მალევე განიმუხტა და ჩეჩნების დელეგაცია უკან გაბრუნდა, ამ მოვლენამ შემდგომ ანტიჩეჩნური განწყობის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი სერიოზული როლი შეას-

რულა. მაშინ ძალიან ბევრმა ირწმუნა გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად ჯოხარ დუდაევის ტანკების შემოსვლა თბილისში.

ჩეჩენოფობიის ახალმა ტალღამ „პუტჩისტთა" ფრთას მაშინ გადაუარა, როდესაც ზვიად გამსახურდიასთან გროზნოში გადასულმა დევნილმა პარლამენტმა „პუტჩისტები" უკანონოდ გამოაცხადა და აშკარა გახდა ჩეჩნეთის პრეზიდენტის უარყოფითი განწყობა გამარჯვებული ოპოზიციისადმი.

ქართველებში ანტიჩეჩნური განწყობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს განვითარებულმა მოვლენებმა: ქართველების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში ჩეჩენ ბოევიკთა მონაწილეობამ ხელი შეუწყო ჩეჩნების მტრის ხატის ფორმირებას. აფხაზეთის ფრონტიდან ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ჩეჩენთა სისასტიკეზე ქართველების მიმართ: იმის თაობაზე თუ როგორ აჭრიდნენ ქართველ მეომრებს ყურებს და მისი მძივები გულზე ეკიდათ, თუ როგორ თამაშობდნენ ქართველთა მოკვეთილი თავებით ფეხბურთს ან ე. წ. „კოლუმბიისკი გალსტუკებს" უკეთებდნენ. თუმცა ამ პროცესების უშუალო მნახველი ჩემს მიერ გამოკითხულ რესპონდენტთაგან არავინ აღმოჩნდა, ეს ფაქტები იყო, და ამ ფაქტებმა ჩეჩნების მიმართ აგრესია ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში ახალი კალაპოტით წარმართა. როგორც აღნიშნავს ვ. ტიშკოვი: „ბედის ირონიით, 1992 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რუსეთის სამხედრო კონტინგენტის ფარული მხარდაჭერით ჩეჩნები იბრძოდნენ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ" (66: 215). მისსავე ნაშრომში ვკითხულობთ ჩეჩენი ინფორმანტის აზრს:

"Я единственную структуру уважал всю войну. Это президентская гвардия. Шамиль Басаев, Радуев — кто они? Басаев воевал в Абхазии и я знаю грузин, которые готовы порвать его на куски. Он там в центре города их людей убивал и издевался. Дудаева хотел навязать на всю

Грузию. И мародерничали они и все что угодно творили. Он где-то здесь специально учился в России, какую-то диверсионную школу проходил, он дважды два не знал, нож приставлял к горлу учителя, чтобы он ему оценки ставил. Тем более что он и не чеченец, он дагестанец. Абсолютно не чеченец, даже не один волос" (66: 163).

მართლაც, აფხაზეთში ჩეჩნების მონაწილეობა ქართველების წინააღმდეგ, ყველაზე მტკივნეული პერიოდია ქართველებისა და ჩეჩნებისათვის. ჩეჩნების მხრიდან ამ კონფლიქტში მონაწილეობა ღალატის ტოლფასად აღიქვა ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტანიც იყვნენ და კრიმინალურ ელემენტებსაც წარმოადგენდნენ (35: 490).

როგორც გაზეთი "Время новостей" (16.08.2005 г.) წერდა:

"Российская военная разведка (ГРУ) была внедрена на территорию Абхазии якобы для участия в решении тактических и оперативных задач, но вместе с тем занималась и подготовкой антигрузинских чеченских элементов."

ქართველი მთიელი რესპონდენტის ინფორმაციით: „ჩეჩნებმა აფხაზეთში რაც გააკეთეს, ეს რუსეთის გამოზრდილი აგენტები, დაქირავებული ხალხი იყო. ნაღდი ჩეჩნები ვინც იყვნენ, ისინი ამას არ გააკეთებდნენ. იქ იყო კატეგორია კაციჭამიებისა, სპეციალურად შექმნილი რაზმი. შენ რომ მიგეცა ფული, შენ მხარეს იქნებოდნენ. დუდაევმა ხომ გამოაცხადა, ჩეჩენი, რომელიც მიიღებს ამ ომში მონაწილეობას, ის ჩეჩნეთის ინტერესის მოწინააღმდეგე იქნებაო"(40).

აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალბატონის მონაყოლით: „მე აგუძერადან ვარ. ომი რომ დაიწყო იმ დღეს სოხუმში ვიყავი. ქალაქში კაზაკების რაზმები იდგა. პირადად მე, ჩეჩნებთან შეხება არ მქონია, თუმცა რასაც იმათ სისასტიკეზე ყვებოდნენ, მართალია. ერთი რამ ნამდვილად ვიცი, სოხუმში ყაჩაღობდნენ და ქურდობდნენ სომხები, ჩეჩნები და რუსები ხოცავდნენ, აფხაზები კი ასეთ სასტიკ

ოპერაციებში ნაკლებად ილებდნენ მონაწილეობას. ჩეჩნები იქ ქართველების წინააღმდეგ კი იბრძოდნენ, მაგრამ ისინი დაქირავებულები იყვნენ, მათ ფულს უხდიდნენ. ამას ყველაფერს პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. მე მაქვს ჩემი აზრი ჩეჩნებზე —- ისინი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, მამაცი ხალხია და ამ მხრივ თანავუგრძნობ, მაგრამ, რაც მათ სოხუმში ჩაიდინეს, იმის პატიება შეუძლებელია. ახლა რომ მოვიდეს ჩეჩენი და წყალი მთხოვოს — არ დავალევინებ. რუსებს საერთოდ ვერ ვიტანი. რუსს ახლოსაც არ მოვუშვებდი" (ლუდა სოხუმიდან).

საქართველოს მოსახლეობაში ნეგატიური ატიტუდების დამკვიდრებას ჩეჩნების პანკისში ყოფნამაც შეუწყო ხელი. ოფიციალურმა რუსეთმა არაერთხელ დაადანაშაულა თბილისი ჩეჩენ ბოევიკთა მფარველობაში, რომლებიც, გარდა პანკისის ხეობისა, თითქოს-და საქართველოს სხვა რეგიონებშიც, კერძოდ არხოტის და კოდორის ხეობებში იმყოფებოდნენ, რაც ამ ტერიტორიათა დაბომბვის მიზეზი გახდა. ეს რეგიონი გამოცხადდა ჩეჩენი (და საერთაშორისო ტერორისტებისაც) თავშესაფრად, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდის ზონად, სადაც ხდებოდა ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, და ა. შ.

ცნობილია, რომ სტერეოტიპის უარყოფითი მახასიათებლის სიხშირე დაძაბული რეგიონის სპეციფიკად ითვლება (5: 242). ჩეჩენთა დახასიათებაშიც ახალი უარყოფითი სტერეოტიპების სიჭარბე სნორედ პანკისში დესტაბილიზაციის პროცესებს დაემთხვა. ჩეჩნების იმიჯი კრიმინალებთან, კონტრაბანდისტებთან და ტერორისტებთან ასოცირდა.

ქართველების მიმართ ჩეჩნების უარყოფითი განწყობის ფორმირებას ხელი შეუწყო საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისათვის დაპატიმრებული ჩეჩენი ახალგაზრდების რუსეთში ექსტრადიციის ფაქტმა. ეს განწყობა აშკარად იგრძნობოდა ვარშავის 2003 წლის კონფერენციაზე დამსწრე ჩეჩნური დიასპორის წარმომად-

გენლებში კონფერენციის მონაწილე ქართველ მეცნიერებთან მიმართებაში.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნეგატიური ატიტუდების დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მასმედიამ, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ უშუალოდ მასობრივი ცნობიერების მანიპულირების იარაღად იქნა გამოყენებული.

ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი „ზემოქმედების ფარული ფორმა", სადაც განსაკუთრებული დატვირთვა საინფორმაციო გადაცემებზე მოდის. მათ შეუძლიათ იმოქმედონ ჩვენს ატიტუდებზე სხვა ერების მიმართ და გამოიწვიონ ადამიანთა აგრესიული ქმედებაც კი. გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, ამ ტიპის გადაცემები ახდენენ მასალების არჩევით აქცენტირებას და შეუძლიათ მოვლენათა შემდგომი მსვლელობის განსაზღვრა (44: 80-85). ფსიქოლოგიაში ცნობილი ე. წ. „ფრაიმინგი", ანუ იგივე განწყობის, ატიტუდის ფორმირება, წარმატებით ხორციელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. „ფრაიმინგით" მანიპულირებას შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს ადამიანის ან ჯგუფების ატიტუდებსა და ქცევაზე. თუ ინდივიდს უყალიბდება, ან უყალიბებენ უარყოფით განწყობას ამა თუ იმ ინდივიდის, ჯგუფის ან პრობლემის მიმართ, მისი აზრიც უარყოფითია, და პირიქით. ფრაიმინგით მანიპულირებას ექვემდებარებიან თვით ძალზე გამოცდილი პროფესიონალებიც კი (44: 143).

სტატიაში "Масс-медия и конфликты на Кавказе" კ. ძებისაშვილი მას-მედიის და კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების ურთიერთმიმართებაზე წერს:

"Обострение ситуации в зонах потенциальных конфликтов в не меньшей степени заслуга средств массовой информации. С их помощью негативная и часто не соответствующая действительности информация получает повсеместное распространение. В результате у

людей возникает враждебное отношение к тем объектам, которые в средствах массовой информации преподносятся как "враги №1" для данного общества. Поскольку средства массовой информации занимают неодинаковое положение на Южном и Северном Кавказе, соответственно, и различна их роль в эскалации или деэскалации конфликтных ситуаций (51).

კონფლიქტურ გარემოში თვითოეული მოვლენის გარშემო უამრავი მითი იქმნება, რომელსაც ბევრი იყენებს (ან იგონებს), რათა მოვლენათა მიმდინარეობას „საჭირო" მიმართულება მისცეს. თუმცა ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ პოზიტიურად იმოქმედონ საზოგადოებრივ აზრზე, თუ ისინი გააშუქებენ კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის დადებით მაგალითებს, რაც წარსულში კავკასიის ხალხებში გაცილებით მეტი იყო ვიდრე დაპირისპირებანი (51).

ვ. ტიშკოვი ზემოთ დასახელებულ წიგნში ხაზს უსვამს, რომ რუსეთში ჩეჩნების შესახებ მწირი ინფორმაციის ქონა ძალიან ნაყოფიერი ნიადაგი იყო ანტიჩეჩნური განწყობის ფორმირებისათვის, რასაც 1991 წლის შემდგომი პერიოდის საინფორმაციო ნაკადებმა შეუწყო ხელი. 1993 წელს და 1994 წლის დასაწყისში რუსეთში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა დააფიქსირა ჩეჩნების მიმართ რუსების ქსენოფობიის ყველაზე მაღალი ხარისხი სხვა ჯგუფებთან შედარებით. ხოლო მეორე ადგილი კავკასიელების განზოგადოებულ სახეს ეკავა (66: 178-180).

ამავე ნაშრომში ტიშკოვი ეხება თანამედროვე საინფორმაციო საშუალებათა გავლენის ფაქტორს კონფლიქტზე. თანამედროვე პირობებში МИС-ი (СМИ) წარმოადგენს უდიდესი მამობილიზებელ ძალას და არა მარტო გავლენას ახდენს კონფლიქტზე, არამედ ხშირად მისი ზემოქმედება სამხედრო ბრძანებებზე უფრო ძლიერია (66: 49).

რამდენიმე ხნის წინ, ქართულმა სატელევიზიო არხმა „რუსთავი 2"-მა სპეციალური გადაცემა მიუძღვნა რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე საინფორმაციო ომის თემას და ამ საქმიანობაში მას. მედიის როლს. სტუმრად მოწვეულ ახალგაზრდა ჟურნალისტთა უმრავლესობა არ უარყოფდა, რომ სტერეოტიპების ჩამოყალიბების საქმეში ჟურნალისტებს დიდი წვლილი შეაქვთ. როგორც ქართველმა, ისე რუსმა ჟურნალისტებმა აღიარეს, რომ პოლიტიკური თამაშის მონაწილეები არიან, რომ პრესა მართულია და მოვლენების გამწვავება ხშირად ჟურნალისტების წყალობით ხდება. აღინიშნა, რომ 1991 წლიდან ქართველი ჟურნალისტები აწარმოებენ საინფორმაციო ომს რუსეთთან. თუმცა, ისიც ითქვა, რომ თუ ადამიანები კარგად არიან ინფორმირებული, მათი მანიპულაცია ძნელია.

მართლაც, 1991 წლიდან მოყოლებული ძირითად 2003 წლამდე (შემდეგ კი ნაკლები ინტენსივობით), ჩეჩნეთის თუ ჩეჩნების თემა საქართველოსთან მიმართებაში მას. კომუნიკაციის საშუალებებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური იყო. ინფორმაციები, რომელიც მაშინ ვრცელდებოდა, სრულიად აშკარად ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალთა ინტერესებს ეხმიანებოდა. მიმდინარეობდა ვითარების დაძაბვა ჩეჩნეთის ირგვლივ და საინფორმაციო ომი ჩეჩნების სახით საქართველოს დაუძინებელი მტრის ხატის შესაქმნელად. გაუთავებლად მუსირებდა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ აწამებდნენ ქართველებს აფხაზეთის ომის დროს დაქირავებული ჩეჩენი „ბოევიკები", თუ როგორ შემოდიოდა საქართველოში პანკისის გავლით ნარკოტიკები, თუ როგორ იტაცებენ ჩეჩნები გამოსასყიდის აღების მიზნით ქართველებსა თუ საქართველოში მყოფ უცხოელებს, თუ როგორ იმყოფებოდა ჩეჩენთა ტერორისტული დაჯგუფება კოდორის ხეობაში, როგორ იმალებოდნენ საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტები თვით ბინ ლადენის ჩათვლით პანკისის ხეობაში და მისთანანი.

ასე რომ მას, კომუნიკაციის საშუალებებს ძალიან დიდი როლი აკისრია საზოგადოების ცნობიერების მართვის და აქედან გამომდინარე პოლიტიკოსთა თამაშებში მათი ჩართვის საქმეში.

ქართულ სინამდვილეში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან ჩეჩნური ფენომენით მანიპულირება პიდაპირ კავშირშია საკვლევ ეთნოსთა დადებით და უარყოფით დისპოზიციურ განწყობებთან. უარყოფითი და დადებითი იმპულსები, რაც ურთიერთის მიმართ პოტენციურად არსებობს საკვლევ ჯგუფებში, ერთ შემთხვევაში ბუნებრივად წარმოშობს შესაბამის განწყობას, ხოლო მეორე შემთხვევაში, შეგნებულად იმართება გარკვეული ძალების მიერ გარკვეული მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მიზანმიმართულ სტერეოტიპიზაციას, წინ წამოიწევს ახალი მახასიათებლები, სადაც, სავარაუდოდ, უარყოფითი სჭარბობს. თუმცა, გამოკვლევებით ისიც დადასტურდა, რომ ეთნიკურ ჯგუფთა ხანგრძლივი ურთიერთობის შემთხვევაში პოტენციურად მცირდება უსამართლო სტერეოტიპიზაცია; ასევე, საკმაოდ რთულია მძლავრად ფესვგადგმული სტერეოტიპების დანგრევა (44. 308).

არ შეიძლება ამ თვალსაზრისით არ გავიხსენო დუისელი მ. მარგოშვილის მოგონება: „თბილისში იყო ხალხური მუსიკის შემსრულებელთა ფესტივალი და მათ შორის მიწვეული ვიყავით ჩვენ -- დუისის ანსამბლი, რომელიც ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა. ჩვენ რეპერტუარში იყო ჩეჩნური ჰიმნი. ფესტივალის ორგანიზატორები ყოყმანობდნენ, გვირჩიეს მის შესრულებაზე უარი გვეთქვა. ეს აფხაზეთის ომის შემდგომი პერიოდი იყო და გვითხრეს, რომ ჩვენი გამოსვლა ბევრი ქართველის გაღიზიანებას გამოინვევდა, ვინაიდან აფხაზეთიდან მაშინ მრავალ ოჯახში მიცვალებულები ჩამოასვენეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გამოვედით და უნდა გენახათ ხალხის აღტაცება, ისინი ტაშს გვიკრავდნენ და იძახდნენ: „ქისტები გამოიყვანეთ, ქისტებიო!"

ამავე თვალსზრისით ძალზე მნიშვნელოვნად მესახება სოხუმიდან ლტოლვილი ქალბატონის პოზიცია: „სოხუმის ომის პერიოდში ჩეჩნები საშინელებას ჩადიოდნენ, მაგრამ ისინი დაქირავებულები იყვნენ. ისე კი ომში ყველაფერი ხდება და ჩვენებიც არანაკლებ იქცეოდნენ. არ შეიძლება ერთი გარკვეული ჯგუფის ქმედებით იმსჯელო მთელ ხალხზე. მე ვნახე ფილმები ჩეჩნებზე და ნამდვილად თანავუგრძნობ მათ. პირდაპირ შემძრა იმ საშინელებამ, რაც იქ ხდებოდა" (მ. გ. — ლტოლვილი სოხუმიდან, კოჯორი, 2005).

ამ პერიოდს უკავშირდება ხ. მამისიმედიშვილის წიგნში „ვაინახები და ქართველი მთიელები" აღწერილი ამბები: „1994 ნლის მკაცრი ზამთარი იდგა ხევსურეთში. სოხუმის დაცემიდან თითქმის 1 წელი იყო გასული. დათვის ჯვრის უღელტეხილზე საშინელი ქარბორბალა ტრიალებდა. ორმა უცნობმა მგზავრმა გვერდი აუარა სოფელ ხახმატს და უღელტეხილისკენ აიღო გეზი. ხახმატში ყველას ეძინა. ღამის 3 საათი იქნებოდა, როცა ალუდაურების სახლს მიადგა უცნობი. ის გაყინული იყო და გონებას კარგავდა. უცნობი ქისტი (ჩეჩენი) აღმოჩნდა, რომელსაც ამხანაგი მთაზე ყინვაში დავარდნოდა და სიკვდილის პირას იყო. იგი შველას ითხოვდა. დრო არ ითმენდა. მასპინძლის ორი ვაჟი — ბადა და შამილი ნაკვალევზე წავიდნენ. ქარბუქი მძვინვარებდა. გამთენიისას კვალიც დაიკარგა. ბოლოს როგორც იქნა მიაგნეს ქისტს. მას სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა. ჯერ თოვლით დაზილეს, მერე არყით. გონს რომ მოვიდა, წვალებით ჩამოიყვანეს თავიანთ სახლში. რამოდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობდნენ ავადმყოფს. როცა კარგად შეიქნა უღელტეხილზე გადააცილეს (9).

ამ ტიპის მაგალითები ქართველთა და ვაინახთა (ჩეჩენთა) ურთიერთობიდან მრავლად შეგვიძლია მოვიტანოთ. თავად გამოკითხულთა უმრავლესობა გულწრფელად აღნიშნავს, რომ უშუალო ურთიერთობა, ანუ ურთიერთობა ანთროპოცენტრულ დონეზე პოლიტიკური დატვირთვისაგან სრულიად თავისუფალია. შეგვიძლია

ვთქვათ, რომ, იმდენად რამდენადაც ქართველებსა და ჩეჩნებს აქვთ საერთო მარკერები ე. ნ. „ჩვენ"-ჯგუფში გაერთიანებისათვის (საერთო წინაპარი — გენეტიკური ნათესაობა, კავკასიელობა, ტრადიციული კულტურა, ისტორიული ბედი...) უარყოფითი ჰეტეროსტერეოტიპებით გამიზნული მანიპულირება ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს შედეგს.

ამრიგად, ქართულ საზოგადოებაში, გარდა ტრადიციულად არსებული დადებითი და უარყოფითი სტერეოტიპებისა, თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ყალიბდება ახალი, უარყოფითი სტერეოტიპები.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად ფორმირებულმა უარყოფითმა სოციალურმა დისპოზიციებმა, კონკრეტულად კი ქართველების მტერი ჩეჩენის ხატმა, მისი შემდგომი პოლიტიკური მანიპულაციების მძლავრ იარაღად ქცევის პირობა შექმნა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ის მოსახლეობა, რომელსაც ისტორიულად უშუალოდ შეხება ჰქონდა ვაინახებთან (ვგულისხმობ საზღვრისპირა საზოგადოებებს) არ იღებს ამ მოდელს პირდაპირ. მოსახლეობის გამოკითხვამ ისიც გვიჩვენა, რომ ინტერეთნიკური ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება დიდ როლს თამაშობს ახალი უარყოფითი სტერეოტიპების მიღება-არმიღებადობის საკითხში. მათთვის რუსეთის მიერ ტერორისტებად სახელდებული ჩეჩნები დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პატრიოტები არიან. ხოლო ჩეჩენ მებრძოლთა საქართველოს მთიანეთში ყოფნის არც ერთ შემთხვევას არ მოყოლია მათი დაბეზღება. ქართველმა მთიელებმა შეიფარეს ისინი, ისევე, როგორც 1944 წელს ვაინახთა გადასახლების შემდეგ, დაიფარა სსრკ ხელისუფლების მიერ ბანდიტებად შერაცხული ჩეჩენთა წინააღმდეგობის რაზმები. მთიელმა ხალხმა შეინახა, გამოკვება, იზრუნა მათ სიცოცხლესა და სახელზე ორივე შემთხვევაში. მოსახლეობის იმ ნაწილმა, ვისაც ვაინახებთან და, კერძოდ, ჩეჩნებთან

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ პერიოდში მოუხდათ შეხება, უფრო ადვილად მიიღო ახალი უარყოფითი სტერეოტიპები, პოლიტიკურ მანიპულაციებში მათი ჩართვაც უფრო ოილად მოხერხდა. საზოგადოების ამ ნაწილში, განსხვავებით პირველისაგან, დღემდე შედარებით ძლიერია აგრესია ჩეჩნების მიმართ, თუმცა რუსეთის მიმართ უარყოფითი განწყობა გაცილებით უფრო მაღალია. აღსანიშნავია, რომ დღეს ქართული საზოგადოება უკვე საკმაოდ კრიტიკულად ეკიდება პოლიტიკოსთა მიერ ჩეჩნური ფენომენის აქცენტირებას ყველა იმ დესტრუქციულ პროცესებთან მიმართებაში, რასაც უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ადგილი აქვს საქართველოში, იქნება ეს ოსეთთან გართულებული ვითარება, აფხაზეთის პრობლემა თუ სხვა.

III თავი

ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში

როგორც უკვე აღინიშნა, 1990-იანი წლებიდან საქართველოში დესტაბილიზაციის მიზნით სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალები ხშირად მანიპულირებენ ჩეჩნური ფაქტორით, რასაც არაერთხელ შეუქმნია საშიშროება სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ქართულ-აფხაზურ და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტთა ფონზე.

როგორც წინა თავში ვნახეთ, ინტერენთნიკური ურთიერთობის ხასიათი ემყარება, ერთი მხრივ, არსებულ და, მეორე მხრივ, ხელოვნურად ინიცირებულ უარყოფით და დადებით განწყობათა მონაცვლეობას, ანუ, ურთიერთის მიმართ არსებული უარყოფითი და დადებითი იმპულსები, ერთ შემთხვევაში ბუნებრივად წარმოშობს შესაბამის განწყობას, ხოლო მეორე შემთხვევაში, შეგნებულად იმართება გარკვეული ძალების მიერ გარკვეული მიზნებისათვის. ქართველებსა და ვაინახებს შორის არსებული ტრადიციული ურთიერთობის გარკვეული ასპექტების პოლიტიკური მანიპულაციების იარაღად ქცევა ზოგადად ესადაგება ევრაზისტების ცენტრისტული ტენდენციების განმტკიცებისათვის ბრძოლის მოდელს, რაც კავკასიის რეგიონის მოსკოვის სტრატეგიული კონტროლისადმი დაქვემდებარებას და რუსეთის გეოპოლიტიკური ტრადიციების გაგრძელებას გულისხმობს. კავკასიელ ხალხთა ერთმანეთთან დაპირისპირების პოლიტიკას პირდაპირი კავშირი აქვს ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოტენციურად არსებული უარყოფითი და დადებითი სოციალური განწყობის მიზანმიმართულ მართვასთან.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართველების წინააღმდეგ ჩეჩნების მონაწილეობით, უკვე გათვლილი იყო ქართულ-ჩეჩნურ-აფხაზური ე. წ. განწყობის სამკუთხედის ფორმირება, სადაც თვი-

თოეულ კომპონენტს თავისი მკვეთრად განსაზღვრული ეთნოპოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა.

ცნობილია, რომ ინდივიდის ქცევა განპირობებულია დისპოზიციური განწყობით (139). ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ერთ ადამიანს მეორის მიმართ დადებითი ან უარყოფითი განწყობა აქვს, მაშინ მეორესაც პირველის მიმართ შესაბამისი დადებითი ან უარყოფითი განწყობა უყალიბდება, რაც ანალოგიურად აისახება ქცევის ორგანიზაციაზე. განწყობის ანთროპულ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ერთი მხრივ, ადამიანთა შორის და, მეორე მხრივ, ადამიანთა და მოვლენებს შორის განწყობათა თავსებადობა-შეუთავსებლობის პრობლემას, რაც შემდეგში მდგომარეობს: თუ ერთ ადამიანს მეორის მიმართ დადებითი განწყობა აქვს, ხოლო მეორე დადებითად არის განწყობილი გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ პირველს აღნიშნული ობიექტის მიმართ მეორე ადამიანის მსგავსი დადებითი განწყობა უყალიბდება. ასევე, თუ ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობა აქვთ, ხოლო მეორე გარკვეული ობიექტის მიმართ უარყოფითად არის განწობილი, მაშინ პირველსაც ამ ობიექტის მიმართ მეორის მსგავსი უარყოფითი განწყობა უყალიბდება (12: 134-145). ამ კანონზომიერების თანახმად, თუ ჩეჩნებსა და აფხაზებს შორის დადებითი ურთიერთგანწყობაა, ხოლო აფხაზებსა და ქართველებს შორის უარყოფითი, მაშინ ჩეჩნებს ქართველების მიმართ უარყოფითი განწყობა უნდა ჩამოუყალიბდეთ.





მართლაც, ქართველებისა და ჩეჩნების ურთიერთობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ განწყობებმა, რაც ჩეჩნებსა და ქართველებს შორის ქართულ–აფხაზური კონფლიქტის დროს იქნა პროვოცირებული. ამ განწყობებმა განსაზღვრა ეთნიკურ ჯგუფთა ქცევის სტრატეგია, რაც შემდეგ მოხერხებულად იქნა გამოყენებული გარეშე ძალების მიერ საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით.

როდესაც ვსაუბრობთ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის პერიოდში ჩეჩნეთის ფაქტორზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან მიმართებაში, აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ჩეჩნური ფაქტორის გამოისობით საქართველოში წარმოქმნილ დესტაბილიზაციის პროცესებს ორგვარი საფუძველი ჰქონდა: ერთი მხრივ, ისინი ხელოვნურად იქნა ინსპირირებული; მეორე მხრივ, კი იგი იყო ბუნებრივი შედეგი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან მიმდინარე რუსეთის ომისა გენეტიკურად და კულტურულად ქართველების მონათესავე ჩეჩნებთან, რომელთაც ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება გააჩნდათ.

რუსეთი არაერთხელ შეეცადა ჩეჩნურ კონფლიქტში საქართველოს ჩათრევას, რისთვისაც ყველანაირ ხერხს მიმართავდა. იგი ხან თავისი ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე გატარებას, საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ჩეჩენების ნინააღმდეგ ბრძოლას გეგმავდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ე. შევარდნაძისგან უარი მიიღო.

„...ჩეჩნებთან მიმართებაში, ეთნიკურად მონათესავე ხალხით დასახლებულ ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების გავლა პროვოკაციული და ამორალური იქნებოდა, და უფრო მეტიც საქართველო რუსეთის მოთხოვნას რომ დასთანხმებოდა, საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები გაჩაღდებოდა"— აღნიშნავდა მაშინდელი ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე თ. ჯაფარიძე (გაზ. „ალია", 26-27 ივნისი, 79, 2001).

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში დესტაბილიზაციის ორი ძირითადი კერა გაჩნდა — ერთი ჩეჩნეთ-საქართველოს სასაზღვრო რეგიონი და მეორე ახმეტის რაიონი, სადაც ჩეჩენი ლტოლვილები მათი ეთნიკურად მონათესავე ქისტებით დასახლებულ პანკისის ხეობაში კომპაქტურად იქნენ განთავსებული.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომის მსვლელობისას სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო ფედერალური ჯარების მიერ ჩრდილოეთიდან შევიწროვებული ჩეჩენი მეომრების სამხრეთით საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლა. ქართველების მიერ დევნილი ჩეჩნების შეფარება და დაჭრილ მეომრებზე ზრუნვაც ასევე ბუნებრივი გამოძახილი იყო იმ ისტორიული კეთილმეზობლური ურთიერთობისა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გამოკითხულ ქართველ მთიელებს არ აინტერესებდათ რა პოლიტიკური ინტერესები იყო ჩადებული და რომელი პოლიტიკური ძალები მართავდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოხვედრილ ჩეჩენ მეომრებს თუ ჩეჩნების მხარეზე მებრძოლ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს; ისინი თანაუგრძნობდნენ მათ, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლებს, კავკასიური ტრადიციისამებრ იღებდნენ სტუმრის სტატუსით და იმ პერიოდში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მთიელების მიერ ჩეჩენი „ბოევიკების" დასმენისა. ამავე დროს, ქვეცნობიერად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსული ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის საერთო ისტორიული გამოცდილება და აქედან გამომდინარე იდენტური განწყობები.

მთხრობელთა ინფორმაციით: „რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს იყო თუშეთში გადასვლა-გადმოსვლა, ჩეჩნები ჩვენთან რჩებოდნენ, ჩვენ მათ სასმელ-საჭმელს ვუნაწილებდით. ისე სხვა მხრივ, ურთიერთობა არ გვქონდა" (40).

„საზღვარზე გადმოსული ჩეჩნები, რომლებიც ტყეში ცხოვრობდნენ, იქვე ახლო მცხოვრებ ქისტებთან და ხევსურებთან აგზავნიდნენ წარმომადგენლებს პროდუქტის შესაძენად. სინამდვი-

ლეში თუ ღირდა 300, ჩეჩნები ბევრად მეტს აძლევდნენ და შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდათ" (40).

ოფიციალურმა რუსეთმა ამგვარი ქმედებები ანტირუსულ პოლიტიკად გამოაცხადა, პოლიტიკურად შეფერადებული იგივე ფაქტები საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენა და არაერთხელ დაადანაშაულა თბილისი ჩეჩენ ბოევიკთა მფარველობაში. რუსულ მედიაში ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ჩეჩენ ბოევიკთა ბანაკების საქართველოს მთიან რეგიონებში არსებობის თაობაზე, რის საფუძველზედაც ფედერალური ძალები ამ ტერიტორიების თავიანთი მხრიდან გაკონტროლებას ითხოვდნენ.

საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამოისობით პოლიტიკური ვნებათაღელვის ახალ ობიექტად იქცა; შატილის ხეობა, ოფიციალურად, ჩეჩენი ლტოლვილების სამხრეთისკენ გადაადგილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმი გახდა. ამ გზით მიმდინარეობდა საქართველოში ლტოლვილთა დიდი მასების გადმოსვლა ჩრდილოეთიდან. პირიქითა ხევსურეთის სოფლებში, თავდაპირველად, თითოეულ ოჯახში 20-40 ლტოლვილი ქალი და ბავშვი იყო შეფარებული. ისინი აქ რამოდენიმე ხანს გაჩერდნენ, შემდეგ ისინი გადმოიყვანეს ახმეტის რაიონში. ლტოლვილების ნაწილმა საქონელიც გადმორეკა ხევსურეთის ტერიტორიაზე და ადგილობრივ მოსახლეობას ჩააბარა გამოსაკვებად ნამატის დატოვების პირობით. როგორც რესპონდენტები გადმოგვცემენ, პანკისში გადასული ლტოლვილები პერიოდულად ამოდიოდნენ კუთვნილი პროდუქტის წასაღებად. შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩენ ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ფართო ხასიათის სერიოზულ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, თუმცა გარკვეული დაძაბულობები შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით ლტოლვილთა თავდაპირველი ნაკადის შემოსვლის დროს.

თავისთავად ჩეჩენი ლტოლვილების შატილის ხეობაში გამოჩენამ ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი

დაბომბვების საშიშროების წინაშე დააყენა. ხევსური რესპონ-დენტების ინფორმაციით, „ჩვენ კი შევიფარეთ და მივიღეთ, მაგრამ სუ იმის შიში გვქონდ, რუსეთს ბომბებ არ ჩამეეყარ. უფრო ქალებ ჩხუბობდეს, თან ხპატრონობდეს, თან კი გულში ლანძღევდეს — ამათი გულისთვი ჩვენ რაად უნდა დავზარალდეთავ“ (40).

ასე რომ ჩეჩნების შემოსვლამ შიშის სინდრომი წარმოშვა შატილის ხეობის მოსახლეობაში. ჩეჩენი ლტოლვილები შატილის ხეობიდან უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იქნენ გამოყვანილი.

გარდა ამისა, გარკვეული ხასიათის დაძაბულობა შეიქმნა უშუალოდ ხევსურ მოსახლეობასა და ჩეჩნებს შორის. რესპონდენტები იხსენებენ, რომ ჩეჩნებმა შემოიყვანეს დიდი რაოდენობით მსუბუქი მანქანები და შატილის ჭალაზე მოათავსეს. მათი პატრონობა სთხოვეს შატილელ ხევსურებს და ეს უკანასკნელნიც ძალიან უფრთხილდებოდნენ ჩაბარებულ ქონებას, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მანქანები გაიძარცვა და განადგურდა; ჩეჩნები პასუხს ხევსურებს სთხოვდნენ, თუმცა ამ საქმიანობაში მონაწილეობას ეს უკანასკნელნი უარყოფდნენ. მათი ვარაუდით, ამ საქმეში მესაზღვრეების ხელი ერია. მიუხედავად ამისა, პანკისში გადასული ჩეჩნები მაინც ხევსურებს ადანაშაულებდნენ და ამ ვალის მათთვის შეარჩენას არ აპირებდნენ (40).

სავარაუდოდ, დღემდე მიმდინარე მტრობის მიზეზი გამხდარა ასეთი შემთხვევაც: 1999 წელს ახმეტიდან გადმოსულ ქისტებს ანდაქის წყლის სათავეებში ჩეჩნების ტვირთ აკიდებული ცხენები ნაქცევიათ; ტვირთი, წყალში ჩაყრილა და პატრონებს ველარ უპოვიათ. მისი მოძებნა დაუვალებიათ ანდაქელი ხევსურისთვის, რომელსაც მხოლოდ ნაწილი უნახავს და გადაუცია პანკისელი ქისტებისთვის. მაგრამ პატრონებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ ხევსური რაღაცას ეშმაკობდა. ამიტომაც ჩამოვარდნილა მტრობა მათ შორის (40).

რუსეთ-ჩეჩნეთის ომის საწყის პერიოდში რუსეთი საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ, თითქოს, ჩეჩნები შატილის გზით და ანალოგიურად თუშეთ-ჩეჩნეთის საზღვრის გავლით იარაღით მარაგდებოდნენ და „ბოევიკებიც“ ამ მიმართულებით მოძრაობდნენ; ამ მიზეზით რუსმა მესაზღვრეებმა შატილის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენჯერმე რაკეტები გადმოისროლეს, რასაც უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია (დაიჭრა 5 ქართველი მესაზღვრე). ასევე, ფედერალურმა ძალებმა ააფეთქეს ნაღმები თუშეთსა და არღუნის ხეობაში, რუსეთის მიერ დაიბომბა პანკისის ხეობის ტბათანას მთისა და ყადორჰესის მიდამოები (2001წ.), რასაც აგრეთვე გარკვეული მსხვერპლი მოჰყვა. თუში რესპონდენტის ინფორმაციით: „თუშეთ-ჩეჩნეთის საზღვარზე, მთაში ძალიან მძიმე სიტუაცია იყო, იქ მწყემსების ქოხებიც კი დაბომბეს. ამის მერე შიშით იქ ვინ ნავიდოდა. ახლაც კი სანადიროდ ვერ დავდივართ“.

კომპენტენტური პირები არ გამორიცხავდნენ საქართველო-ჩეჩნეთის ზოგიერთი სასაზღვრო მონაკვეთის გადაქცევას კონფლიქტის კერად. რუსეთის ჯარების ზემოთ აღნიშნული თავხედური ქმედობები რატომღაც შესაბამისი რეაქციის გარეშე დარჩა საქართველოს მთავრობის მხრიდან, რამაც საფუძველი შეუქმნა მაისის დასაწყისში განვითარებულ მოვლენებს შატილ-ჯარეგოს სასაზღვრო მონაკვეთზე. ამ მონაკვეთში საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის სადემარკაციო ხაზი გადიოდა ალაქოს ხევზე, ხოლო ქართველთა საგუშაგო მდებარეობდა ალაქოს გორზე. ამ საგუშაგოს გახსნიდან რამოდენიმე დღის შემდეგ რუსმა მედესანტეებმა დაბომბეს არღუნის მარცხენა მხარეს ბესტანესა და ანატორთან გაშლილი ქართველ მესაზღვრეთა კარვები (22. XI. 1999 წ.). 2000 წლის 15 თებერვალს კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საგუშაგო მოიხსნა და ქართველები იქაურობას 2 კმ-ით გაერიდნენ. მათი ადგილი რუსმა მესაზღვრეებმა დაიკავეს. ე. ი. მოახდინეს საზღვრის 2 კმ-ით თვითნებურად გადმოწევა, რის გამოც სოფ. ფიჭვნი და მისი

მიმდებარე ტერიტორია რუსების მხარეს მოექცა, ხოლო შატილი და აცეხი (სამთო სოფელი) უადგილმამულოდ დარჩა. საზღვრის მიღმა დარჩა 2 სალოცავიც. ამ მოვლენებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია შატილის მოსახლეობაში.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთთან უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის დაშოშმინებას ცდილობდნენ, რადგან რუსები ქართველთა მოსალოდნელი რეაქციის საპასუხოდ მათი სოფლების დაბომბვით იმუქრებოდნენ.

რუსები ხელმძღვანელობდნენ 1960 წ. სსრკ გენშტაბის მიერ შედგენილი და 1971 წელს ცვლილებაშეტანილი რუკებით, რომლებშიც საზღვარი ვითომდა ალაქოს გორზე გადის. მოწინააღმდეგე მხარე რატომღაც მხედველობაში არ იღებდა 1929 წელს შედგენილ მინათსარგებლობის რუკას, რომლის მიხედვითაც სოფ. ფიჭვნი საქართველოს ეკუთვნის.

მიუხედავად ქართველი ინტელიგენციის და შატილელი ხევსურების მონდომობისა, საკითხის საბოლოოდ გადაჭრა ვერ მოხერხდა, რის გამოც მთიელები საძოვრებისა და სათიბი სავარგულების გარეშე დარჩნენ, რაც, მათივე თქმით, შესაძლებელია მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების მიზეზიც გამხდარიყო. რუსები ჯიუტად იდგნენ იმ მოსაზრებაზე, რომ მათ მიერ მიტაცებული ტერიტორია სინამდვილეში რუსეთის კუთვნილება იყო. არადა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემები ხევსურთა სასარგებლოდ მეტყველებს. მათსავე სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებული ფაქტი, რომ ჩეჩნეთის (აქ რუსეთის) ტერიტორიაზე აღმოჩნდა ღვთისმშობლის ხატიც.

ლექსში მითხოვლებსა და შატილივნებზე, რომელშიც აღწერილია მათი ლაშქრობის ამბები არა უგვიანეს XIX საუკუნისა (ანუ სსრ კავშირის რუკის შედგენამდე პერიოდი), საუბარია აცეხზე, რომლის ადგილ-მამულებიც რუსეთმა თავის კუთვნილებად გამოაცხადა.

„მითხოვლებ დადიდებულან, არ იყვნეს კაცის წარზედა,
ყრიან უდუმლად ლაშქარსა, ყმას დაიგდებენ სხვაზედა,
აცეხს მუშას დაბრიყვებულსა ჩამაეხვივნეს სამზედა,
შამაეგება ახლები, სტუმარ რო მასპინძელ კარზედა,
თოფი დაღრიეს ერთუცსა, კვამლი დაღბადეს კვამლზედა...“
(30: 391)

საგულისხმოა, რომ საზღვართან დაკავშირებული გაუგებრობის გადაჭრა ადგილობრივთა გვერდის ავლით ხდებოდა. არადა საქართველო-ჩეჩნეთს შორის გამავალი სადემარკაციო ხაზის ადგილმდებარეობა ყველაზე უკეთ აქაური მოსახლეობისთვის არის ცნობილი.

2002 წლიდან ჩეჩნების მიერ საქართველო-ჩეჩნეთის (რუსეთის) საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტები საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ქართველმა მესაზღვრეებმა 2002 წლის აგვისტოში საზღვრის დარღვევის გამო 13 ჩეჩენი დააკავეს. იმ ამბების ერთ-ერთი უშუალო მონაწილის მონათხრობიდან ვიგებთ:

„2002 წლის 3 აგვისტოს დაიჭირეს 7 კაცი, 8 აგვისტოს კი 6, სულ — 13. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე გირევის საგუშაგოდან შემოვიდნენ. ზოგიერთი ვერსიით, ეს ჩეჩნები იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც იძულებული იყვნენ საზღვარი გადმოეკვეთათ, თუმცა ყველა მათგანს იარაღი ჰქონდა. ზოგი ამტკიცებდა, მწყემსები ვართო, მაგრამ დღემდე არ ვიცით ნამდვილად ასე იყო თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმეები დაყოფილი იყო, მაინც ყველა მათგანი ჩეჩენი იყო და პოლიტიკურად ერთ ქვაბში იხარშებოდა. მათ ბრალი ედებოდათ საზღვრის უკანონო დარღვევაში, ამას ემატებოდა საზღვრის გადაკვეთა იარაღით და ტერორიზმი. რეალურად კი ეს ხალხი თავისი მამულისთვის იბრძოდა; ხოლო, მაშინ არ არსებობდა ჩეჩენი, რომელსაც ხელი და ფეხი საღი ჰქონდა და მებრძოლი არ ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყველა ჩეჩენის გადაცემას ითხოვდა, პროკურატურამ ექსტრადიციის წესების დაცვის გარეშე რუსეთს დაჭერილთაგან მხოლოდ 5 პიროვნება გადასცა. ამათგან ყველას ჰქონდა პასპორტი, რომლის მონაცემებიც რუსეთის მიერ მონოდებულ მონაცემებს დაემთხვა. ამიტომაც მოკიდეს ხელი ამ 5 კაცს, არავის არ გააგებინეს და ჩუმად გადასცეს. საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ვისაც იმ პერიოდში ვხვდებოდი, წინააღმდეგი იყო დაკავებული ჩეჩნების ექსტრადიციისა, მაგრამ რა ვქნათ, პოლიტიკა იყო ასეთი. ზოგადად საზოგადოების განწყობა ჩეჩნების მიმართ დადებითი იყო, თუმცა იყვნენ ერთეულები, რომლებიც აფხაზეთის ომში ჩეჩენთა მონაწილეობაზე აკეთებდნენ აქცენტს: „განა არ გახსოვთ, მაგათ რა გაგვიკეთეს აფხაზეთშიო!"

დაკავებულთა თაობაზე, პუტინი და შევარდნაძე შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში. პირველივე ოფიციალურ შეხვედრაზე პუტინის მოთხოვნა იყო გადაეცათ რუსეთისთვის უკლებლივ ყველა ჩეჩენი პატიმარი. საერთოდ, პუტინმა მოითხოვა 18 წლის ზემოთ ყველა ჩეჩენი მამაკაცის ექსტრადიცია, ვინც კი საბრძოლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ.

ჩამოსვლის შემდეგ შევარდნაძემ ჩეჩნების ექსტრადირების გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ ამ დროს სტრასბურგში საქმე იყო დაყენებული პატიმართა გადაცემა-არგადაცემის თაობაზე. ვითარება რეალურად ასეთი იყო: დარჩენილი პატიმრებიდან ორი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა — კუშტანაშვილი და მარგოშვილი. რუსეთში იგზავნებოდა შეკითხვები დაპატიმრებულების ამოცნობასთან დაკავშირებით. მათ სამჯერ შეეშალათ პიროვნების იდენტიფიკაცია — საქართველოს მოქალაქეზე ამბობდნენ, რომ ჩეჩნეთიდან არისო. ერთ-ერთი პატიმარი იყო ისლამ ხაშიევი, რომლის გადაცემა მოითხოვა რუსეთის მხარემ. ხაშიევის მაგივრად სხვა ადამიანის მონაცემები იგზავნებოდა. რუსები კი ამ პიროვნებაზე ამბობდნენ ხაშიევიაო. ყველა შეკითხვაზე თანხმობას აგზა-

ვნიდნენ. ასე რომ იდენტიფიკაცია არასწორი იყო. ადვოკატებისთვის ეს ცნობილი იყო, მაგრამ ჯერ არ ხმაურდებოდა. ინფორმაცია მაშინ გაახმაურეს, როდესაც უკვე რეალურად დადგა პატიმრების სასწრაფოდ ექსტრადიციის საკითხი. მთელი ღამის განმავლობაში შეიკრიბნენ არასამთავრობოები. მოსამართლეებმა მხარი ადვოკატებს დაუჭირეს, ეს პატიმრები გაამართლეს და სასამართლო დარბაზიდან გამოუშვეს. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მაშინდელ გენ. პროკურორს. ერთ-ერთი საფუძველი პატიმრების გამართლებისა, არასწორი იდენტიფიკაცია და საქართველოს მოქალაქეობა იყო. თუმცა, სასამართლო დარბაზიდან გამოშვების მერე ეს სამი პატიმარი სადღაც გააქრეს. შემდეგ გაირკვა, რომ ისინი უჩუმრად რუსეთს გადასცეს, ოფიციალურად დეპორტაცია არ მომხდარა. იმ სამის გარდა დანარჩენები დატოვეს.

ამის შემდეგ რუსეთმა გამოაცხადა, რომ საზღვრის გადაკვეთისთვის დაპატიმრებული იყო სამი ჩეჩენი. იქ რა ბედი ენიათ, ხო გასაგებია — ტერორიზმში ბრალდებული არ სამართლდება.

პატიმრებს ერჩივნათ აქ სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ მათთვის, ვიდრე რუსეთისთვის გადაეცათ, რადგანაც იცოდნენ, რუსეთში რა დღეც ელოდათ.

2002 წლის შემდეგ საზღვრის დარღვევის შემთხვევები ოფიციალურად ცნობილი არ არის თუმცა, შესაძლებელია, მსგავსი პრეცედენტები იყო" (40).

სწორედ ჩეჩენ მეომართა უკონტროლო მოძრაობა საქართველო-ჩეჩნეთის სასაზღვრო მონაკვეთზე, მოგვიანებით, რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების ერთ-ერთ მიზეზი გახდა.

2002 წლის 5 დეკემბერს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. კოზლოვი ინტერვიუში აღნიშნავდა: „საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება შესაძლებლობას მისცემს რუსეთის შშა-ს შეაჩეროს ჩეჩნეთისკენ მიმავალი უცხოელი დაქირავებული

მებრძოლების ნაკადი და აღკვეთოს დამნაშავე დაჯგუფებათა მოქმედება ამ რეგიონში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სასაზღვრო სამხედრო ნაწილები გამოყვანილ იქნენ ახალციხიდან, ბათუმიდან და ხიჩაურიდან (უნდა იყოს — ხელვაჩაურიდან — ნ. ჯ.), ქართველმა მესაზღვრეებმა ვერ მოახერხეს დამოუკიდებლად ჩაეკეტათ საზღვრის ქართულ-ჩეჩნური მონაკვეთი... მათ მიერ მიღებული თავდაცვითი ზომები არადამაკმაყოფილებელია. დეპარტამენტი მაღალმთიანი რეგიონის საზღვრის დაცვას ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით გეგმავს, რაც ბოევიკების შესაჩერებლად არასერიოზულ დაბრკოლებად გვესახება. საქართველოს ხელისუფლება ფაქტობრივად არ ეწინააღმდეგებოდა და არც ახლა უშლის ხელს უცხოელ დაქირავებულ მეომართა შემოსვლას თავის ტერიტორიაზე, აქ სასწავლო ბანაკებისა და იარაღისა და მედიკამენტების საწყობების არსებობას. აგრეთვე, საქართველოში (თბილისში და შატილში) მკურნალობის უფლებას აძლევს დაჭრილ ბოევიკებს. საქართველოსთვის ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობა ორმხრივ არის სახარბიელო. ერთი რომ, ნავთობის ტრანსპორტირება მოხდება ბაქო-სუფსის მარშრუტით და რამდენადაც უფრო არასტაბილური იქნება ვითარება მეზობელ რესპუბლიკებში, მით უფრო მეტი ნავთობი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე; და მეორე — მთიელ ხალხებს გამოთიშავს აფხაზეთის და ოსეთის „სუვერენიზაციისაგან".

ამდენად, მაშინდელ რუსულ ოფიციალურ წყაროებს თუ დავეყრდნობით, საქართველოსთვის ხელსაყრელი ყოფილა მის ჩრდილოეთ საზღვართან შექმნილი არასტაბილური ვითარება, ხოლო ამის საპირისპიროდ რუსეთს სავიზო რეჟიმი შემოაქვს.

გარეშე პოლიტიკურ ძალებს ჩეჩენი ლტოლვილების პანკისის ხეობაში დაბანაკებამ ახალი პროვოკაციებისათვის და ეთნოსთაშორის ურიერთობებში შემდგომი დაძაბულობის შესატანად ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა.

მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შატილის ხეობიდან ლტოლვილთა გადმოყვანა უწინარეს ყოვლისა მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა, მაგრამ ზოგიერთ გამოკითხულ რესპონდენტთა შორის განსხვავებული აზრი დაფიქსირდა. ისინი ეჭვობენ, რომ ჩეჩენთა ლოკალიზაცია ერთ რეგიონში, ფედერალთა მიერ კარგად გათვლილი პოლიტიკის შედეგი იყო, რაც პრორუსული ძალების მეოხებით იქნა განხორციელებული. 7-8 ათასი ლტოლვილის საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად დაბინავებამ, საფრთხე შეუქმნა რეგიონის სტაბილურობას და ამით, როგორც იტყვიან, „კრემლის ნისქვილზე დაასხა წყალი".

XXI საუკუნის დასაწყისისათვის ქართულ პერიოდულ პრესაში ხაზი ესმებოდა იმას, რომ პანკისის ხეობაში სიტუაციის დაძაბვით, ქართველებისა და ჩეჩნების დაპირისპირებით რუსეთის გარკვეული ძალები იყვნენ დაინტერესებულნი და ის, რაც მაშინ პანკისის ხეობაში ხდებოდა, ბოლო 5-6 წლის მანძილზე მიზანმიმართულად მიმდინარეობდა საქართველოში არსებული დესტრუქციული ძალების მიერ, რომელთა გვერდით თუ უკან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენლები იდგნენ (გაზ. „კვირის პალიტრა", 15-21 იანვარი, 3, 2001).

ქართულ მაშინდელ პრესაში წერდნენ: „პანკისის ხეობაში არიან ხვადასხვა ქვეყნის აგენტები, რომლებიც შეგნებულად ავრცელებენ ხმებს ხეობის შესაძლო ავტონომიაზე (გაზ. „ახალი თაობა", 18 იანვარი, 18, 2001), რადგან გარკვეული რეაქციული ძალების სურვილია ხეობაში საომარი მოქმედებების დაწყება, სხვადასხვა სახის პროვოკაციები კი რუსეთის ზოგიერთი სპეცსამსახურების მიერ იგეგმება, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ საქართველოში ბოევიკების გადმოსარეკად, შემდგომში კი პროვოკაციის მოწყობა და კონფრონტაციის გაჩაღება მხოლოდ „ტექნიკის" საქმე იქნება" (გაზ. „ახალი თაობა", 18 იანვარი, 16, 2001).

წიგნში „კავკასიის გეოპოლიტიკა“ პოლიტოლოგი კ. გაჯიევი პანკისს უკონტროლო რეგიონად განიხილავს: „საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ თბილისის ხელისუფლება ამ რაიონში დიდი ხანია უკვე ნომინალურია. აქ საქართველოს კანონები ფაქტობრივად აღარ მოქმედებს... პანკისს მცირე ჩეჩნეთსაც კი უწოდებენ...1999 წლის შემოდგომაზე დუისში — ამ ზონის არაფორმალურ ცენტრში, პოლიციის განყოფილების გახსნა უნდოდათ, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეიარაღებული შეტაკებით და სროლებით დამთავრდა.... საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კიდევ ერთი „ავტონომია“. ოფიციალური თბილისი ძალზე უღიმღამოდ რეაგირებს რუსეთის გაფრთხილებაზე ჩეჩნეთიდან შეიარაღებული ძალების საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობის თაობაზე და ამგვარი პროგნოზების რეალურობას უგულვებელყოფს“(47: 464).

და მართლაც, გარეშე პოლიტიკური ძალების მიერ ინსპირირებულმა პროცესებმა პანკისის ხეობაში გარკვეული დესტაბილიზაციის კერების წარმოქმნას შეუწყო ხელი. პოლიტიკური ასპექტების გარდა, უკონტროლო მიგრაციამ სერიოზულად იმოქმედა ქვეყნის უსაფრთხოების სოციალ-ეკონომიკურ და ეთნო-დემოგრაფიულ ასპექტებზე. პანკისელები იხსენებენ, რომ თავდაპირველად, სანამ ლტოლვილებს საკუთარ საცხოვრებელს მიუჩენდნენ, თითოეულ ქისტურ ოჯახში 30 და უფრო მეტი ლტოლვილი ჰყავდათ შეფარებული; მასპინძლები თვითონ იკლებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ სტუმრისთვის სათანადო პატივი ეცათ. რასაკვირველია, ამგვარმა ვითარებამ სერიოზულად იმოქმედა ადგილობრივთა საოჯახო ეკონომიკაზე. ლტოლვილთა უკიდურესი გაჭირვება, უსახლკარობა და აუტანელი ყოფითი პირობები რეგიონში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციებმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, „ჯამაათმა“, ისლამურმა ჰუმა-

ნიტარულმა მოძრაობამ „ალ-ჰარამეინმა“ და სხვებმა თავის თავზე აიღეს პანკისში თავშეფარებული ლტოლვილების დახმარება, მაგრამ მიუხედავად მათ მიერ გაწეული დიდი თანადგომისა, ამ დახმარებას არ შეეძლო ლტოლვილებისათვის ნორმალური საცხოვრებლის და საარსებო პირობების უქონლობით გამოწვეული მძიმე ყოფითი მდგომარეობის მთლიანად შემსუბუქება. მოგვიანებით, ქისტ მოსახლეობასა და ჩეჩენ ლტოლვილებს შორის მნიშვნელოვნად დაიძაბა ურთიერთობა ჰუმანიტარული ტვირთის არასწორი განაწილების გამო. ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ, ჰუმანიტარული ტვირთის დიდი ნაწილი, ხეობაში რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფების ხელში მოხვდა და მათი შემოსავლის წყაროდაც იქცა (გაზეთები: „დილის გაზეთი”, 10 მაისი 103 2000; „ახალი თაობა", 9 ივნისი 156 2000; „კვირის პალიტრა", 12-18 ივნისი 2000). ამავე დროს, პანკისის ხეობის მოსახლეობში გაჩნდა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ჰუმანიტარულ ტვირთთან ერთად პანკისის ხეობის ქისტებით დასახლებულ სოფლებში იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებებიც შედიოდა, რის გამოც ადგილობრივები კატეგორიულად მოითხოვდნენ ჰუმანიტარული ტვირთების შემოწმებას.

2000 წლის 4 აგვისტოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლების გატაცების გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ლტოლვილებს დახმარება შეუწყვიტა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ხეობაში სიტუაცია, მაგრამ მძევალთა განთავისუფლების შემდეგ ჰუმანიტარული დახმარების მოწოდება ისევ განახლდა. თუმცა ჩეჩნებსა და ადგილობრივ ქისტებს შორის დახმარებასთან დაკავშირებულმა დაძაბულობამ ახალი მიმართულება მიიღო — „მუქთი ჰუმანიტარული დახმარების მიღების შემდეგ ქისტებიც ეწერებოდნენ ლტოლვილთა სიებში და დახმარებას იღებდნენ. მერე, როდესაც ჰუმანიტარული დახმარების შემოსვლა შეწყდა, ხეობაში ხმა გავრცელდა, რომ ეს ყველაფერი გაბერილი

სიების ბრალი იყო და ქისტები და ჩეჩნები ლამის ერთმანეთს დაეჯახნენ. ადგილობრივი მოსახლეობა მის ინიცირებაში რუსეთის სპეცსამსახურებს სდებდა ბრალს" (41).

ლტოლვილთა ჩამოსახლებიდან ცოტა ხანში, რეგიონში სერიოზულად დაიძაბა სიტუაცია. ხეობაში შეიარაღებული ადამიანების გამოჩენამ გარეშე პოლიტიკურ ძალებს საბაბი მისცა ისინი ჩეჩენ ბოევიკებად ჩაეთვალათ: „საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ პანკისის ხეობაში „ჩეჩენ ბოევიკთა ანკლავი", იჩქერიის რესპუბლიკა-2-ია ჩამოყალიბებული, რომელთაც შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს და მთლიანად აკონტროლებს ვითარებას რესპუბლიკაში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია იქ ფაქტობრივად არ ვრცელდება, ამ ანკლავს იჩქერიიდან სისტემატურად მიეწოდება იარაღი, ფინანსები და ცოცხალი ძალა (გაზ. „ალია", 7-8 დეკემბერი, 193, 2000). ამავე დროს, რეგიონში იმატა სისხლის სამართლის დანაშაულებებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებამ, ნარკოტიკების მოხმარებამ, ყაჩაღობამ, ქურდობამ, ადამიანთა გატაცებებმა და სხვა; ყველა ეს დანაშაული, ნებსით თუ უნებლიეთ ჩეჩნებს ბრალდებოდათ, ამ ვითარებამ უკმაყოფილება წარმოშვა ლტოლვილებს შორის და გარკვეულწილად ადგილობრივ ქისტ მოსახლეობასთან მათი დაპირისპირება გამოიწვია. ხეობის მოსახლეობას პრობლემა შეუქმნა არატრადიციული ისლამის მიმდევრების — ვაჰაბიტების გააქტიურებამ. შექმნილმა ვითარებამ უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა ხეობაში, საზოგადოება დემოდერნიზაციის[1] საფრთხის წინაშე დადგა.

---

1. სოციალური კავშირების და ინსტიტუტების ისეთი რადიკალური ცვლილება, რომლის დროსაც თითქოსდა იკარგება ადამიანთა კოლექტივების თვითორგანიზაციის საყოველთაო უნარი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სრულ სოციალურ ქაოსს, რადგან საზოგადოება ინარჩუნებს ისეთ ძირეულ ინსტიტუტებს, როგორიცაა ოჯახი და მმართველობა ადგილობრივი ერთობის დონეზე, თუმცა ეს უკანასკნელიც კი ძლიერ ეროზიას განიცდის.

ჩეჩენი ლტოლვილების განმარტებით: ისინი, რუსეთსა და საქართველოში მყოფი გარკვეული ძალებისათვის პოლიტიკური სპეკულაციის საშუალებად იყენენ ქცეულნი, და მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში ნამდვილად ხდებოდა კრიმინალური ქმედებები, რაშიც ზოგიერთი ჩეჩენი ლტოლვილიც იღებდა მონაწილეობას, ყველა ჩეჩენი ლტოლვილის ქურდად და ნარკომანად გამოცხადება კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნდათ.

ადგილობრივ ქისტთა აზრით, კრიმინალური ატმოსფერო და ნარკობიზნესი, ხელოვნურად იყო შექმნილი: "სანამ რუსეთ-ჩეჩნეთის ამბები იქნებოდა, ჩვენმა ახალგაზრდებმა საერთოდ არ იცოდნენ ნარკოტიკი რა იყო" (40).

2000 წ. ქართული პერიოდული პრესის მონაცემებით: ნარკოტიკების მოხმარებამ, მისმა ბრუნვამ და კონტრაბანდამ განსაკუთრებით საშიში მასშტაბები ჩეჩნეთიდან ლტოლვილების შემოსვლის შემდგომ მიიღო და მათი ჩამოსახლების ადგილი — პანკისის ხეობა — გახდა ის ძირითადი მონაკვეთი, სადაც ჩრ. კავკასიიდან ნარკოტიკების შემოტანა და მისი სხვა ქვყნებში გატანის ტრანზიტი იგეგმება. (გაზ. „ალია". 192. 5-6 დეკემბერი. 2000). ხეობის ადგილობრივი მოსახლეობა, პანკისში დიდი რაოდენობის ნარკოტიკების არსებობის მიზეზად სამართალდამცავების არაქმედით მუშაობასაც ასახელებდა; ისინი აცხადებდნენ, რომ ხეობაში ნარკოტიკების გამსაღებლები, როგორც ქისტი, ისე ქართველი ეროვნების პიროვნებები იყვნენ. მათ კავშირი ჰქონდათ პოლიციის ადგილობრივ და რეგიონალურ სამმართველოებთან და ამის წყალობით ხელშეუხებლები იყვნენ და ხეობა საკმაოდ მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციამდე სნორედ დაუსჯელობის სინდრომმა მიიყვანა.

იმ პერიოდში გაჩნდა პანკისის ხეობის იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ტრანზიტის ცენტრად გადაქცევის საშიშროება. მსოფლიოს ცხელ წერტილებში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამხედრო ძალის თავმოყრის ადგილებში მუდამ

არის იარაღი და ნარკოტიკები. უხელფასობისა და სუსტი საკადრო პოტენციალის პირობებში პოლიციაც აქტიურად ერთვება იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. პანკისის ხეობაში რეალიზაცია ჰპოვა ნარკობიზნესის განვითარების ცნობილმა მსოფლიო პრინციპმა — „ნარკოტიკები = იარაღი" და დაიწყო სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღის გაცვლა ნარკოტიკებზე და პირიქით; კრიმინალური ქმედება ხეობაში თავმოყრილი დაჯგუფებების მთავარ საქმიანობად იქცა; ეს უკანასკნელნი აწესებდნენ კონტროლს ჰუმანიტარული ტვირთების გადანაწილებაზეც. ნარკობიზნესმა თანდათანობით მიზანმიმართული სახე მიიღო, დაიწყო ხეობის მიმდებარე სოფლების ათვისება. ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის რომლის დამოკიდებულებაც ნარკოტიკებისადმი ტრადიციულად უარყოფითი იყო, პირველ ეტაპზე, ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მათ მოქცევამდე, უსასყიდლოდ ხდებოდა ჰეროინის გადაცემა. მოსახლეობა თანდათანობით ნარკოტიკებით და იარაღით მოვაჭრეების დაქვემდებარებაში მოექცა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 9 მარტი, 2001, 55-56.).

ქართულ საინფორმაციო საშუალებებში არაერთგზის იქნა დაფიქსირებული ჩეჩნეთში ყოფილი ნარკოტიკების დამამზადებელი ორი ლაბორატორიის საქართველოში, სახელდობრ, პანკისის ხეობაში გადმოტანის ფაქტი. ჩეჩნეთში შატოის ქარხნის დაბომბვის შემდგომ, ჰეროინის დამამზადებელი ლაბორატორია „სადღაც" გაქრა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რეალური ვერსიით ეს ლაბორატორიები საქართველოში და კერძოდ პანკისის ხეობაში გადაიტანეს. ეს ვერსია იაპონელი ჟურნალისტის მიერაც იქნა დადასტურებული (გაზეთები: „ალია", 8 იანვარი, 3. 2001; „ალია", 11-12 იანვარი, 5. 2001). თუმცა არსებობდა საწინააღმდეგო აზრიც, რომლის თანახმადაც წარმოუდგენელი იყო ხეობაში ჰეროინის დამამზადებელი ქარხნის არსებობა, მისი სპეციფიკის გამო. ჩემი პანკისელი რესპონდენტებიც ამავე აზრის არიან (40).

ხეობის ქისტი მოსახლეობა და ახმეტის რაიონის პოლიცია უარყოფდა საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ხეობაში კრიმინოგენული სიტუაციის დაძაბვაში ბრალი ჩეჩენ ლტოლვილებს მიუძღოდათ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ კრიმინალები ჩეჩნებს შორისაც იყვნენ; ქისტების თქმით დანაშაულის დიდ ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა ჩადიოდა, ლტოლვილები კი პირიქით დანაშაულის აღსაკვეთად იბრძოდნენ. მათივე განცხადებით: იმის გამო რომ ხეობა სამართალდამცავების კონტროლს აღარ ემორჩილებოდა და დაუსჯელობის სინდრომიც სახეზე იყო, პანკისით საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები კრიმინალები დაინტერესდნენ, და აქ დამნაშავეთა სამყაროს თავისუფლად ყოფნამ ნარკოტიკები და იარაღი მოამრავლა (გაზ. „დილის გაზეთი", 22 იანვარი, 12, 2001). დაუსჯელობის სინდრომისა და კრიმინოგენული ვითარების დღითიდღე გაუარესების გამო ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლების საშიშროება შეიქმნა.

ხეობის მოსახლეობამ, რამდენჯერმე ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია ხეობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და ხელისუფლებისაგან მკაცრად მოითხოვა გადამჭრელი ზომების მიღება კრიმინალური ბანდების, ნარკოტიკების გამსაღებლების და სხვა უმსგავსოების ჩამდენი პირების მიმართ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 19 აგვისტო, 224).

ალვანელი რესპონდენტის ინფორმაციით: „ჩეჩნებმა დაამყარეს წესრიგი პანკისში. ჩეჩნები, განსხვავებით პანკისელი ქისტებისაგან, უფრო წესიერები არიან. კრიმინალები პანკისელები იყვნენ. სწორედ ის რამოდენიმე კრიმინალი ქმნიდა ამინდს (40).

ალვანელი იმედაძე იხსენებს: „ხეობაში სულ იყო 14 უვარგისი კაცი. ერთმა კანეი მარგოშვილმა შვილი მოკლა, უთხრეს, შენი შვილი უვარგისია და მოუარეო! მე ვიცი, როგორც მოვუვლიო! გავიდა, აიღო იარაღი და მოკლა შვილი! ეგეთი რამე მე არ გამიგია ცხოვრე-

ბაში! ეტყობა ეს ბიჭი აყოლილი იყო ამ უვარგის ხალხს და სახლში დიდი დავა ჰქონდათ ამაზე. ხალხმა სია შეადგინა, პოლიციას გადასცა და უთხრა, აი ესენი მოგვაშორეთ, წაიყვანეთო. ტელევიზიაშიც კი იყო. რად გინდათ, ეს ჯარი რომ გყავთ, რისთვისო?!. აი, ამ სიით იმოქმედეთო, ყველაფერი დალაგდებაო, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს."

აღნიშნულმა ვითარებამ ხეობაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა — ქისტების, ჩეჩნების, ქართველების, და ოსების ურთიერთდაპირისპირებას დაუდო სათავე. ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლურ კავშირებს სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

აღნიშნული დაპირისპირებანი, ძირითადად, ყოფით ნიადაგზე ხდებოდა. რესპონდენტები უპირველეს ყოვლისა ქურდობის ფაქტებს ასახელებენ, რასაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის მანამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ პანკისში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლის შემდეგ, ამ მოვლენამ განსხვავებული დატვირთვა მიიღო. იყო მცდელობა, რომ ქურდობის (ძირითადად საქონლის) შემთხვევები ლტოლვილებისთვის მიეწერათ, რაც პერსპექტივაში ჩეჩნების მიმართ უარყოფით განწყობას უდავოდ გააძლიერებდა.

ადგილობრივი კრიმინალები შექმნილ ვითარებას კარგად იყენებდნენ თავიანთი ბრალეულობის დამალვის მიზნით: „ქისტები რასაც აფუჭებენ, იმათ (ე. ი. ლტოლვილების — ნ. ჯ.) ჩრდილს ეფარებიან, იმათ აბრალებენ. მოსული ჩეჩენი აქ არაფერს დააშავებს და არც დაუშავებია, რაც ფუჭდება ქისტებისგანაა" (40).

საერთოდ მანამდე, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებს არასოდეს ჰქონიათ სერიოზული კონფლიქტი ქართველებთან და უფრო მეტიც, ისინი იმ არაქართველი მოსახლეობიდან, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობს, ყველაზე უფრო ინტეგრირებულნი არიან ქართულ კულტურასთან (ლ. მელიქიშვილი) მაგრამ, ამ პერიოდში ურთიერთობა ადგილობრივ ქართველ და

ქისტ მოსახლეობას შორის ისე დაიძაბა, რომ ერთ-ერთი პანკისელი ფშაველის თქმით: "ისეთ დღეში გვყრიდნენ ეს ქისტები, რო სულ იმას ვნატრობდით, ნეტა დაგვბომბონ და ჩვენაც შიგ მოვყვეთავ" (40).

იმ პერიოდში, განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფმა ქართული და ოსური მოსახლეობის ნაწილმა უსაფრთხოების მიზნით დატოვა ის სოფლები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ქისტებს (5: 107-171).

პანკისელი ქისტის, ქავთარაშვილის მონაყოლით: „პანკისში ქისტებსა და ქართველებს შორის დაძაბულობა, როგორც ჩანს, ვილაცას აწყობდა და ათასგვარ ხმას გვიყრიდნენ. თითქოს ქისტები საქონელს ვპარავდით ქართველ მწყემსებს. ვერ უარვყოფ, რომ იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ყველაფრის გადაბრალება ქისტებზე გაზვიადებულად მეჩვენება. ერთხელ ჩემ თუშ მეგობარს მოპარეს სამი სული ძროხა. ჩვენ გვთხოვა დახმარება და ვიპოვეთ, მაგრამ ორი უკვე დაკლული იყო. დღეს ქურდობას ასეთი მასობრივი ხასიათი აღარ აქვს. ჩეჩნები აქ არაფერ შუაში არიან. ისინი მწყემსებისაგან ხორცს და ყველს ყიდულობდნენ და არავის არაფერს ართმევდნენ. ჩეჩნები, პირიქით, ეხმარებოდნენ მწყემსებს ნაქურდალის დაბრუნებაში. იყო ერთი მწემსი — ხაჩო ალვანში, რომელსაც ცხრამეტი სული ძროხა მოპარეს. მაშინ გელაევის რაზმი რომ გადმოვიდა, ხაჩო პირდაპირ მასთან მივიდა და ყველაფერი უამბო. გელაევი გაბრაზებულა, ამას პროვოკაციის მიზნით აკეთებენ, რომ ჩეჩნებს დაბრალდეს ძროხების ქურდობაო. მერე დაეხმარა დაკარგულის პოვნაში. გელაევს ბრძანება გაუცია, ადგილზევე დაეხვრიტათ ყველა, ვინც კი მწყემსებს დააყაჩაღებდა. იყო ისეთი შემთხვევაც, სისხლის აღების საქმეშიც კი ჩეჩნები ჩარეულან და ქისტებსა და თუშებს შორის ატეხილი დავა მოუგვარებიათ".

ერთ-ერთი ხევსური რესპონდენტის თქმით: "ბევრმა ისარგებლა ჩეჩნების საქართველოში შემოსვლით და იმატა ქურდობებმა,

საქონლის გადარეკვამ. დანაშაული ჩეჩნებს ბრალდებოდათ. შესაძლებელია ეს მომენტიც შეგნებულად იყო მოწყობილი, რომ ჩვენი ხალხი გაეღიზიანებინა და ჩეჩნების წინააღმდეგ განეწყო. თუმცა პროვოკაციაზე მთიელი მოსახლეობა არ წამოეგო." (40).

„თელავის რაიონში არის სოფელი ფშაველი. იქ მოხდა ეს ამბავი. ქისტები ღორის კოლტს დაეცნენ და ორი ღორი მოუკლავთ. ეს დააბრალეს ჩეჩნებს. სინამდვილეში, ჩეჩნებს ღორი რად უნდოდათ?! ეგენი ადგილობრივები იყვნენ და ჩეჩნების სახელს ეფარებოდნენ" (ლევან გ. — სოფ. ბარისახო).

ხევსურეთშიც იყო რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც საქონლის და ცხენების მოპარვა ჩეჩენ მებრძოლებს დაბრალდათ, თუმცა ადგილობრივთათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ამ საქმეში სინამდვილეში ხევსურების და პანკისელი ქისტების ხელი ერია.

უკანაფშაველი რესპონდენტი მოგვითხრობს: „ამ რამდენიმე წლის წინ ჩამოიარეს ფშავში შეიარაღებულმა ჩეჩნებმა, მაგრამ, ღმერთმანი, ადგილობრივი მოსახლეობისათვის არაფერი დაუშავებიათ. მოსახლეობა ძალიან თანადგომით ეკიდებოდა მათ. იმ პერიოდში იყო ქურდობებიც, მაგრამ ისინი ადგილობრივები იყვნენ — უკანა ფშაველებიც და ქისტებიც. მღვრიე წყალში თევზის ჭერა ადვილია. ქურდებმა იცოდნენ, რომ შეიარაღებული ხალხი დადიოდა და მათი გაკეთებული ცუდი საქმე იმათ დაბრალდებოდა. ჩეჩნები ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ — სახელს ნუ გვიტეხთო. უკანა ფშავიდან იყო საქონლის დატაცებები. ამ საქონელს მიერეკებოდნენ პანკისში და იქ მყოფ მებრძოლებს ასყიდებდნენ მაღალ ფასებში.

ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა ალაზნის სათავეებს, სადაც ძირითადად თავს აფარებდნენ ჩეჩენი მებრძოლები. ამათ კი საკვები სჭირდებოდათ. პანკისელ და ქართველ ქურდებს მოტაცებული საქონელი იმათთვის მიჰყავდათ. ახლა კი შეიარაღებული დაჯგუფებების წასვლამ მათ ეს გზა (ბაზარი) მოუსპო... საერთოდ

ეს ქურდობა-ყაჩაღობანი მარტო მთაში კი არა, მთელ საქართველოშია მოდებული. ეს ეკონომიკურმა პირობებმაც გამოინვია: უმუშევრობამ, დაუსაქმებლობამ, ეკონომიკის მოშლამ" (40).

2002 წ. პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების შემდგომ საქართველო-ჩეჩნეთის სასასაზღვრო რეგიონებში ხშირად პოულობდნენ დიდი რაოდენობით იარაღს. ბუნებრივია ეს სამალავები ჩეჩენი მებრძოლების თუ ტერორისტების კუთვნილებად ცხადდებოდა. ასეთი რამოდენიმე იარაღის საცავი აღმოჩნდა პანკისის ხეობაში იმ მარშრუტზე, რომელზედაც ჩეჩენი მებრძოლები მოძრაობდნენ. თუმცა ადგილობრივები თავს იმართლებდნენ, რომ ისინი პროვოკაციის მიზნით იყო მოწყობილი.

რამოდენიმე წლის წინ ქართული ტელეარხები ინტენსიურად ავრცელებდნენ ინფორმაციას უკანაფშავის სოფელ ახადთან დიდი რაოდენობით აღმოჩენილი იარაღის შესახებ, რაც ჩეჩენი მეომრების მიერ დატოვებულ სამალავად გამოცხადდა. რიგ რესპონდენტთა ცნობით, ამ იარაღს არანაირი კავშირი არ ჰქონია ჩეჩენ მებრძოლებთან, ის ქართველის კუთვნილება იყო და ამ გზით მოახერხა მან მისი თავიდან მოშორება.

ასეთი დამოკიდებულებითა და ათასგვარი ბრალდებით თავმობეზრებული ლტოლვილები პროტესტის ნიშნად, ხეობიდან გაყვანასა და განცალკევებულ ადგილას ბანაკის მონყობას და ჩასახლებას ითხოვდნენ (გაზ. „7 დღე", 31 მაისი-1 ივნისი, 2000).

პანკისის რეგიონში განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია ხეობისთვის უცხო — ისლამის ყველაზე პურიტანული რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობის — ვაჰაბიზმის გავრცელების გამო. ვაჰაბიზმი არაბეთის ნახევარკუნძულზე XVIII ს-ის შუა ხანებში მუჰამად აბდ ალ-ვაჰაბის მოძღვრების საფუძველზე წარმოიქმნა. მან ბრძოლა გამოუცხადა ისლამის ჭეშმარიტი პოსტულატებიდან გადახვევას და ზნეობრივ თავაშვებულობას. ამ მოძღვრების ძირითადი პრინციპის თანახმად ყველა მუსლიმი ერთმანეთისთვის ძმაა,

მიუხედავად მათი წარმოშობისა და ეროვნებისა. ისინი მკაცრად უნდა იცავდნენ ისლამის მორალურ-ეთიკურ პრინციპებს, და მათი ცხოვრება ისლამის განმტკიცებისა და განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული. განდგომილები აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, თუნდაც ამისთვის ძალის გამოყენება გახდეს საჭირო. ერეტიკოსებისა და განსხვავებული მრწამსის მიმდევრების წინააღმდეგ საჭიროა საღვთო ომის — ჯიჰადის წარმოება. ვაჰაბიტთა მოძღვრება მოითხოვს მუჰამედის დროინდელი — ადრეული ისლამისკენ დაბრუნებას, ერთღმერთიანობის აღიარებას. მრავალღმერთიანობა დაუშვებელია. ამას გარდა, ‘ორწმუნეებმა უარი უნდა თქვან მოციქული მუჰამედის დროის შემდგომ მიღებულ სუნას საწინააღმდეგო სიახლეებზე (ბიდ’ა), და სხვა (5: 153-154).

ვაჰაბიზმი ჩრდილო კავკასიისთვის შედარებით ახალი მოვლენაა. ის საუდის არაბეთიდან ჯერ დაღესტანში შევიდა, იქედან ჩეჩნეთში, ხოლო ჩეჩნეთიდან კი პანკისის ხეობაში შეაღწია. როგორც ვ. ტიშკოვი ზემოხსენებულ წიგნში აღნიშნავს, 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩეჩნეთში შეიმჩნეოდა რელიგიის მიმართ ინტერესის დაქვეითება, ისლამმა განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის დაკარგა მიზიდულობის ძალა; სამაგიეროდ გამოჩნდა ახალი კურიოზი ვაჰაბიტების სახელით. მანამდე მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ასეთი სიტყვაც კი არ ჰქონდათ გაგონილი და როდესაც ისინი ჩეჩნეთის ქალაქებსა და სოფლებში წვერებითა და გრძელი თმით, უჩვეულო ტანსაცმელში გამოწყობილნი ჩნდებოდნენ, თავდაპირველად მათ, როგორც სეირს, ისე უყურებდნენ (66: 337). ჩეჩნები, რომლებმაც სათანადოდ ვერ მოასწრეს მათთვის ტრადიციული სუფიური ისლამისკენ მობრუნება, „წმინდა ისლამის“, ანუ ვაჰაბიზმის მომხრეთა გარეშე გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ფუნდამენტური პროზელიტიზმი კარგად იქნა დაფინანასებული ძირითადად საუდის არაბეთიდან და მიმართული იყო უპირველეს ყოვლისა

ახალგაზრდა თაობისაკენ. მებრძოლი ისლამის ვარიანტი მიმზიდველი აღმოჩნდა მეტადრე ჩეჩენი მებრძოლებისათვის. ვაჰაბიტების მიერ შემოთავაზებულ იქნა ჩეჩნებისათვის მიუღებელი ნორმები: აუცილებელი ლოცვა, არაბული სამოსი, წვერის გაპარსვის აკრძალვა, უსთაზებსა და ჩეჩნურ ადათებზე უარის თქმა, საზოგადოებაში ქალის სტატუსის და მისი ქცევის გადახედვა, სახის დაფარვა, რაც ჩეჩენი ქალებისათვის მიუღებელი იყო. ვაჰაბიტად გახდომისათვის არაბები ჩეჩენების მოსყიდვას აწარმოებდნენ (66: 339).

ჩეჩენი რესპონდენტის ინფორმაციით: არაბები ამბობდნენ, რომ ყველა მუსლიმი ერთნაირია, მიუხედავად ეროვნებისა. არ უნდა მოხდეს საერთოდ ეროვნების გარჩევაო. მუსულმანი ისე უნდა მოიქცეს ნებისმიერ ქვეყანაში, თითქოს ის მისი სამშობლოაო. არაბები გვასწავლიდნენ რომ არ შეიძლება წინაპრების პატივისცემა, რომ ვერც წინაპრები და ვერც წინასწარმეტყველები ვერ უშველიან ცოცხლებსა და გარდაცვლილებს. რომ უსთაზის აღიარება არასწორია. ვინც იმათ მხარეზე გადავიდოდა, ფულს აძლევდნენ. მათი მიზანი გიაურებისაგან სამყაროს გასაწმენდად ბრძოლაა და ჰაზავათი მანამდე უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ყველა ქრისტიანი არ მიიღებდა ისლამს და მუსულმანები არ გაიმარჯვებდნენ მთელ მსოფლიოზე (66: 341-342).

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ვაჰაბიზმის გავრცელების გნოსეოლოგიური მიზეზები მდგომარეობდა ახალგაზრდების მისწრაფებაში, დაეძლიათ ადგილობრივი, ტრადიციულ მუსულმანური რწმენის გულუბრყვილობა და პრიმიტივიზმი. თუმცა ამ მისწრაფების გვერდით უფრო აქტიური ჩანს მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესი. ჩეჩნეთში, „ჯამაათის" წევრები ხდებოდნენ ადამიანები ძირითადად გაჭირვებული, არატრადიციული ოჯახებიდან, რომელიც პირველ რიგში არაბი მისიონერების მიერ შეთავაზებული ფულითა და სხვა ძვირფასი ნივთე-

ღირებულებას აღარ წარმოადგენდა, ხოლო ფინანსური მდგომარეობის და ყოფითი პირობების გაუმჯობესება უპირველესი მიზანი იყო.

ისინი, ვინც „ჯამაათის" წევრი ხდებოდა, არაბი მისიონერებისაგან გარკვეულ თანხას, ძვირფას საჩუქრებს, უცხოური მარკის ავტომანქანებს, ხოლო თითოეული ახალი წევრის "მოქცევაში" 5000 დოლარს იღებდნენ.

ისლამურ ტრადიციონალიზმსა და ვაჰაბისტურ მოდერნიზმს შორის დაპირისპირება გადაიზარდა ცხოვრების ორგვარი — ეროვნულ-ეთნიკური (ჩეჩნური) და თავსმოხვეული „სხვა" ერის (არაბული) — წესთა ურთიერთდაპირისპირებაში. ტრადიციული ისლამის და ვაჰაბიტური მოდერნიზმის შეჯახებამ დაძაბულობა წარმოშვა სასულიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განსაკუთრებული აქტივობის გამო ვაჰაბიტები მნიშვნელოვან ძალად იქცნენ პოლიტიკურ დაპირისპირებებში. თავის მხრივ, უცხოური ფონდები თუ სპეცსამსახურები, საკუთარი შორსმიმავალი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად საკმაოდ დიდ თანხას აბანდებენ ვაჰაბიზმის გავრცელების საქმეში (66: 166-167).

პანკისის ხეობაში ვაჰაბიტები პირველად 1997 წლის გაზაფხულზე გამოჩნდნენ. ვაჰაბიტი მისიონერების ერთი ნაწილი ლტოლვილებს შემოყვა, მეორე კი არაბეთიდან შემოვიდა(გ. ჩიქოვანი) დღეს პანკისის ქისტურ სოფლებში ხუთი მეჩეთია აშენებული. აქედან ძველი მხოლოდ ერთია (1902 წ.), დანარჩენი აშენდა 1998-99 წლებში (5: 123).

პანკისშიც ვაჰაბიზმის გავრცელება იმავე პრინციპებითა და მეთოდებით მიმდინარეობდა, როგორც ამას ჩეჩნეთში ჰქონდა ადგილი, თუმცა მასშტაბები რასაკვირველია უფრო მცირე იყო. პანკისშიც მოსახლეობის გადაბირება ფულით და სხვა საჩუქრებისა თუ დახმარების დარიგების საფუძველზე ხორციელდებოდა.

მაგალითად, საქართველოში საუდიის არაბეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ალ-ჰარმეინი“-ს (რომელიც ჰუმანიტარული ორგანიზაციის საფარქვეშ აწარმოებს ვაჰაბიზმისა და ექსტრემისტული სეპარატისტული ხასიათის პროპაგანდას) ფილიალის შექმნის მცდელობას ადგილი ჰქონდა 1999 წლის ნოემბერში. ამ პერიოდში პანკისის ხეობაში დაიწყო პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა ჩეჩენ ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ამ ორგანიზაციის მიერ შემოტანილი ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებები ვაჰაბიტებსა და მათი ოჯახის წევრებზე რიგდებოდა, ხოლო როდესაც ამ ორგანიზაციის წევრები ხდებოდნენ ერთიანი დახმარება იყო 500 დოლარი, შემდეგ ყოველთვიურად 100 დოლარს აძლევდნენ, რამაც მიიზიდა უსახსროდ დარჩენილი ახალგაზრდობა (5: 125).

პანკისის ხეობაშიც ვაჰაბიტებს ძირითადად ახალგაზრდები გაჰყვნენ. მათთვის მიმზიდველი გამოდგა მოძღვრება, რომელმაც ტრადიციული ისლამის თანახმად უფროსებისადმი აუცილებელი მორჩილებისგან განთავისუფლება შესთავაზა. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფინანსური მხარეც. ახალ მოძღვრებას ნაზიარებმა ახალგაზრდებმა პანკისის ხეობაში შექმნეს „ვაჰაბიტთა თემი“, ჯამაათი, რამაც ქისტების საზოგადოების დაყოფა გამოიწვია ე. წ. ტრადიციონალისტებად და ვაჰაბიტებად (5: 166).

პანკისელი ქისტების განწყობა ახალი მიმდინარეობის და მათი მესვეურების მიმართ თავდაპირველად ძალზე რადიკალური იყო. უმრავლესობას არ მოსწონდა ვაჰაბიტების არც შეხედულებები და არც საქციელი — განსხვავებული ჩაცმა-დახურვა, უფროსებისადმი დამოკიდებულება, და საერთოდ იმ წესებისა და ნორმების უგულვებელყოფა, რაც ესოდენ ძვირფასი იყო ქისტებისათვის და მათი თვითმყოფადობის უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა.

სუფიური მიმართულების ტრადიციული ისლამის მიმართ ვაჰაბიტების პრეტენზიები აღშფოთებას იწვევდა ქისტებში.

„ამ ვაჰაბიტების გამო ბევრი უსიამოვნებები გვხვდება. ისინი ფუნდამენტალისტები არიან, გვებრძვიან და გვსაყვედურობენ ისლამის დოგმების არაზუსტი შესრულების გამო. ძიარათის რიტუალი, მოვლათის აღნიშვნა, ქელეხი, დასაფლავებასთან დაკავშირებული ყოველგვარ მათთვის მიუღებელია. მოკლედ, მათ არ მოსწონთ ჩვენი მამა-პაპიდან მომდინარე რწმენა" (5: 167).

მთხრობელთა აზრით, მათ არ იციან უფროს-უმცროსობა, დასაშვებად მიიჩნევენ ნათესავებს შორის ქორწინებას, მეზეთში სურათებს იღებენ, ნარკოტიკებს იკეთებენ, ომის მქადაგებლები არიან.

ამავე დროს ადგილობრივი ქისტები აღნიშნავდნენ, რომ ვაჰაბიტებს სწორედ ის არ მოსწონთ, რაც გვაახლოვებს ქართველებსა და ქისტებს, ახალგაზრდობის მხრიდან იგრძნობა ქისტური ოჯახის ტრადიციების უგულვებელყოფა. განსაკუთრებით ის ახალგაზრდობა, რომლებიც სწავლობს არაბულ ქვეყნებში, თანდათან შორდება ტრადიციებს და მათი მხრიდან ხშირია ტრადიციული ეტიკეტის დარღვევები (5: 167).

ფაქტმა, რომ ახალ მიმდინარეობას უმთავრესად ახალგაზრდები აყვნენ, თაობებს შორის დაპირისპირება გამოიწვია და მამებისა და შვილების შეურიგებელ წინააღმდეგობას ჩაუყარა საფუძველი. პანკისის ხეობაში ვაჰაბიზმი ერთი მხრივ, გახდა საზოგადოების რელიგიური დეზორიენტაციის, ხოლო, მეორეს მხრივ, ოჯახის შიგნით განხეთქილების ანუ, ოჯახის დეზინტეგრაციის მიზეზი.

ვაჰაბიზმის გავრცელებამ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების დისტანცირებას შეუწყეს ხელი, რაც პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ ქართველები და ოსები შექმნილი ვითარების გამო ერიდებოდნენ შვილების ადგილობრივ სკოლებში სწავ-

ლებას და სხვა სოფლის სკოლაში დაჰყავდათ. ქისტი მოსახლეობა ძალიან წუხდა იმის გამო რომ ეს ვითარება კიდევ უფრო აშორებდა ერთმანეთს პანკისში მცხოვრებ ხალხებს.

გარდა იმისა, რომ ვაჰაბიტები რეგიონში ქმნიდნენ რელიგიური დეზორიენტაციის პრეცედენტს და სოციუმის დეზინტეგრაციის საფუძველს, ისინი ამავე დროს ინვევდნენ დაძაბულობას გარეშეებთან მიმართებაში, ანუ მოსულებთან, არაპანკისელებთან, სტუმრებთან (მაგ. ქართველ ჟურნალისტებთან, მეცნიერებთან და სხვა).

ამდენად, ვაჰაბიტების გამოჩენით პანკისის ხეობაში ვითარების დესტაბილიზაციის კიდევ ერთი წყარო გაჩნდა, რასაც, ცხადია, პოლიტიკური ინტერესი უდევს საფუძვლად: ფაქტობრივად, ვაჰაბიზმი პანკისში იქცა ტრადიციისადმი დაპირისპირების საშუალებად, ვაჰაბიტები ებრძვიან და ეწინააღმდეგებიან ადგილობრივ ტრადიციებს და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ანუ კულტურის იმ საფუძველს, რაზედაც დამყარებულია ზოგადად ეთნოსის არსებობა. ისინი ნერგავენ ისეთ განზოგადებულ უნივერსალურ სისტემას, რაც ყველა მუსულმანისათვის საერთო უნდა იყოს და, ამდენად, თავისუფალია ყოველგვარი ლოკალური და ეთნიკური რელიგიური შეფერილობისაგან. ანუ მათი მიზანია ადგილობრივი რელიგიის მაგივრად დამკვიდრდეს იმგვარი ისლამი, რომელიც დაფუძნებულია ზოგად ისლამურ კატეგორიებზე. ამ შემთხვევაში, ეთნიკურობის ფაქტორის იგნორირებით, რელიგიური ფაქტორი პირველადი ხდება და აქედან გამომდინარე, ეთნოსის ყოფნა-არყოფნის საკითხი თანდათანობით საფრთხის წინაშე დგება.

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდგომ, როდესაც მსოფლიოში ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული კამპანია გაიშალა, პანკისში მყოფი ჩეჩენი ბოევიკების თემა ჩეჩენ ტერორისტთა თემით შეიცვალა. რუსული მედია პერმანენტულად ავრცელებდა ინფორმაციას, რეგიონში ჩეჩენი

ტერორისტების ბანაკის არსებობის შესახებ, პანკისი ტერორისტების ბუდედ სახელდებოდა. ეს ვითარება რუსეთის მიერ ანტიტერორისტული ოპერაციის საქართველოსთან ერთობლივად წარმოების დაჟინებული მოთხოვნის მიზეზი გახდა და ხეობა დაბომბვის ხელახალი საშიშროების წინაშე დააყენა. თავიდან აიცილა რა რუსეთ-ჩეჩნეთის ომში "ჩათრევის" კიდევ ერთი მცდელობა, საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის წარმოებაზე. პარალელურად გავრცელდა ხმები, რომ ხეობაში თავად უსამა ბინ ლადენი და ალ ქაიდას დაჯგუფება იმყოფებოდა. ამის შემდეგ, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის კამპანიისათვის საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო 64 მილიონი დოლარი სამხედრო წვრთნის და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, ხოლო 2002 წელს აშშ-მ სამხედრო კონტინგენტი შეიყვანა რეგიონში. ფედერალთა მტკიცებით ამერიკელებმა სპეციალურად გაავრცელეს ხმა პანკისში ალ ქაიდას წარმომადგენლების ყოფნის შესახებ, რათა შემდეგ ეს მდგომარეობა თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.

ტერორისტების ბანაკთა პანკისში ყოფნის ფაობაზე გავრცელებულ ხმებს, მოჰყვა ინფორმაცია პანკისში ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელი სანარმოს არსებობის შესახებ. 2003 წლის 22 იანვრის "ევრაზია-ნეთ"-ის ცნობით, ბრიტანეთის ანტიტერორისტული ცენტრის მიერ ლონდონში ჩატარებული ოპერაციის შედეგად გამოიკვეთა ლონდონის მეჩეთში დაკავებული ტერორიზმში ეჭვმიტანილი 7 ალჟირელი მამაკაცის კავშირი ავღანურ და ჩეჩნურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. ბრიტანელი და ფრანგი მაძებრების ვარაუდით, ოპერაციის დროს აღმოჩენილი მომწამვლელი ნივთიერება რიცინის კვალი პანკისის ხეობასთან მიდიოდა, სადაც სავარაუდოდ მზადდებოდა ეს ნივთიერება და აქედან მიეწოდებოდა სხვა ისლამური ქვეყნების ტერორისტებს. მანამდე კი, 2002 წელს საფრანგეთში ჩატარებული ანალო-

გიური ოპერაციის შემდეგ რიცინის დამზადების ცენტრად პანკისის ხეობა იქნა დასახელებული.

ანტიტერორისტულმა ოპერაციამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ე.ნ. სამხრეთ ოსეთში და ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში. იმდროინდელ სომხურ პრესაში აღნიშნავდნენ, რომ შევარდნაძის განცხადებამ, პანკისში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციიის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში და სომხებით დასახლებულ ჯავახეთში გადანაცვლების შესაძლებლობაზე, აღნიშნულ რეგიონებში მნიშვნელოვნად დაძაბა სიტუაცია. ხოლო ინფორმაციამ პანკისიდან გადასული ჩეჩნების ჯავახეთში ყოფნის და მათ წინააღმდეგ ოპერაციის შესაძლო განხორციელების შესახებ, ახალქალაქში არსებული რუსული სამხედრო შენაერთების სრული მობილიზაცია გამოიწვია.

ჩეჩნების, ქართველებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირების გამძაფრება რომ გარკვეულ ძალებს ხელს აძლევდა, ზემოხსენებულის გარდა იქედანაც ჩანს, რომ იმავე სომხური საინფორმაციო საშუალებების თანახმად, როდესაც გელაევის რაზმი კოდორის ხეობიდან აფხაზეთში შევიდა (სომხური პრესა აღნიშნავდა, რომ ქართველთა და ჩეჩენთა გაერთიანებული რაზმი რამოდენიმე ასეული მეომრისაგან იყო დაკომპლექტებული), მან სწრაფად დაიკავა რამოდენიმე სოფელი და გაანადგურა მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობასაც ეთნიკური სომხები წარმოადგენდნენ.

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩეჩნურმა ფაქტორმა კატალიზატორის როლი ითამაშა ქართველებსა და ოსებს შორის უკვე არსებულ დაძაბულ ურთიერთობაში. ცნობილია, რომ ოსებსა და ვაინახ ხალხს შორის დაპირისპირებას უმთავრესად 1944 წლის დეპორტაციის შემდგომი პერიოდის მოვლენებმა დაუდო სათავე, როდესაც ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში შესული მაშინდელი ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორია ვაინახთა რეპატრიაციის შემდგომ კანონიერ პატრონებს აღარ დაბრუნებიათ, ხო-

ლო ვაინახთა კუთვნილი ტერიტორიების პრობლემა დღემდე დავის ობიექტად რჩება. ანუ, ერთი მხრივ არსებობს უარყოფითი განწყობა ჩეჩნებსა (და ინგუშებს) და ოსებს შორის, მეორე მხრივ კი ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთსაპირისპირო განწყობა ქართველებსა და ოსებს შორის. პანკისის ხეობაში კი ეს სამივე ჯგუფი ერთმანეთის მეზობლად სახლობს. რეგიონში განვითარებული ზემოხსენებული დესტაბილიზაციური პროცესები, როგორც აღვნიშნეთ, აქ მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს მეტ-ნაკლებად შეეხო. კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებამ ბიძგი მისცა პანკისელი ოსების მიგრაციას. ქართველი მთხრობელის თქმით, ამ პროცესებში მეტი წილი ქისტებს მიუძღოდათ: „ქისტებს თავიდან ოსებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ლტოლვილები რომ შემოვიდნენ, მერე დაეძაბათ. ქისტებმა პანკისში ოსები აყარეს და იმათი სახლები დაიკავეს " (40).

მაგრამ, თუმცა, კრიმინოგენული ხასიათის პროცესებში ჩეჩნების მცირე რაოდენობა იღებდა მონაწილეობას და დანაშაულთა უმეტესობა ადგილობრივებზე მოდიოდა, პანკისელი ოსების უბედურების მიზეზად ჩეჩნები მოიაზრებოდნენ. მაგ. 2000 წლის ზაფხულში ჩრდ. ოსეთის საემიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელი კ. ცასილოვი აცხადებდა, რომ პანკისის ხეობაში სიტუაციის გაუარესების გამო, არ იყო გამორიცხული ოსი ლტოლვილების მოზღვავება; მან საქართველოს ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, რათა მას მიეღო შესაბამისი ზომები ოსური მოსახლეობის დასაცავად, რადგან ჩეჩენი ლტოლვილები პანკისელ ოსებს ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ (გაზ. „ახალი თაობა", 21.07, 198, 2000; „ალია", 19-20.08, 130, 2000). ფრაიმ ნიუსის ცნობით ცხინვალი შეშფოთებული იყო ხეობაში მცხოვრები ოსების მდგომარეობით, რადგან ბოლო ხანს ხეობაში ოსების რაოდენობის საგრძნობი შემცირება პირდაპირ კავშირში იყო ჩეჩნების ყაჩაღურ თავდასხმებთან და ძალადობასთან (გაზ. „ახალი თაობა", 1.12, 331, 2000).

რუსეთმა ბესლანში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ პანკისში ჩეჩენი ლტოლვილების საკითხთან დაკავშირებით საქართველოზე ზეწოლა გააძლიერა. რუსული სააგენტო „რეგნუმისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ცხინვალის შსს მინისტრი მ. მინძიევი აცხადებდა, რომ ბესლანის ტერაქტამდე შამილ ბასაევი და ასლან მასხადოვი თბილისში იმყოფებოდნენ. რუსული მედიის თანახმად ბესლანის ტრაგედიის ორგანიზატორი და მონაწილე ტერორისტების კვალი პანკისში მიდიოდა, თითქოსდა, ისინი პანკისში იმალებოდნენ, სადაც ტერორისტთა ბაზები იყო განთავსებული. ამ ფაქტებზე დაყრდნობით რუსეთს კიდევ ერთხელ გაეხსნა ხელი, რომ პრეტენზია გამოეცხადებინა პანკისში საომარი მოქმედებების წარმოების თაობაზე.

მოგვიანებით 2004 წ. დეკემბერში რამზან კადიროვი ამტკიცებდა, რომ თითქოს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს ჩეჩნებს თხოვნით დახმარებოდნენ რეგიონში ნესრიგის დასამყარებლად და 5 000 ჩეჩენი მზად იყო ცხინვალში შესაჭრელად. ახმედ ზაკაევმა ინგლისიდან ინტერვიუ მისცა ქართულ სატელევიზიო კომპანია „მზეს" და განაცხადა, რომ კადიროვის მტკიცება მცდარი იყო. იგი აღნიშნავდა, რომ ჩეჩენი ხალხი ყოველთვის იყო ქართველების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მომხრე — „ჩეჩნები და ქართველები საერთოდ, კავკასიური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან და არავის არ შეუძლია, რომ მათ ურთიერთობაში ხინჯი შეიტანოს" (http//www. chechenpress.info/english/news///2/9/200).

ქართულ-ოსურ-ჩეჩნური განწყობებით მანიპულირება ამის შემდგომაც განხორციელდა, კერძოდ 2005-2006 ნლებში, მაშინ, როდესაც რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მცდელობას.

ხეობაში გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა ლტოლვილებთან დაკავშირებით. რუსეთი აქტიურად ითხოვდა ჩეჩენი ლტოლვი-

ლების სამშობლოში დაბრუნებას. მაგრამ თავდაპირველად, ლტოლვილები არა თუ რუსეთში, არამედ საქართველოშიც კი რუსული აგრესიისგან ბოლომდე თავს დაცულად ვერ გრძნობდნენ და უარს აცხადებდნენ ჩეჩნეთში დაბრუნებაზე; მათ ხელახალი გენოციდისა ეშინოდათ: „ჩვენ რუსებისაგან ყველაფერს ველით და გვირჩევნია, საქართველოში ვიყოთ, ვიდრე სამშობლოში შიშის ქვეშ ვიცხოვროთ" (40). ლტოლვილების ნაწილს სურდა საერთოდ პანკისიდან გამოსვლა და საქართველოს სხვა ტერიტორიაზე დასახლების უფლების მიღება, ნაწილი კი არსებული გაჭირვებისა და გაუსაძლისი პირობების მიზეზით მესამე ქვეყანაში გასვლის უფლების მინიჭებას ითხოვდა; თუმცა, ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის" თავმჯდომარის ნ. კაკაბაძის აზრით „მესამე ქვეყნებმა ჩვენს გარეშე შესთავაზეს ამ ხალხს თავშესაფარი, მაგრამ ჩეჩნები ჩვენი მონათესავე ხალხია და სხვაგან ყოფნას ისევ საქართველოში დარჩენას ამჯობინებენ, რადგან ახლოს არიან თავიანთ სამშობლოსთან და მონათესავე ერთან".

სხვა ქვეყანაში გადასვლას მოთხოვნით ადგილი ჰქონდა ჩეჩენი ლტოლვილი ქალებისა და ბავშვების (დაახლოებით 15 ოჯახი) რამოდენიმეგზის შიმშილობას, როგორც სოფელ დუისში, ისე თბილისში.

გამოკითხულ ადგილობრივთაგან ამ აქციას ზოგი არ მიიჩნევდა მართებულად, ხოლო ზოგი პროვოკაციადაც კი თვლიდა.

2005 წლის აგვისტოს მონაცემებით პანკისში 2600 ლტოლვილი ჩეჩენი იყო დაფიქსირებული. თუმცა 2005 წლის 28 მაისს ამოქმედდა ოფიციალური მოხალისეთა რეპატრიაციის პროგრამა და 220 ჩეჩენი დაბრუნდა ჩეჩნეთში, ძირითადად ასაკოვანი ხალხი. ადგილობრივთა თქმით, მათი დიდი ნაწილი ძირად პანკისელი ქისტები არიან. დღეს პანკისში დარჩენილ ლტოლვილთაგან უმეტესობა ავტოქტონი ჩეჩენია, ისინი მეტ-ნაკლებად ნორმალურად მოეწყვ-

ნენ ხეობაში, ადგილობრივებთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ჩეჩნეთში დაბრუნებისაგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ.

პანკისის ხეობაში 2002 წელს ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებით ჩატარების და შეიარაღებული ფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის შემდგომ სიტუაცია საგრძნობლად დაწყნარდა. ადგილობრივების თქმით, 2003 წლის ზაფხულისათვის პანკისში ვითარება შედარებით სტაბილურდება. აღარ გადმოდიან ჩეჩენი მებრძოლები და აღარც სროლა გაისმის: „პირველად რომ შემოვიდნენ ლტოლვილები, ქუჩაში ვერ გაივლიდი, სულ გადაშავებული იყო იქაურობა, ყველა სახლის წინ უხუცესი იჯდა, გარშემო ხალხი ყავდა შემოხვეული, იქაურად ჩაცმული, იქაური ქუდებით... ახლა იმდენ ხალხს სად ნახავ, ეგრე აღარაა. ლტოლვილების ნაწილი წავიდა. ვინც დარჩა ძირითადად იქაური ჩეჩნები არიან. იმათ არ უნდათ გროზნოში ნასვლა, ეშინიათ, აქ ყოფნა ურჩევნიათ უსაფრთხოდ. ისინი ჩვენ მადლობის მეტს რას გვეტყვიან?! ისე სიტუაცია კი დაწყნარდა, იარაღიანს ვეღარ ნახავ, აღარც საეჭვო პირები ჩნდებიან. წარსულს ჩაბარდა ვაჰაბიტებსა და ტრადიციული ისლამის მიმდევრებს შორის არსებული დაპირისპირება, ერთმანეთს აღარ ემტერებიან, ისინი თავიანთთვის ლოცულობენ, ხელს არავის უშლიან " (მ. მ. დუისიდან).

უკანაფშაველი ინფორმანტის აზრით: „ბოლო წლებში ვითარება პანკისში ჩაწყნარებულია. ჩვენებური ხალხი აქ რომ მოდის დღეობებში, სულ ვეკითხები მდგომარეობას პანკისში. საერთოდ უკანა ფშავის ხალხი 90 % პანკისშია გადასახლებული. უკანა ფშავის თემის კაცი ორწყლის ქვევით არ ცხოვრობს. გზა ბარისახოსკენ გვიან გაიჭრა; ამიტომ ჩვენ პანკისელებთან უფრო ახლოს ვიყავით (1 საათი უნდა გადასვლას), ვიდრე ხევსურებთან და ჩვენი ხალხიც ამიტომ გადასახლდა პანკისში. დღემდე გვაქვს ურთიერთობა იქაურებთან — მეგობრობა, ძმობილობა. ისე, ფშავლებს ერთმანეთთან ისე ვერა გვაქვს დამოკიდებულება, როგორც მათთან. ჰოდა ისინი

მეუბნებიან, რა შედარებაა, სიტუაცია დანყნარდა, ძველებურად მისვლა-მოსვლა გვაქვსო. ბოლო ორი ნელია ქურდობები თითქმის აღარც ხევსურეთსა და ფშავში აღარ არის. აქაურ სოფლებში გვარდიის ნაწილები იდგა და ამანაც ერთგვარად დაამყარა ნესრიგი, იმ თვალსაზრისით, რომ ქურდები და ყაჩაღები ვეღარ ბედავდნენ ისე თავისუფლად მოქმედებას. მერე ეს ნაწილები გაუქმდა. ახლა აღარც არის საჭირო, ხოლო თავის დროზე პოზიტიური შედეგი გამოიღო"(ვახტანგ ნ. უკანაფშავიდან).

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან, ანუ ანტიტერორისტული ოპერაციის და პანკისის ხეობის ჩეჩენი მეომრებისაგან განმენდის მერე საგრძნობლად დასტაბილურდა ვითარება ზეპოთ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული, რომ ჩეჩნური ფაქტორი კვლავ იქნეს გამოყენებული გარკვეული ძალების მიერ რეგიონში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ამას მოწმობს რუსულ პრესაში პერიოდულად გამოქვეყნებული წერილები, ჩეჩენ და საერთაშორისო ტერორისტთა ბაზების პანკისში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობის შესახებ. "Gazeta.Ru"-ს ინტერნეტ საითზე 2005 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა რამზან კადიროვის განცხადება, რომ იგი მზადაა გაანადგუროს ტერორისტები პანკისის ხეობაში, თუ უმაღლესი ხელისუფლება გასცემს განკარგულებას: „ჩვენ, ჩეჩნეთში, მოგვბეზრდა უხმოდ თვალყური ვადევნოთ თუ როგორ წვრთნიან და იარაღით ამარაგებენ ტერორისტებს პანკისის ხეობაში, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთში აგზავნიან! ჩვენ ამას ბოლოს მოვუღებთ..."

საქართველოში რუსეთის საელჩოს პრეს-ცენტრის 2005 წლის 17 იანვრის განცხადებაში ვკითხულობთ:

„В последнее время российские представители сделали ряд публичных заявлений относительно нахождения чеченских боевиков и террористов в Панкисском ущелье Грузии с целью привлечь внимание грузинского руководства, соответствующих спецслужб и обществен-

ности страны к этой проблеме. При этом были конкретно указаны места их нахождения и примерное число (250-300 боевиков и террористов, в т. ч. международных). К сожалению, вместо принятия дополнительных действенных шагов в ответ с грузинской стороны последовали лишь заверения, что Панкисское ущелье "свободно от террористов". Утверждается также, что отсутствие боевиков якобы подтверждено в ходе посещения этого района российскими и другими иностранными представителями. В то же время имеется достоверная информация о том, что, получая сведения о соотвстствующих визитах, боевики рассредоточивались, а после их завершения вновь возвращались на места своего пребывания в сёлах ущелья.

Таким образом террористическая угроза, исходяшая с грузинской территории и представляющая серьезный вызов безопасности как России, так и Грузии, сохраняется. Решить ее можно только путем реальных мер по противодействию терроризму, наращиванию взаимодействия спецслужб и пограничных ведомств двух стран, а не замалчиванием существования этой серьёзной проблемы и возложением надежд на международный мониторинг, который продемонстрировал малую эффективность и исчерпал свои возможности.

г. Тбилиси

17 января 2005 г. "

გარდა ამისა და ზემოთ მოტანილი სიტუაციებისა, სადაც ჩეჩნური ფაქტორი, საქართველოს და მასთან დაპირისპირებული ოსეთის, აფხაზეთის და ჯავახეთის სომხების პრობლემებთან გადაიკვეთა, 2006 წლის ზაფხულში, როდესაც კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანის შეიარაღებული შენაერთები ხელისუფლებას დაუპირისპირდა, კვლავ გაიჟღერა ჩეჩნების, როგორც ქართველების წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაციის მხარდამჭერთა სახელმა. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროვოკაციული ხასიათის განცხადე-

ბებს ქართული საზოგადოება უფრო მეტად კრიტიკულად მიუდგა.

ამრიგად, განხილული სიტუაციები ნათლად ნარმოაჩენს ჩეჩნური ფაქტორის საქართველოს სახელმნიფო უსაფრთხოების პრობლემასთან მიმართებას. ფაქტობრივად, მისი გამოისობით საქართველოში დესტაბილიზაციური და დეზინტეგრაციული პროცესების ინსპირირება მოხდა. ჩეჩნური ფენომენი გათამაშებულ იქნა, როგორც შიდა, ისე გარეშე პოლიტიკური ძალების მიერ თავიანთი ეთნოპოლიტიკური და გეო-სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

ჩეჩნური ფაქტორი არა მარტო ქვეყნის შიდა დესტაბილიზაციის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინა, არამედ საქართველოს სახელმნიფო უსაფრთხოების გარე ასპექტებსაც შეეხო და მისი გამოისობით განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაიძაბა.

კრემლი საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ აღნიშნულ ზომებს იმით ამართლებდა, რომ თითქოს საქართველო რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა:

1. ხელს უწყობდა ბოევიკების მოძრაობას ჩეჩნეთის მიმართულებით;
2. იფარავდა ჩეჩენ დაჭრილებს;
3. თვალს ხუჭავდა საქართველოში მათი დასასვენებელი ბანაკების არსებობაზე;
4. ხელს უწყობდა საინფორმაციო ომის წარმოებაში.
5. იფარავდა ჩეჩენ და სხვა ისლამისტ ტერორისტებს.

ე. ი. ქართველებისთვის (და საერთოდ, საქართველოს მოქალაქეებისთვის) ყოფითი პრობლემების გართულებით, რუსეთი გეგმავდა ქართველებში ანტიჩეჩნური განწყობის ხელახალ ინსპირირებას და გამძაფრებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურმა იდეოლოგიურმა პროპგანდამ, რომელიც ქმნიდა და ნერგავდა მასების ცნობიერებაში ახალ სტერეოტიპებს და არც თუ უმნიშვნელო რო-

ლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებაში, საბოლოოდ გამიზნულ შედეგს ვერ მიაღწია. ფართო საზოგადოების აზრი მაინც ჩეჩნების სასარგებლოდ მოქმედებდა, რისი მიზეზებიც უპირველეს ყოვლისა ტრადიციულ კულტურაში უნდა ვეძებოთ.

როგორც ცნობილია, სოციალური ცნობიერების საფუძველს ტრადიციული კულტურა ნარმოადგენს, რომელიც ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის და მრავალი თაობების მანძილზე ყალიბდება. ეთნიკურ კულტურაში ასახულია ხალხის გარემო სამყაროსთან დამოკიდებულების ის ძირითადი, საერთო პრინციპები, რაც მიმართულია ხალხის უსაფრთხოებისა და განვითარებისაკენ, მათი ისტორიული გამოცდილების, შესაძლებლობების, რესურსების, ეკონომიკის და ა. შ. გათვალისწინებით. ტრადიციული კულტურა მყარი სისტემაა, რომელიც ძნელად განიცდის ტრანსფორმაციას, ხოლო ეს სიმყარე, თავის მხრივ სოციალურ ცნობიერებაში აისახება. მოსაზრებით, თანაცხოვრების ტრადიციული სისტემის ჩამოყალიბება განწყობის მექანიზმების მეშვეობით ხდება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის გარესამყაროსთან ურთიერთობის მთელი ისტორიული გამოცდილების ასახვას და ხელს უწყობს შესაფერისი კოგნიტური სტრუქტურების და დისპოზიციების ფორმირებას. ამრიგად, ყალიბდება თანაცხოვრების მყარი სისტემები, რომლებიც სოციალური ცნობიერების დონეზე გამოვლინდებიან, როგორც ამ საზოგადოების შიგნით არსებული ქცევის „ნესების" სახით, ისევე, იმ სისტემის სახით, რომელიც ხელს უწყობს ამ ნესების დაცვას და შენარჩუნებას. ესენია ღირებულებები, სოციალური როლების გადანაწილება, სტერეოტიპები, ქცევის ნორმები, ცხოვრების სტილი, ტრადიციები, ჩვეულებები და ა. შ. (68).

ჩეჩნების შემთხვევაშიც, ქართველებთან მათი ურთიერთობის შემდგომ დინამიკას კულტურაში არსებული ტრადიციული ნორმები განსაზღვრავს. ანუ ის, რაც ტრადიციულად დამახასიათებელია

მათი ურთიერთობისათვის, სტუმართმოყვარეობა იქნება ეს თუ მეგობრობა, შერეული ქორწინება თუ ნათელმირონობა, მეკობრეობა თუ სისხლის აღება, და სხვ. სწორედ ის მოქმედებს, და მათზეა დამყარებული ქცევის ორგანიზაცია. ხოლო იმის რეალიზაცია, რაც არ ზის ამ ხალხების კულტურაში, ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომაც არის, რომ პანკისელი რესპონდენტების თქმით, ჩეჩნებს არასოდეს ავიწყდებათ რომ ისინი მოსულები არიან და მასპინძელი ქართველი ხალხია. ანუ, თავიანთი ტრადიციიდან გამომდინარე, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ძალიან მორიდებით, თავმდაბლად, რაც უმეტესად ასეც იყო. ჩემი ინფორმანტის აზრით: „ის ვინც ასე არ იქცეოდა, მასში ადვილად ამოიცნობდი: პროვოკატორს და აგენტს" (40).

კულტურული ტრადიციის მნიშვნელობა ნათლად გამოიკვეთა ხეობაში კრიმინოგენულ ვითარებასთან ბრძოლისა და ეთნოსთაშორისი დაძაბულობის დარეგულირების სტრატეგიაში. როდესაც პანკისის ხეობაში შექმნილი კრიზისული ვითარება უმართავი გახდა და სამართალდამცავი ორგანოების უნიათობა და უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის კრიმინალურ ქმედობებში მონაწილეობა, აშკარა შეიქნა, საზოგადოებაში ტრადიციული კულტურის თავდაცვითი სტრატეგიული ასპექტები გააქტიურდა. ხალხმა მიმართა ტრადიციული მმართველობისა და სამართლებრივი ურთიერთობის ნაცად ფორმებსა და მექანიზმებს, რაც ძირითადად გამოიხატა:

1. უხუცესთა საბჭოს ადათის ინტენსიურად ამოქმედებაში;
2. თემთა ყრილობის ინტენსიურ (კვარტალში ერთხელ) მონვევაში;
3. კრიმინალური პროცესების ასალაგმავად ადგილობრივებისაგან სპეციალური რაზმის შექმნაში ;
4. ქალთა წესრიგის დაცვის კომიტეტის ჩამოყალიბებაში;
5. ქალთა ხალხური შემოქმედების ანსამბლ „დაიმოხქ"-ის ჩამოყალიბებაში.

დასკვნა

ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში კავკასიონის მაღალმთიან სასაზღვრო რეგიონში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და ჩეჩენ-ინგუშთა უშუალო სამეზობლო კონტაქტების შედეგად ყალიბდებოდა ურთიერთობის ტრადიციული ნორმები, რაზედაც დამყარებული იყო შემდგომ ამ ხალხებს შორის ურთიერთობის დინამიკა.

საკვლევი რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს და მთური საზოგადოებების სოციალური და ეკონომიკური ყოფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ხალხთა ურთიერთობა მეტად ორიგინალურ ამბივალენტურ ხასიათს ატარებს, სადაც ქცევის დადებითი და უარყოფითი მარკერები ერმანეთს ენაცვლება და მთლიანობაში ურთიერთობის ჰარმონიულ წონასწორობას ინარჩუნებს. ამგვარი კონტაქტების საფუძველზე ყალიბდება ამბივალენტური ხასიათის ეთნიკური სტერეოტიპები, რასაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია დადებით და უარყოფით სოციალურ განწყობათა ფორმირებაში.

კავკასიელი ხალხის რუსეთის დაქვემდებარებაში ყოფნამ (ჯერ იმპერიის შემადგენლობაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის), თავისებური მიმართულება მისცა ინტერეთნიკურ ურთიერთობებს და შესაბამისად, ფსიქოლოგიურ ურთიერთგანწყობებსაც. ამ პერიოდში აღინიშნება ახალი უარყოფითი სტერეოტიპების ფორმირების მცდელობა, რომლის მიზანსაც რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ, კავკასიელი ხალხების ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება წარმოადგენს. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როდესაც კავკასია და კავკასიის ხალხები სერიოზული გეო-პოლიტიკური ტრანსფორმაციების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. „ცივი ომის" დასრულების შემდეგ, კავკასიის რეგიონზე კონტროლის მოსაპო-

ვებლად ევრაზიულ და ატლანტიკურ პოლუსებს შორის საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ბრძოლა ორი სუპერსახელმწიფოს — რუსეთისა და აშშ-ს დაპირისპირებაში გამოიხატა.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში ჩეჩნური ფაქტორი უშუალოდ დაუკავშირდა ქვეყანაში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს და ქვეყანაში დესტრუქციული ვითარების წარმოქმნას შეუწყო ხელი.

1990-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოპოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნით სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალები ხშირად მანიპულირებენ ჩეჩნური ფაქტორით, რასაც არაერთხელ შეუქმნია საშიშროება სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია 1991 წლის თბილისის მოვლენების (სამოქალაქო ომმი, გამსახურდიას მთავრობის განდევნა...), ქართულ-აფხაზური და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტთა ფონზე. ამ პერიოდში ადგილი აქვს ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოტენციურად არსებული უარყოფითი და დადებითი სოციალური განწყობით მანიპულირებას, რაც მოხერხებულად იქნა გამოყენებული გარეშე თუ შიდა პოლიტიკური ძალების მიერ თავიანთი ინტერესებისათვის.

ჩეჩენი ლტოლვილების საქართველოში გამოჩენამ (კერძოდ პანკისის ხეობაში 1999 წლიდან) გარეშე პოლიტიკურ ძალებს ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა ეთნოსთაშორის ურიერთობებში შემდგომი დაძაბულობის შესატანად.

ჩეჩნური ფაქტორი არა მარტო ქვეყნის შიდა დესტაბილიზაციის გამომწვევ მიზეზად მოგვევლინა, არამედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების საგარეო ასპექტებსაც შეეხო და მისი გამოისობით განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაიძაბა. ამ დაძაბულობის მიზეზები მრავალი იყო. პირველ რიგში, ჯერ ჩეჩენი „ბოევიკების", შემდეგ კი ჩეჩენი ტერორისტების საქართველოში (პანკისის ხეობაში) არსებობის და ქართველების მი-

ერ ჩეჩნებისათვის ხელის შეწყობის ბრალდებით, „პანკისის ტერორისტების ბუდედ გამოცხადებით", რუსეთი ცდილობდა საომარი მოქმედებების გადმოტანას საქართველოს ტერიტორიაზე, რაც, მიუხედავად ათასგვარი პროვოკაციისა, ვერ განახორციელა; საქართველოს რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ჩათრევის თუ რუსეთისათვის სახარბიელო ვითარების პროვოცირება მრავალი მიმართულებით მიმდინარეობდა; ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ქართველების ამა თუ იმ უბედურების მიზეზი ჩეჩნები იყვნენ.

ჩეჩნური ფაქტორით შეპირობებული დეზინტეგრაციული პროცესების გამომწვევი მიზეზები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

1. არალეგალური, არაკონტროლირებადი მიგრაცია — ლტოლვილების დიდი მასების შემოსვლამ რეგიონში გამოიწვია სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა.
2. კულტურული ექსპანსია -– ვაჰაბიზმის გავრცელება, რასაც შედეგად რელიგიური ინფრასტრუქტურის შეცვლა მოჰყვა. ჯგუფში დომინირებული ტრადიციული რელიგიის მიმდევრებთან დაპირისპირებამ ტრადიციული სისტემის რღვევის — ქცევის ტრადიციული ეტიკეტის და ტრადიციული ნორმების ნიველირების საფრთხე წარმოქმნა.
3. ეთნიკური დაპირისპირებანი — კონფლიქტი ეთნიკურ ჯგუფებს შორის: ქართველი- ქისტი-ჩეჩენი-ოსი.
4. კრიმინოგენული სიტუაცია — ქურდობა-ყაჩაღობანი, ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, გატაცებები ფულის გამოძალვის მიზნით.

აღნიშნულ პერიოდში ჩეჩნებთან მიმართებაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ქართველებში ჩეჩნების უარყოფითი სტერეოტიპის და მათ მიმართ უარყოფითი განწყობის ზრდას. ანტიჩეჩნური განწყობის ფორმირება და ჩეჩნებისაგან ქართველების

მტრის ხატის შექმნის მცდელობა ემყარებოდა საკვლევ ეთნოსთა ურთიერთობის უკანასკნელი პერიოდის გამოცდილებას, როდესაც:

1. ჩეჩნები იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ აფხაზების მხარეზე და გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით ქართველების მიმართ,

   როდესაც, საქართველოში ჩეჩნების გამოისობით:

2. იცვლება დემოგრაფიული სურათი ჩეჩენი ლტოლვილების გამო;
3. ირღვევა სახელმწიფო საზღვარი;
4. დაიკარგა ტერიტორიები (ხევსურეთში);
5. დაიბომბა ქართული ტერიტორიები;
6. დაიღუპნენ ადამიანები;
7. დაიძაბა ურთიერთობა რუსეთ საქართველოს შორის:

   ა. სავიზო რეჟიმი რუსეთთან;

   ბ. ენერგეტიკული კრიზისი.

8. გააქტიურდა ვაჰაბიტური მიმდინარეობა და დაიწყო რელიგიური კონფრონტაცია
9. გამძაფრდა კრიმინოგენული სიტუაცია (ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკოტიკები, ადამიანთა გატაცება, არალეგალური ვაჭრობა იარაღით და სხვ.);
10. დაპირისპირება პანკისის ხეობაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა შორის; ეთნოკონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ქართველ და ჩეჩენ მთიელთა დამოკიდებულება ეთნიკურ სტერეოტიპთა ვალენტობის ხარისხით განისაზღვრება.დადებითი სოციალური განწყობა დღემდე განაპირობებს დადებითი ტენდენციის ჩამოყალიბებას მათ ურთიერთობებში. ქართულ სინამდვილეში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ „ჩეჩნური ფენომენით" მანიპულირებას პირდაპირი კავშირი აქვს ეთნიკურ ჯგუფებს შორის პოტენციურად არსებული უარყოფითი და დადებითი სოციალური განწყობის მიზანმიმართულ მართვასთან.

ქართულ საზოგადოებაში „ჩეჩნური ფაქტორი" განსხვავებულად აღიქმება. სხვადასხვა ეთნო-სოციალურ ჯგუფებში განსხვავებულია „ჩეჩნური ფენომენის" მიმართ განწყობა და, შესაბამისად, არაერთგვაროვანია პოლიტიკურ მანიპულაციებში მათი მონაწილეობის ხარისხიც. მიუხედავად ლოკალური ხასიათის უმნიშვნელო დაპირისპირებისა, იმ რეგიონების მოსახლეობა, სადაც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფთა უშუალო კომუნიკაცია ხდება (ხევსურეთი, თუშეთი, პანკისის ხეობა), შედარებით ნაკლებად ექვემდებარება პოლიტიკოსების საინფორმაციო-იდეოლოგიურ ზეწოლას. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ჩეჩნურ ეთნოკულტურულ სოციუმთან პირდაპირი შეხება არ აქვს, ამ თვალსაზრისით უფრო ადვილად მართვადია.

საერთო კულტურული მარკერები საკვლევი ეთნოსების „ჩვენ" ჯგუფში გაერთიანების საფუძველს ქმნის და მათი მომავალი ჰარმონიული ურთიერთობის გარანტიას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაური ნ. ხევსურული ქრონიკები. თბილისი,1995
2. ბექაია მ. ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები. თბილისი, 1988
3. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941
4. იმნაიშვილი დ. ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისათვის პანკისის ქისტებში, ეკმ. XI, 1959
5. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში (პროექტის ავტორი ლ. მელიქიშვილი), თბილისი, 1998
6. კოხი კ., სპენსერი ო. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი, 1981
7. მაისაია ვ. შავი ზღვის აუზის გაოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, პარიზი, 2003
8. მაკალათია ს. ხევსურეთი. თბილისი, 1984
9. მამისიმედიშვილი ხ. ვაინახები და ქართველი მთიელები, „ლომისი", თბილისი 1997
10. მარგოშვილი ლ. პანკისის ხეობა. თბ. 2002
11. მელაძე ო. ვაინახების გადმოსახლება საქართველოს სამიანეთში ანტიკურ ხანაში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. IV, „მემატიანე", თბილისი, 2002
12. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია, თბილისი, 2001
13. ოჩიაური ალ. ზოგიერთი მოგონება, ხელნაწერი 1971 (ინახება მის ოჯახში)
14. ოჩიაური ალ. ანდრეზები ხევსურეთში. საარქივო მასალები ხელნაწერი
15. ოჩიაური ალ. M' 108 საარქივო მასალები ხელნაწერი.
16. ოჩიაური ალ. M' 43 საარქივო მასალები. ხელნაწერი.
17. ოჩიაური ალ. თუშ-ფშავ-ხევსურთა ურთიერთობა და ქისტებთან დამოკიდებულება. ხელნაწერი. საარქივო მასალები.
18. ოჩიაური თ. გადმოცემები ჯვარ-ხატების დაარსების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1968-70 ხელნაწერი.

19. ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თბილისი, 1969
20. პანკისის კრიზისი (პროექტის ავტორი ლ. მელიქიშვილი). თბილისი, 2002
21. რატიანი ზ. წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბილისი, 1995
22. საქართველოს ისტორიის მასალები. კრებ., თბილისი, 1972
23. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ I, თბილისი, 1970
24. უთურგაიძე თ. ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება. თბილისი, 1960
25. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955
26. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბილისი, 1959
27. შავხელიშვილი ა. „საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს-ში, „მეცნიერება", თბილისი, 1980
28. შანიძე ა. ქართული კილოები მთაში. ქართულის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1957
29. შჩეპანსკი ი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები თბილისი, 1997
30. ჭინჭარაული ალ. ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1960
31. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1961
32. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. II, თბილისი, 1978
33. ჩხეიძე რ. „დაწყევლილი თაობა" „ნაკადული", თბილისი, 1992
34. ცოცანიძე გ. თუშური ქრონიკები, თბილისი, 2005
35. ხანგოშვილი ხ. ქისტები. თბილისი, 2005
36. ხარაძე რ. ანდრეზი, როგორც ადათობრივი სამართლის ერთ-ერთი წყარო. მიმომხილველი ტ. II, თბილისი, 1951
37. ხარაძე რ. პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში ენიმკის მოამბე XI, თბილისი, 1941
38. ხიზანიშვილი ნ. რჩეული იურიდიული ნაწერები. თბილისი, 1982
39. ჯალაბაძე ნ. რელიგიური სინკრეტიზმის თავისებურებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. დისერტაცია, 19988
40. ჯალაბაძე ნ. საველე მასალები. აუდიოჩანაწერები 2004-2005

41. ჯალაბაძე ნ. საველე მასალები. ხელნაწერი (1988, 1999, 2000)
42. ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტ. VII, თბილისი, 1984
43. Алироев И. Ю. "Нахские языки и культура", Чечено-Ингушское книжное издательство. Грозный, 1978 gv. 200)
44. Аронсон Э. Общественное животное. М 1999
45. Бенда-Бекман фон. К. Правовой плюрализм. сб. Человек и право М. 1999
46. Бэрон Р. Ричардсон Д. Агрессия. Питер 2000
47. Гаджиев К. С. Геополитика Кавказа, Изд. Международные отношения, М.
48. Гамрекели В. "Двалы и Двалетия", I-XV вв. н. э., Тбилиси, 1961
49. Грабовский Н. Сборник Сведений о Кавказских Горцах, вып. IX. Тифлис, 1876
50. Дегоев В. Большая игра на Кавказе: История и современность. Москва, Русская панорама, 2001
51. Дзебисашвили К. Масс-Медия И Конфликты На Кавказе № 5(6) 1999 г.
52. Дугин А. Основы геополитики, Москва, 1999
53. Зиссерман А. Двадцать пять лет на Кавказе 4 ч. спб. 1879
54. Ивановков Н. Горные Чеченцы ТС VII ВЛЭ 1910
55. Кармин А. С., Культурология, изд. "Лань", Санкт-Петербург, 2001
56. Коэн А. Страны Центральной Азии И Кавказа: Проблемы И Перспективы Взаимоотношений, журн. Центральная Азия и Кавказ, №2(8) 2000
57. Крупнов Э. Древняя история Северного кавказа. М. 1960
58. Кулиев Г. № 4(5) 1999 г. Геополитические Коллизии Кавказа
59. Лаудаев У. Чеченская племя ССКГ вып. VI Тиф. 1872
60. Мамедов М. К Вопросу О Массовых Предрассудках и Меняющихся Стерсотипах "Лицо Кавказской Национальности". журн. Центральная Ацция и Кавказ, № 4, 1999
61. Маргошвили Л. Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией, Тб., 1990
62. Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тбилиси, стр. 295
63. Меликишвили Л. Свадебная обрядность горцев Восточной Грузии. Тб. 1983
64. Мурадян И. Геоцивилизованный Выбор Грузии, журн. "Центральная Азия и Кавказ", №2. 2000

65. Сюкияйнен Л. Шариат, обычай, закон Координаты правового бытия российского мусульманина. сб. Человек и Право М 1999
66. Тишков В. Общество в вооруженном конфликте. Этнография Чеченской войны, Москва, Наука, 2001
67. Шавхелишвили А. Грузино-Чечено-Ингушские взаимоотношения, Тбилиси, 1992
68. М. Церетели. Психологические механизмы формирования и изменения социального сознания общества (на примере Грузии).- Ежегодник Института Этнологии и Антропологии РАН «Расы и Народы», т. 31 (2005), Москва, Наука 2006
69. Anchabadze G. The Vainakhs-the Chechens and Ingush. Caucasian House, Tbilisi, 2001
70. Borut Grgic EU-South Caucasus: Strategic relationship or strategic failure? Challenges in the South Caucasus. Atlantic Counsil, Washington, D. C., 2006
71. Gheorghita Geana Ethnicity and Globalization. Social Anthroprology, June, 1997
72. Malinovski B. A Scientific Theory of Culture, New York, 1968